გამოცემის 75-ე წელიწადი

№064(12743) 19 მარტი ხუთშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი



6

# ფლორენტინოს გრანდიოზული გეგმა

პერესი ბექჰემსაც დააბრუნებს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

FIRA AER Rugby

დიდი მატჩის წინ. რუსეთი-საქართველო

# ძველი ტრავმა



» 11

ითამაშებს კვირიკაშვილი?



## რატიბოლი

» 4



## მემარცხენე ზაზა და დამხობილი მონარქია

» 11



### სამშაბათობის სტიმული

» 2 სანაკრებო თემაზე



### ჯობავა ევროპაში მესამეა

» 13 ჭადრაკი. ევროპის ჩემპიონატი



### რევოლუციის ფორმულა

» 16 ჩემპიონის გამოვლენის წესი შეიცვალა

ეროვნული ნაკრები

# სამშაბათობის სტიმული

ორი დღის წინ, **ექტორ რაული კუპერმა** მორიგი სანაკრებო „სამშაბათობა“ ჩაატარა; დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იყო ამ სეზონის ალბათ უკანასკნელი „სამშაბათობა“ - მომდევნო კვირაში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ხომ უკვე შეკრება დაეწყება (კვიპროსთან და ჩერნოგორიასთან შეხვედრამდე ცოტა დროღა დარჩა). როგორც თითქმის ყველა წინა „სამშაბათობაზე“, კუპერმა ამ შემთხვევაშიც რამდენიმე სიურპრიზი მოგვიმზადა. ეგ კი არა, მან შარშანვე გაგვაოცა, როცა, ბევრისთვის მოულოდნელად, **ლუკა რაზმაძესა** და **ლევან ხმალაძეს** სანაკრებო შანსი მისცა. ჰო, მწვრთნელის თვალი ყველასგან განსხვავებულიც უნდა იყოს; ჟურნალისტები თუ გულშემატკივრები ვინმე ფეხბურთელს ჯერ რომ გამოარჩევენ, მერე კი - გაალმერთებენ, მწვრთნელმა, შესაძლოა, მისკენ არ გაიხედოს; ან, პირიქით - ქომაგთა და ჩვენგანაც შეუმჩნეველ-დაუფასებელ მოთამაშეზე განაცხადოს, ნაკრებისთვის საჭირო ფეხბურთელიაო...

ჰო, კუპერი საქართველოში ჩამოსვლის დღიდან გვაოცებს; გვაოცებს საქმისადმი აშკარად განსხვავებული მიდგომით (განსაკუთრებით - წინამორბედთან შედარებით), უმეტეს დროს საქართველოში ატარებს და ეროვნული ჩემპიონატის მატჩებსაც (მნიშვნელობა არა აქვს, ერთმანეთს რომელი გუნდები ხვდებიან) არ აცდენს. თანაც, როგორც წესი, სადღაც, კუთხეში, ქომაგების გვერდით მოკალათდება ხოლმე. ჰოდა, უკვე ის გვიკვირს, რომელიმე სტადიონის „ვიპლოჟაში“ რომ გამოჩნდება ხოლმე (აი, როგორც „დინამო“ - „სპარტაკის“ მატჩზე). დღეს რომ გორშია და „ვიტ ჯორჯია“-„გაგრას“ თამაშს ესწრება, მეორე დღეს უკვე გლდანშია; მომდევნო ტურში რუსთავშია, თანაც აღმოსავლეთ ტრიბუნაზე და არა - საპატიო სტუმართათვის გათვალისწინებულ ლოჟაში, სადაც ფეხბურთის მცოდნე პოლიტელიტის წარმომადგენლებს უყვართ შეკრება...

დადის კუპერი და მისთვის კი არა, საქართველოს ნაკრებისთვის საჭირო ფეხბურთელებს არჩევს; ჟურნალისტებიც ამ არჩევანს ხან ვეთანხმებით, ხან - არა; თუმცა ერთ კონკრეტულ საკითხში ქართული მასმედია ერთსულოვანია: კუპერის ნებისმიერი არჩევანი სატრანსფერო ეჭვს არ გვიტოვებს!

ახლა კი იმ ერთ-ერთ უკანასკნელ „სამშაბათობაზე“, სადაც კუპერმა მოსალოდნელთან ერთად რამდენიმე მოულოდნელი კანდიდატიც გამოიძახა. ამპლუების მიხედვით დავიწყოთ და ჯერ მეკარეებზე ვთქვათ; როგორც უნდა დასრულდეს კუპერის საქართველოში მოღვაწეობა, სხვა ბევრ სიკეთესთან ერთად უმთავრესი ამაგი არ უნდა დავუკარგოთ - ეროვნულ ნაკრებში **გიორგი ლომაია** რომ დააბრუნა. სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და ყველამ ვაღიაროთ, რომ დღესდღეობით საქართველოში საუკეთესო მეკარე სწორედ ლომაიაა; „ლოკომოტივის“ კაპიტანიც, ალბათ, სწორად მოიქცა, საქართველოს ჩემპიონატში მუდმივი პრაქტიკის ქონა რომ ამჯობინა გაურკვეველ უცხოურ კარიერას. აი, რაც შეეხება ლომაიას უმთავრეს კონკურენტს, კუპერი ამ საკითხში ჯერ ვერ ჩამოყალიბებულა; ამიტომაც არის, რომ „სამშაბათობებზე“ სხვადასხვა მეკარეს იწვევს. ამ ჯერზე **გრიგოლ ბედიაშვილის** მიწვევა არავის გაუკვირდა - „ვიტ ჯორჯიას“ მეკარე ჩვეული სტაბილურობით ასპარეზობს. **ზურაბ მამალაძეც** არ არის პირველად კუპერის რჩეულთა შორის - ტანმაღალმა მეკარემ ჯერ კიდევ „მგლებში“ ასპარეზობისას მიიქცია არგენტინელი მწვრთნელის ყურადღება. სხვა ვინღა რჩება - სამი ახალგაზრდა და ნიჭიერი მეკარე (**როინ კვასხვაძე, რევაზ თევდორაძე, მიხეილ ალავიძე**) ერთმანეთს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების პირველ ნომრობაზე შეეცილებიან; **გიორგი ლორია** და **ზვიად სტურუა** საკუთარ გუნდში სათადარიგოებად მიიჩნევიან; აი, **გიორგი სომხიშვილი, ბექა შეყრილაძე** და **გია ჭანტურია**, ჯერ კვლავაც ელიან საკუთარ შანსს...

კუპერის ფორმაციის საქართველოს ნაკრებს თითქმის ყველა ოფიციალურ შეხვედრაში დაცვის ხაზში სულ მცირე, ორ ფეხბურთელს ვხედავდით ეროვნული ჩემპიონატიდან. **უჩა ლობჟანიძე** სულაც ნაკრების შეუცვლელ წევრად იქცა! ერთი მხრივ, ახალგაზრდა მცველისთვის ამხელა ნდობის გამოცხადება მისასალმებელი ფაქტი გახლავთ; თუმცა ლობჟანიძეს ღირსეული კონკურენ-




ტი რომ ეყოლება, თავისთვისაც კარგი იქნება და ნაკრებისთვისაც. ლობჟანიძის მსგავსად **ალექსანდრე კვახაძის** გამოძახებაც არ იყო მოულოდნელი: „ვიტ ჯორჯიას“ კაპიტანი საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მცველია და საკუთარი შესაძლებლობები უკვე ნაკრებშიც დაამტკიცა. აი, **გურამ კაშიას** კი ჯერ ვერ დაუმკვიდრებია ნაკრებში ადგილი, თუმცა კუპერს რომ „დინამოს“ ახალგაზრდა ცენტრალური მცველი ესიმპათიურება, ფაქტია.

გარკვეული პაუზის მერე კუპერმა „სამშაბათობაზე“ კვლავ უხმო რუსთავის „ოლიმპის“ მარჯვენაფლანგელ **გიორგი სეთურიძეს**. ჩვენი აზრით, სეთურიძის დაცვაში გამწესება შეცდომა იქნება - სწრაფი და მოუღლელი გარემარბი ოთხკაციანი ნახევარდაცვის პირობებშიც ეფექტიანია და სხვა ტაქტიკური განლაგების დროსაც. ოღონდ, კიდევ ვიმეორებთ, რომ სეთურიძის სტიქია შეტევაა, როცა სისწრაფის ხარჯზე შეუძლია მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევა. სხვათა შორის, საქართველოს ნაკრებში, უკვე კარგა ხანია, რაც შესაფერისი დონის მარჯვენა ნახევარმცველი აღარ გვყავს. ჯერ ერთი, კუპერიც არ იყენებს გამოკვეთილ ფლანგის ნახევარმცველებს - უფრო ხშირ შემთხვევაში ჩვენი ნაკრები ხომ 4-2-3-1 განლაგებით ასპარეზობს. თანაც, მარჯვენა ინსაიდის პოზიციაზე ვინ აღარ მოსინჯეს, მაგრამ საბოლოოდ ადგილი მაინც ვერავინ დაიმკვიდრა. აი ამის შანსი კი „სამშაბათობის“ დებიუტანტს, თბილისის „ლოკომოტივის“ უნივერსალურ ნახევარმცველს **გიორგი კახელიშვილსაც** მიეცა. კახელიშვილი უკვე მეოთხე სეზონია, საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთ საინტერესო ფეხბურთელად მიიჩნევა. სულ პირველად რომ გამოჩნდა, გამოკვეთილი ფორვარდის პოზიციაზე თამაშობდა: ჯერ - „ლოკომოტივში“, მერე - „ოლიმპში“; სამწუხაროდ, ამ ნიჭიერი ბიჭის შესაძლებლობებს სხვადასხვა მწვრთნელი ასევე სხვადასხვაგვარად აფასებდა. კახელიშვილმა ბოლო ორი სეზონის განმავლობაში სად აღარ ითამაშა - დაცვის ფლანგებზეც კი ვიხილეთ; თუმცა, მისთვის ყველაზე ოპტიმალური, ალბათ, მაინც მარჯვენა გარემარბის პოზიციაა და იმედი დავიტოვოთ, რომ ნაკრებში გამოძახება ახალი სტიმულიც იქნება. სხვათა შორის, ძალიან გაგვიკვირდა ამ „სამშაბათობაზე“ კიდევ ერთი გამორჩეული მარჯვენაფლანგელის - **შოთა კაშიას** გამოუძახებლობაც. ამ ფეხბურთელის ბოლოდროინდელი ისტორია ყველას კარგად ახსოვს: უფროსი კაშია ოდესის „ჩერნომორეცში“ აპირებდა კარიერის გაგრძელებას. თუმცა, მიზეზთა გამო, ისევ საქართველოს, კერძოდ, მშობლიურ „დინამოს“ დაუბრუნდა. ჰოდა, მეორე ეტაპის დაწყებიდან აშკარად „სხვა“ კაშია ვიხილეთ: თითქმის ყველა შეხვედრაში არა მარტო თანაგუნდელებს შორის რომ არის გამორჩეული. მეტსაც ვიტყვით: შოთა კაშია მეორე ეტაპზე საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. არადა, ამ შემთხვევაში აშკარად მოუხდა ამპლუის შეცვლა - ადრე ხომ მარჯვენა მცველად ასპარეზობდა (სხვათა შორის, დაცვისა და ნახევარდაცვის ცენტრშიც შეუძლია თამაში). „სამშაბათობაზე“ ვერ ვიხილეთ „ზესტაფონის“ ორი ახალგაზრდა და მეტად საინტერესო ფეხბურთელი: **გიორგი ხიდეშელი** და **ბუბა დაუშვილი**. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ალბათ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ინტერესები იქნება გათვალისწინებული.

**ლევან ხმალაძე, ლუკა რაზმაძე, გიორგი მერებაშვილი** - ეს სამეული საქართველოს ჩემპიონატში გამორჩეულ ფეხბურთელები არიან. თანაც, სეზონის დასაწყისიდან დღემდე სტაბილურად ასპარეზობენ და კუპერის, ასე ვთქვათ, აქაურ ფავორიტებად მიიჩნევიან. განსაკუთრებით დიდ ინტერესს „ზესტაფონის“ ცენტრფორვარდის **ნიკა გელაშვილის** გამოძახებაც იწვევს - ამ ფეხბურთელს მართლაც შესწევს იმის უნარი, რომ საკუთარი შესაძლებლობები ეროვნულ ნაკრებშიც დაამტკიცოს. კარგია, რომ კუპერმა უგუნდოდ მყოფი **დათო სირაძეც** გამოიძახა - ნებისმიერი ფეხბურთელისათვის ნდობის ფაქტორს ხომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სამწუხაროდ, მორიგი ტრავმის გამო ეს „სამშაბათობა“ გაუცდა **მათე ვაწაძეს** - ბოლო წლების ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ფორვარდს ფატალური უილბლობა დასჩემდა. საკმარისია, ერთი ტრავმა მოირჩინოს, ფორმა აღიდგინოს, გოლების გატანა კვლავაც დაიწყოს და... ისევ ტრავმა! ახლა, მთავარია, რომ ეს ახალგაზრდა ფეხბურთელი ფსიქოლოგიურად არ გატყდეს და ჩვენც ისღა დაგვრჩენია, მალე გამოჯანმრთელება ვუსურვოთ.

დაბოლოს, კუპერის უმთავრეს სიურპრიზზეც: „გაგრას“ 20 წლის ფეხბურთელს **გიორგი ცხადაიას** ეროვნულ ჩემპიონატში ათამდე მატჩიც არ ექნება ჩატარებული, თუმცა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის რჩეულთა შორის მოხვდა. ცხადაიამ, ფაქტობრივად, მხოლოდ მეორე ეტაპის დასაწყისში დაიმკვიდრა ადგილი საკუთარი გუნდის ძირითადში. სხვათა შორის, „ზესტაფონთან“, „დინამოსთან“ და „ვიტ ჯორჯიასთან“ შეხვედრებში მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა - მოედნის ცენტრში უშიშრად და საზრიანად მოქმედებდა. საერთოდაც, იმავე ცხადაიას გამოძახება სხვა ფეხბურთელებისთვისაც სერიოზულზე მეტი სტიმული უნდა იყოს: ადრეც არაერთხელ გვითქვამს და კვლავაც გავიმეორებთ, რომ საქართველოს ჩემპიონატში საკმაოდ ბევრი საინტერესო ფეხბურთელი თამაშობს. არანაკლებ დადებითი მოვლენა კი ის არის, რომ ამ ყველას და ყველაფერს კუპერი ამჩნევს...

**გია ტუხაშვილი**

მეტოქეები


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტრაპატონის 26 და სტოილოვის ლეგიონი

მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მორიგი მატჩები 28 მარტსა და 1-ელ აპრილს გაიმართება. თამაშობენ ჩვენი მეტოქეებიც - ირლანდია ჯერ ბულგარეთს უმასპინძლებს, მერე კი სტუმრად იტალიას შეხვდება. ირლანიის ნაკრების თავკაცმა **ჯოვანი ტრაპატონიმ**, რომელსაც 17 მარტს 70 წელი შეუსრულდა, ბულგარეთთან და იტალიასთან თამაშებისთვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. ტრაპატონის სია, რომელშიც 26 ფეხბურთელია, ასე გამოიყურება:

მეკარეები - **შეი გივენი** (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), **დინ კილი** (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), **კირან ვესტვუდი** (ქოვენთრი, ინგლისი);

მცველები - **ალექს ბრუსი** (იფსვიჩი, ინგლისი), **დემიან დელენეი** (ქუინზ პარკი, ინგლისი), **ჯონ ოში** (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), **კევინ ფოლი** (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), **პოლ მაკშეინი** (სანდერლენდი, ინგლისი), **რიჩარდ დანი** (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), **სტივენ კელი** (ბირმინგემი, ინგლისი), **სტივ ფინენი** (ესპანიოლი, ესპანეთი), **კევინ კილბეინი** (ჰალ სიტი, ინგლისი), **დარენ ოდი** (სელტიკი, შოტლანდია);

ნახევარმცველები - **აიდენ მაკგიდი** (სელტიკი, შოტლანდია), **დემიენ დაფი** (ნიუკასლი, ინგლისი), **დარენ გიბსონი** (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), **გლენ უილანი** (სტოკ სიტი, ინგლისი), **კიტ ენდრიუსი** (ბლექბერნი, ინგლისი), **ლაიამ მილერი** (ქუინზ პარკი, ინგლისი), **სტივენ ჰანტი** (რედინგი, ინგლისი), **ენდი კოგი** (ვულვერჰემპტონი, ინგლისი);

თავდამსხმელები - **რობი კინი** (ტოტენჰემი, ინგლისი), **ქელებ ფოლანი** (ჰალ სიტი, ინგლისი), **შონ ლონგი, ნოელ ჰანტი, კევინ დოილი** (ყველა რედინგი, ინგლისი);

ახლა რაც შეეხება ბულგარეთს: **სტანიმირ სტოილოვის** გუნდი 1-ელ აპრილს კვიპროსს უმასპინძლებს. სლავთა ახალმა მწვრთნელმა ჯერჯერობით ლეგიონერთა 13-კაციანი სია გამოაქვეყნა. აი, ისიც:

**დიმიტარ ბერბატოვი** (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), **სტილიან პეტროვი** (ასტონ ვილა, ინგლისი), **დიმიტარ ივანკოვი** (ბურსასფორი, თურქეთი), **სტანისლავ ანგელოვი, დიმიტარ რანგელოვი** (ორივე კოტბუსი, გერმანია), **დიმიტარ ტელკინსკი, ელინ ტოპუზაკოვი** (ორივე ჰაპოელი თელ-ავივი, ისრაელი), **იგორ ტომაშიჩი** (მაკაბი თელ-ავივი, ისრაელი), **ილიან სტოიანოვი** (ჰიროსიმა, იაპონია), **ველიზარ დიმიტროვი** (მეტალურგი დონეცკი, უკრაინა), **ბლაგოი გეორგიევი** (ტერეკი, რუსეთი), **ვალერი ბოჟინოვი** (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), **ჩავდარ იანკოვი** (ჰანოვერი, გერმანია).

**დავით ცაბაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

მესხეთი

# ფეხბურთელები დახმარებას ითხოვენ

## ბევრი ვითმინეთ, მაგრამ უფულოდ როდემდე ვითამაშოთ?!

ახალციხის „მესხეთი“ დაშლის პირასაა - ეს სიტყვები ბევრჯერ მოვისმინეთ სეზონის მსვლელობის დროს, მეორე ეტაპის ლამის ყოველი მატჩის წინაც გასარკვევი იყო გუნდის მოედანზე გასვლა-არგასვლის საკითხი. გუშინ ფეხბურთელებს მოთმინების ფიალა აევსოთ და ახლა კიდევ ერთხელ უნდა დავწეროთ - „მესხეთი“ დაშლის პირასაა! ოღონდ, ეს საფრთხე დღეს გაცილებით რეალურია, ვიდრე მანამდე იყო. როგორც გავიგეთ, მოთამაშეები გუნდის დატოვებით იმუქრებიან. არცაა გასაკვირი - მეორე წრის დასაწყისში „მესხეთმა“ რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატა და ცხადია, რომ **ზურაბ ბათიაშვილს, ზვიად ჩხეტიანს, თემურ ფარულავას** (ყველა „ლოკომოტივიდან“), **გიორგი გაბიდაურს, გიორგი მიქაბერიძეს** (ორივე „ოლიმპიდან“), **ლაშა ვაშაკიძეს,** ძმებ **პავლე და ვალტერ ხარგუაშვილებსა და ბაქარ ბეჟანიძეს** (ყველა „ბორჯომიდან“), ისევე, როგორც კლუბში მანამდე მისულ ფეხბურთელებს, ნორმალური გასამრჯელოს მიღების იმედი ჰქონდათ...

მაგრამ დღეს ისინი თავბედს იწყევლიან - უკვე სამი თვეა, ხელფასი არ აუღიათ, წინა წლის დავალიანებაზე ლაპარაკიც არის, ამაზე ალარც ოცნებობენ. ფეხბურთელები სიმწრით ხუმრობენ, 40-ლარიან ხელფასს ვიღებთო. თურმე, რა ხდება - მატჩზე გასამგზავრებლად კლუბისგან 10 ლარს იღებენ, ანუ, თვეში (ძირითადად ოთხი მატჩი უწევთ) 40 ლარს. მარტში გავმდიდრდებით, 5 მატჩი გვაქვს და 50 ლარს ავიღებთო - ესეც თქვენი ახალი ქართული ანეკდოტი! სანაკრებო შეხვედრებს კი შიშით ელიან - სამ კვირაში ორი თამაში უწევთ და მხოლოდ 20 ლარს დასჯერდებიან.

სინამდვილეში კი ბიჭებს სახუმაროდ სულაც არ აქვთ საქმე. კლუბის ხელმძღვანელობა დავალიანების გასტუმრებას 17 ან 18 მარტს აპირებდა. მაგრამ გუშინ და გუშინწინ ფეხბურთელები ფულს უშედეგოდ ელოდნენ - როგორც გვითხრეს, ჯერ არავინ იცის, ვინ უნდა გაისტუმროს დავალიანება. პრეზიდენტს კი ვერ დაუკავშირდნენ, მობილური გათიშული ჰქონდა...

„კლუბის მესვეურთა მოსვლას ორი დღე ველოდით. სამწუხაროდ, კაციშვილი არ გამოჩენილა. მართალია, ვარჯიშს ვაპირებდით, მაგრამ ტყუილი ლოდინი ყელში ამოგვივიდა და მოედანზე აღარ გავსულვართ“, - გვითხრა **გიორგი გაბიდაურმა.**

„მოედანზე გაუსვლელობა ეს პირველი ნაბიჯია. მთელი გუნდი შევიკრიბეთ და გადავწყვიტეთ, ფეხბურთის ფედერაციასა და პროფესიული ფეხბურთის ლიგას ოფიციალური წერილით მივმართოთ. მათ უკვე დავუკავშირდით და ჩავაყენეთ საქმის კურსში იმასთან დაკავშირებით, თუ რა მძიმე მდგომარეობაშია თითოეული ჩვენგანი. ყველას ოჯახი გვაქვს და ასეთ ვითარებაში ამხელა მანძილზე სიარული წარმოუდგენელია. საკვები და ელემენტარული თანხა ხომ გვჭირდება?! დიდხანს ვითმენდით, ყველას ანგარიშს ვუწევდით, ჩვენი სატკივარის სხვისთვის თავს მოხვევა არ გვინდოდა, მაგრამ სხვა გამოსავალი აღარ დაგვრჩა. პროფესიული ფეხბურთის ლიგასა და ფედერაციას ვაცნობეთ, რომ უმძიმესი ფინანსური მდგომარეობის გამო, „მესხეთში“ თამაშზე უარს ვიტყვით, თუ უახლოეს პერიოდში კლუბი დავალიანებას არ გაისტუმრებს. თავიდან ვფიქრობდით, რომ მოედანზე არ გავსულიყავით. თუმცა ანგარიში გავუწიეთ ხალხს და იმასაც ვითვალისწინებთ, რომ ჩემპიონატიდან ერთი გუნდის გასვლაც პრობლემებს შექმნის. რადიკალური ნაბიჯებისგან ამიტომაც ვიკავებდით თავს. გვითხრეს კიდეც, რომ ასეთ შემთხვევაში ფეხბურთელებს დისკვალიფიკაციას მოგვცემდნენ და ამიტომაც გადავწყვიტეთ ფედერაციისა და პროფლიგის გაფრთხილება. ბოლოს და ბოლოს, თავი უნდა შეიწუხონ და მიხვდნენ, რომ ჩვენც ადამიანები ვართ. იმედია, ფედერაცია დაგვეხმარება, თუ არა და, აქ გაჩერებას აზრი აღარ აქვს. ისე გამოდის, თითქოს ენთუზიაზმზე ვთამაშობთ. როდემდე?“, - ამბობს „მესხეთის“ მცველი **გიორგი მემარნიშვილი.**




ფეხბურთელებს გული იმაზე სწყდებათ, რომ რაიონმა უდავოდ საინტერესო გუნდი ვერ შეინარჩუნა. არადა, ხელშეწყობის შემთხვევაში „მესხეთი“ არათუ დარჩებოდა უმაღლეს ლიგაში, ლიდერებს შორის მოხვედრის პერსპექტივაც ექნებოდა. ამაზე მეტყველებს ახალციხელთა მიერ მიმდინარე სეზონში ნათამაშები რამდენიმე შთამბეჭდავი მატჩიც. დღეს კი... სხვათა შორის, დღემდე ისინი „მესხეთის“ ერთ-ერთი გულშემატკივრის რესტორანში იკვებებიან. კლუბს ცალკე ამ ადამიანის დავალიანებაც (დაახლოებით, 7-8 ათასი ლარი) დაუგროვდა.

ბიჭები არც იმას მალავენ, რომ გაჭირვების გამო, რამდენჯერმე მატჩის დათმობაც შესთავაზეს, მაგრამ უკადრებლის კადრებას გუნდიდან წასვლა გვირჩევნიაო, ამბობენ. ფეხბურთელები უმაღლესი ლიგის გუნდში მომზადებას ვერ ახერხებენ, რადგან „მესხეთს“ საამისო პირობები არ აქვს. ბორჯომის ხელოვნურსაფრიან მოედანზე უპრობლემოდ კი უშვებენ, მაგრამ დაბანას ველარ ახერხებენ, რადგან... კლუბს აბანოს ვალიც დაუგროვდა.

ცალკე პრობლემა ისაა, რომ კლუბიდან წასვლის შემთხვევაში ბევრი ფეხბურთელი დაზარალდება, განსაკუთრებით ისინი, ვინც გუნდში ახლახან მივიდა - ფიფა მკაცრად კრძალავს სეზონის განმავლობაში სამი კლუბის სახელით თამაშს. კომენტარისთვის პროფლიგის გენერალურ მდივან **პაატა ბურჯალიანს** დავუკავშირდით.

„დიახ, ფეხბურთელები დაგვიკავშირდნენ და გასაჭირი გაგვიმხილეს. ლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილთან მოთათბირების შემდეგ ახალციხის გამგებელთან გასაუბრება გადავწყვიტეთ. კარგად გვესმის ფეხბურთელების. რამდენიმე თვეა, ხელფასი არ აუღიათ და თამაშზე გასვლა ამიტომაც არ სურთ. ახალციხის გამგებელი შეგვპირდა, რომ დავალიანებას ათ დღეში გაისტუმრებს. ფეხბურთელებიც გაგებით მოეკიდნენ ჩვენს თხოვნას და „ზესტაფონთან“ ითამაშებენ. შემდეგ ტურამდე კი საკმაოდ ხანგრძლივი სანაკრებო პაუზაა და იმედია, ამ პერიოდის განმავლობაში ფეხბურთელები კუთვნილ ხელფასებს მიიღებენ. სხვა შემთხვევაში, მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გუნდის დატოვება. თუ ასე მოხდა, მათი კონტრაქტები გაუქმდება. თუმცა ჯერ ოფიციალური წერილით უნდა მოგვმართონ“.

შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის სატრანსფერო კომიტეტის ხელმძღვანელ **რევაზ შენგელიასაც** მივმართეთ: „დასკვნებს მხოლოდ მას შემდეგ გამოვიტანთ, როცა ოფიციალურ წერილს მივიღებთ. თუ ფეხბურთელებს მართლა ვერ უხდიან ხელფასებს, ბუნებრივია, კლუბია დამნაშავე. დანარჩენი დეტალები კომისიის გადასაწყვეტია. სხვაგან გადასვლა კი გამორიცხულია, რადგან ფიფა ერთ სეზონში სამ კლუბში თამაშს პროფესიონალებს კი არა, მოყვარულებსაც უკრძალავს“.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

ლაშა სალუქვაძე

# ევროთასებთან შეხვედრა მსურს...

რუსეთის ჩემპიონ „რუბინის“ შემადგენლობაში ახალი სეზონი ეროვნული ნაკრების მცველმა ლაშა სალუქვაძემ სათადარიგოთა სკამზე დაიწყო. მას არ მისცემია „ყუბანთან“ 3:0-ზე მოგებულ მატჩში თამაშის შანსი. მიუხედავად ამისა, „ფუტბოლ სევოდნიასთან“ ინტერვიუში ის იმედიანადაა...

**- რას იტყვით სეზონის დასაწყისზე?**

- რაც მთავარია, მოვიგეთ მატჩი და ეს ძალიან კარგია.

**- თუმცა მანამდე რუსეთის სუპერთასი დათმეთ...**

- დიახ, სუპერთასზე დამატებით დროში წავაგეთ, მაგრამ ბოლომდე კი ვიბრძოლეთ, მიუხედავად იმისა, რომ კარადენიზი გაგვიგდეს. ისე, „რუბინი“ ერთნაირი შემართებით ემზადება როგორც ცსკა-სთან, ისე „ყუბანის“ წინააღმდეგ სათამაშოდ.

**- სეზონის წაგებით დაწყება ფსიქოლოგიურად ძნელი გადასატანი არ არის?**

- მოდი, ასე ვთქვათ - სუპერთასი სხვა ტურნირია და ჩემპიონატი კი - სულ სხვა.

**- „ყუბანს“ სამი გოლი გაუტანეთ. მეტოქე სუსტი იყო?**

- არ მგონია, „ყუბანს“ სერიოზული შემტევები ჰყავს. უბრალოდ, „რუბინმა“ ითამაშა ძალიან კარგად.

**- ალბათ, გული გწყდებათ, რომ მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღეთ?**

- რა თქმა უნდა, ყოველთვის მსურს თამაში, მაგრამ მწვრთნელის გადასაწყვეტია, ვის გაიყვანს მოედანზე და ვის - არა. სეზონი საკმაოდ გრძელია და სათამაშო პრაქტიკა ყველას გვექნება.



**- მალე ორ სამხრეთულ კლუბს, „ტერეკსა“ და „სპარტაკს“ უნდა ესტუმროთ. გროზნოსა და ნალჩიკში გამარჯვება ძალზე ძნელია. რას გეგმავთ ამ თამაშებში?**

- კარგი გუნდები არიან, ნორმალური დონის... ნალჩიკის „სპარტაკი“ ჩვენთვის უხერხული მეტოქეა, მათ ძალიან კარგი მწვრთნელი ჰყავთ იური კრასნოჟანის სახით.

**- ვინ იქნება „რუბინის“ მთავარი კონკურენტი ამ ჩემპიონატში?**

- ახლა უკვე აღარ არიან აუტსაიდერები, ჩვენთვის ყველა ერთნაირად კონკურენტია.

**- წლეულს ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებთ. რას ელით?**

- მოუთმენლად ველით ევროპის ყველაზე ძლიერ საკლუბო ტურნირში ჩაბმას. მე პირველად ვიასპარეზებ ამ რანგის გათამაშებაში. დიდია მოლოდინი გულშემატკივართა შორისაც.

**- ჯგუფურ ეტაპზე რომელ კლუბთან გირჩევნიათ თამაში?**

- პირადად მე რომელიმე ევროპული გრანდის წინააღმდეგ მსურს თამაში, გამოცდილება რომ მივიღო. გარკვეული მიზნის მისაღწევად კი, რა თქმა უნდა, ჯობს ჯგუფში შედარებით სუსტი მეტოქეები გვყავდეს.

**- ბევრი ამბობს, რომ ამ შემადგენლობით „რუბინი“ ბევრს ვერაფერს მიაღწევს...**

- მათ ბევრი რამ არ იციან. ძალიან კარგი შემადგენლობა გვყავს.

**- „რუბინის“ ახალწვეულებზე რას იტყვით?**

- კარგი ფეხბურთელები არიან. ნავასს, მაგალითად, პრიმერა დივიზიონში თამაშის გამოცდილება აქვს. ახალწვეულებს გარკვეული დრო დასჭირდებათ ადაპტაციისთვის.

მოამზადა

**ნიკოლოზ ნეფარიძემ**


ვახტანგ მაისურაძე

ბორჯომი

# სირცხვილია, ჩემპიონატს ხომ არ მივატოვებთ?!

გასულ უქმეებზე „ბორჯომმა“ „მგლებთან“ სტუმრად 0:5 წააგო. თამაშამდე ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ბესიკ შეროზიას გუნდი ამ თამაშს ვერ მოიგებდა. მიზეზი მარტივი იყო - ბორჯომელები ზუგდიდს ჭაბუკი ფეხბურთელებით ეწვივნენ. უმაღლეს ლიგაში მათ სწორედ ამ დღეს ჰქონდათ დებიუტი. მეტიც, ზუგდიდში არ ჩასულა „ბორჯომის“ მთავარი მწვრთნელი ჯუნგლი ქართველიშვილიც. შესაბამისად, ხმა გავარდა - „ბორჯომი“ დაიშალა და მიმდინარე სეზონს სწორედ ამ ჭაბუკი ფეხბურთელებით ჩაამთავრებსო.

მართლაც და, საინტერესოა რა ხდება „ბორჯომში“, დაიშალა თუ არა გუნდი, დარჩება თუ არა ამ კლუბში ოთარ გაბელია... და საერთოდ, როგორი იქნება გუნდის მომავალი. სწორედ ამ საკითხებზე სასაუბროდ **დავუკავშირდით „ბორჯომის“ დირექტორ ვახტანგ მაისურაძეს...**

**- ბატონო ვახტანგ, „ბორჯომი“ ზუგდიდში ძირითადი ფეხბურთელების ნაცვლად ჭაბუკებით ჩავიდა. გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს გუნდი დაიშალა. რას გვეტყვით ამის თაობაზე?**

- არა, გუნდი არ დაშლილა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მეტად ცუდ სიტუაციაში ვართ. ზუგდიდში მთავარი გუნდის მხოლოდ სამმა ფეხბურთელმა ითამაშა - ბაქრაძემ, პავლიაშვილმა და ქათამაძემ. რაც შეეხებათ სხვა ფეხბურთელებს, ზოგს გრიპი ჰქონდა, ზოგი მოწამლული იყო, ნაწილსაც ტრავმები აწუხებდა...

**- კი, მაგრამ მთავარი მწვრთნელი ჯუნგლი ქართველიშვილი? „მგლებთან“ გასვლით შეხვედრაში ხომ ისიც არ ყოფილა გუნდთან ერთად...**

- ისიც ავად გახლდათ. ზუგდიდში 1991 წელს დაბადებული ფეხბურთელებით ვითამაშეთ...

**- ესე იგი, თქვენ ამტკიცებთ, რომ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები კლუბიდან არ წასულან?**

- არა, წასვლით არავინ წასულა, მაგრამ ფეხბურთელებს შარშანდელ დავალიანებასაც რომ ვერ გაუსტუმრებ, რა შედეგი უნდა მოსთხოვო?! ვერ მოსთხოვ...

**- ოთარ გაბელია აღარ არის გუნდის კონსულტანტი?**

- მასაც გრიპი აქვს და ამის გამო, შოტლანდიაში გამართულ მწვრთნელთა სემინარსაც ვერ დაესწრო.

**- გასამრჯელოს გარეშე ვერც გაბელია იმუშავებს და იძულებული იქნება, დატოვოს „ბორჯომი“...**

- ბუნებრივია, ვიცით ეს ყველაფერი და ვეძებთ კიდეც სახსრებს იმისთვის, რომ გუნდი დაშლას გადავარჩინოთ და გაბელიაც დავტოვოთ.

**- და რა შედეგი მოაქვს ამ ძიებას? არის რამე საიმედო?**

- ამ მომენტისთვის ერთ-ერთ ბიზნესმენთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას და ვნახოთ, რა გამოვა.

**- ვინაობას ვერ გაგვიმხელთ?**

- თბილისელია, ბორჯომთან საკმაო კავშირები აქვს. მომიტევეთ, მაგრამ მის გვარ-სახელს ვერ გავთქვამ. მიხვდებით, ალბათ, რატომაც...

**- რა სტადიაშია მოლაპარაკებები?**

- იმ ბიზნესმენს იმდენი შესაძლებლობა არ აქვს, რომ კლუბს უპატრონოს, ახლა მხოლოდ იმაზე მიდის მოლაპარაკება, რომ როგორმე სეზონი ჩავამთავროთ. ძალიან ცუდ დღეში ვართ. ჩვენი გუნდი რეგიონალლიგაშიც ასპარეზობდა და უსახსრობის გამო ისიც გამოეთიშა ჩემპიონატს. ზოგჯერ გასვლითი მატჩებისთვის ტრანსპორტის ფულიც გვიჭირს... გულწრფელად გეუბნებით - მრცხვენია ფეხბურთელების, და არა მხოლოდ მათი. მართლაც სირცხვილია, ჩემპიონატს ხომ არ მივატოვებთ?! გუნდი არ უნდა დაგვეშალოს. 8 მატჩილა დარჩა და ეს თამაშები როგორმე უნდა გადავაგოროთ. თუ იმ ბიზნესმენთან შეთანხმება მოხერხდა, ამას რა აჯობებს, ცოტათი თვალში გამოვიხედავთ...

**- გამგეობა თუ გეხმარებათ?**

- მოგეხსენებათ, ეკონომიკური კრიზისია და გამგეობაც ვერ გვეხმარებოდა. არადა, დრო იყო, გვეხმარებოდა... თუ გახსოვთ, „ბორჯომი“ ლიდერებს შორისაც ყოფილა, მაგრამ... სამწუხაროდ, ეს დრო უკვე წარსულს ჩაჰბარდა.

**- პოტენციურ სპონსორთან მოლაპარაკებები როდის დასრულდება?**

- კარგი იყო, აქამდეც დასრულებულიყო... ვნახოთ, მოლაპარაკებები გრძელდება და გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. ჩვენ ვჩქარობთ, რაც შეიძლება მალე გვინდა ეს პრობლემა მოვაგვაროთ.

**- ძირითადი შემადგენლობის ის ფეხბურთელები, რომლებმაც ზუგდიდში ვერ ითამაშეს, უახლოეს ტურში თუ ითამაშებენ?**

- შაბათს, „სიონთან“ გვაქვს თამაში და ნაწილი, ალბათ, შეძლებს თამაშს, ვგულისხმობ იმათ, ვინც მომჯობინდება და მზად იქნება მატჩისთვის.

**- ამჟამად თუ ვარჯიშობს გუნდი?**

- ვარჯიშები არ შეწყვეტილა.

**- ბევრი მიიჩნევს, რომ „ბორჯომი“ სეზონს ამ ჭაბუკი ფეხბურთელებით ჩაამთავრებს, ამასთან, ყველა კლუბმა იცის, რომ თქვენს გუნდთან 3 ქულა გარანტირებული აქვს...**

- მთლად ასეც არ არის საქმე. ნებისმიერი შემადგენლობით ყველა მატჩში ბოლომდე ვიბრძოლებთ და ვნახოთ, რა გამოვა და ვის რა ექნება გარანტირებული. ერთი მხრივ, კარგი ის არის, რომ ჭაბუკები უმაღლეს ლიგაში გამოცდილებას შეიძენენ, დალვინდებიან... მერე გამოცდილი ფეხბურთელებიც დაგვემატებიან და მათ გვერდითაც გაიზრდებიან ახალბედები...

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი ფეხბურთელი

# დინამოსთან თამაში ჩვენთვის ზეიმი იქნება

## კუპერი პირველი არ არის, ვინც ეს გვასწავლა


ალექსანდრე კვახაძე

„ვიტ ჯორჯიამ" ამ სეზონის მეორე ეტაპზე გაუთვალისწინებელი ქულები დაკარგა - წინა ტურში „გაგრას" ვერ მოუგო (0:0), მანამდე კი ბოლნისის „სიონის" დამარცხება ვერ შეძლო (1:1). ამასობაში, ჩემპიონატის ლიდერს „დინამო" ერთქულიან დისტანციაზე მიუახლოვდა...

სეზონის მეორე ეტაპზე „ვიტ ჯორჯია" და „დინამო" ერთხელ უკვე შეხვდნენ (1:1 გორში) ერთმანეთს. იმ მატჩში ვიტელებს გრიპის გამო ვერ ეხმარებოდა გუნდის კაპიტანი **ალექსანდრე კვახაძე** და ხელისგულზე დადებულივით ერთხელაც გამოჩნდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ფეხბურთელია ის „ვიტ ჯორჯიასთვის" - კვახაძის გარეშე გუნდს დაცვაშიც უჭირდა და შეტევაშიც, როცა სტანდარტულ სიტუაციებში თავით თამაში იყო საჭირო.

*„პირველობის დასრულებას ბევრი ალარაფერი უკლია. ჩემპიონობა გვინდა და ყოველი თამაშის წინ განსაკუთრებული დაძაბულობა დაგვჩემდა. ახლა ხომ თითოეულ ქულას ძალიან დიდი ფასი აქვს. ქულების დაკარგვის მთავარი მიზეზი კი მაინც საგოლე მომენტების გამოუყენებლობაა. „სიონთან" და „გაგრასთან" 11-მეტრიანი რომ ვერ გავიტანეთ, ეს ხომ მხოლოდ უიღბლობის ბრალია",-* გვითხრა კვახაძემ, რომლის „ვიტ ჯორჯიას" ჩემპიონობისთვის ოდენ „დინამო" ეცილება, დანარჩენ გუნდებს კი ამის მისხალი შანსი თუ შემორჩათ.

*„ვფიქრობ, „დინამო" შარშანდელზე უკეთესი გუნდია. გორის მატჩში, უხარისხო მოედნის გამო, ყველაფერს ბრძოლა განაპირობებდა, ფრის თამაში იყო. მიმდინარე ჩემპიონატში „დინამოს" ბოლოს სტუმრად კი ვეთამაშებით, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურად არის ასე - ეროვნულ სტადიონზე კარგი მოედანია და იქ თამაში „ვიტ ჯორჯიასთვის" ზეიმივითაა. ასე რომ, ჩვენთვის ეს გასვლითი მატჩი არ იქნება. საშინაო შეხვედრებსაც ხომ ფაქტობრივად სტუმრად ვთამაშობთ, გორი ჩვენი სახლი არ არის... მაგრამ „დინამოსთან" შეხვედრა მაინც სულ სხვა იქნება",-* ასე მიაჩნია „ვიტ ჯორჯიას" კაპიტანს.

„დინამო" და „ვიტ ჯორჯია" ამ ჩემპიონატში ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ორივეჯერ ფრეს გამორჩნენ. კვახაძე სიტუაციას თავისებურად არჩევს: *„ახლა ჩვენი ჯერია. ამდენ უიღბლობას გამართლება მოსდევს ხოლმე. ფეხბურთში ხშირად ასეც ხდება და ალბათ, ახლაც ასე იქნება, საგოლე მომენტებს გამოვიყენებთ და ჩემპიონები გავხდებით, უკვე რამდენი წელია, „ვიტ ჯორჯია" ჩემპიონი რომ არ ყოფილა".*

კვახაძე ეროვნული ნაკრების ფეხბურთელიცაა. პირველად ის იქ **კლაუს ტოპმიოლერმა** მიიწვია და მის სამსახურზე არც **ექტორ კუპერი** ამბობს უარს. რა თქმა უნდა, სანაკრებო გამოცდილება მას სატრანსფეროდ კიდევ უფრო წაადგება. რა ხანია, კვახაძე უცხოეთისკენ იხედება. წლეულს, შუასასეზონო პერიოდშიც აპირებდა „ვიტ ჯორჯიადან" უცხოეთში წასვლას, მაგრამ...

*„კლუბთან კონტრაქტი მაისში მიმთავრდება. გადაწყვეტილია, რომ „ვიტ ჯორჯიაში" აღარ დავრჩები. იანვარშიც მინდოდა წასვლა, მაგრამ ასეთ ვითარებაში მაინც დარჩენა გადავწყვიტე - პირველ ადგილზე ვართ, ჩემპიონობისთვის ვიბრძვით... 8 წელია, „ვიტ ჯორჯიაში" ვარ და არ იქნებოდა კარგი საქციელი, ასეთ დროს რომ მიმეტოვებინა",* - აგვიხსნა ლექსომ.

რომელ გუნდსა და რომელ ქვეყანაში აპირებს კვახაძე წასვლას, ჯერ მისთვისაც უცნობია. როგორც გვითხრა, მის ტრანსფერზე რამდენიმე მენეჯერი მუშაობს. კუპერმა კი ის ბოლო „სამშაბათობაზეც" მიიწვია. ვიტელთა კაპიტანს ამაზეც ვკითხეთ:

*„როგორც იცით, „სამშაბათობებზე" ტაქტიკური ვარჯიშებია. მთლად ისეც არ არის, თითქოს ყველაფერი ეს პირველად კუპერისგან გავიგეთ, ასე რომ იყოს, ფეხბურთს საერთოდ ვერ ვითამაშებდით. ასეთ ვარჯიშს ყოველდღე ნამდვილად ვერ ჩაატარებ, რადგან ბევრი მოძრაობა არ გიწევს. კარგი იქნება, თუ ასეთი ვარჯიში ორ კვირაში ერთხელ მაინც იქნება. უბრალოდ, რაც იცი, იმას გადაიმეორებ",* - გვიპასუხა კვახაძემ.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერი

# ვაჟა თითქმის ჩემპიონია

## მოლდოვაში ქართველთა მატჩებაა

გუშინ ტირასპოლში 24-ე ტურის და, ალბათ, სეზონის ცენტრალური მატჩი გაიმართა - ჩემპიონმა და ლიდერმა „შერიფმა" ერთადერთ კონკურენტ კიშინიოვის „დაჩიას" უმასპინძლა. ამ შეხვედრაში ოთხმა ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშა. ალბათ, გაგიკვირდებათ, რადგან აქამდე „შერიფში" მხოლოდ ერთი ჩვენებური **ვაჟა თარხნიშვილი** (18 თამაში), ხოლო „დაჩიაში" ორი - **ლევან კორღალიძე** (18 თამაში, 4 გოლი) და **ჯაბა დვალი** (8 თამაში, 6 გოლი) ირიცხებოდა. ამ გუნდში აღმოჩნდა „როსტოვში" დაწუნებული **კახა მჟავანაძეც** და უმალ სასტარტო შემადგენლობაში მოხვდა.

ტრადიციულად, „შერიფი" კაპიტანმა თარხნიშვილმა გაიყვანა მოედანზე. ახალწვეულ მჟავანაძის გარდა, სტუმართა სასტარტოში **ლევან კორღალიძეც** გამოჩნდა, ხოლო წინა ტურში „დაჩიას" საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული **ჯაბა დვალი** სათადარიგოთა სკამზე იჯდა. პირველ ტაიმში მატჩის ყველაზე აქტიური მოთამაშე - კორღალიძე იყო.

დვალი 67-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში, მაგრამ „დაჩიამ" გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება ვერ შეძლო. თამაში თითქოს ფრედ უნდა დასრულებულიყო. მსაჯმა მატჩს სამი წუთი დაუმატა და... მასპინძელთა ნახევარმცველმა **ალექსანდრ ერიოხინმა** გამარჯვების გოლიც გაიტანა - 1:0. ამით მან ჩემპიონატს, ფაქტობრივად, ინტრიგა მოუკლა, რადგან „შერიფი" უკვე 8 ქულით უსწრებს „დაჩიას", თან ერთი თამაში რეზერვში აქვს. ამავე ტურში „ცსკა-"რაპიდი" შინ „ისკრა-სტალს" დაუზავდა - 0:0. ამ შეხვედრამ ჩვენი ყურადღება იმიტომ მიიქცია, რომ სტუმართა სათადარიგოთა სკამზე 19 წლის ქართველი ფორვარდი **ალექსანდრე ბაციკაძე** (10 მატჩი) იჯდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინტერვიუ

**თორნიკე თარხნიშვილი**

# ასე მითხრეს, ქართველებმა სახელი გაიტეხეთო


თორნიკე თარხნიშვილი

**თორნიკე თარხნიშვილმა** ცხინვალის „სპარტაკში" მიმდინარე ჩემპიონატის პირველი წრე ჩაატარა. მან დეკემბერში დატოვა კლუბი და მას მერე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების კაპიტანს ვერსად მივაკვლიეთ. თავიდან გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს თორნიკე „სიონში" ჩაირიცხა, მაგრამ ბოლნისელთა მთავარმა მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ გაიკვირვა - თარხნიშვილს ჩვენთან არც უვარჯიშიაო...

და აი, თორნიკე კახა ცხადაძემ ახალგაზრდული ნაკრების სამშაბათის ვარჯიშზე გამოიძახა. სწორედ იქ მოგვეცა ფეხბურთელთან გასაუბრების საშუალება...

**- თორნიკე, მხოლოდ ის ვიცით, რომ ამჟამად უგუნდოდ ხარ. რატომ არ დარჩი „სპარტაკში"? სათამაშო პრაქტიკა მაინც გექნებოდა...**

- საქართველოში დარჩენა არ მინდოდა და ამიტომაც გადავწყვიტე რუსეთში წასვლა. ერთი თვე პერმის „ამკარში" ვვარჯიშობდი...

**- თითქოს, უკვე გადასული იყავი ბოლნისის „სიონში"...**

- როცა ეს პრესაში დაიწერა, იმ დროს უკვე რუსულ კლუბთან ერთად ანთალიურ შეკრებაზე ვიყავი, „ამკარის" შემადგენლობაში 5 საკონტროლო შეხვედრაშიც ვითამაშე და, სხვათა შორის, 3 გოლიც გავიტანე - სიმფეროპოლის „ტავრიასთან", „ხარკოვთან" და ერთ-ერთ ნორვეგიულ კლუბთან, რომლის სახელიც აღარ მახსოვს. დამეთანხმებით, ალბათ, რომ მცველისთვის 5 მატჩში 3 გოლი ბრწყინვალე შედეგია. კლუბის ხელმძღვანელები კმაყოფილნი დარჩნენ იმითიც, თუ როგორ ვითამაშე დაცვაში და 3-წლიანი კონტრაქტიც შემომთავაზეს... თუმცა „ამკარში" მაინც ვერ დავრჩი. საქმეში ჩემი უკრაინელი მენეჯერი ჩაერია. ტრანსფერი სწორედ მისი უზომო მადის გამო ჩამეშალა. თავიდან მითხრა, შენში ფულს არ იხდიანო. საქართველოში დავბრუნდი და თავად გადავწყვიტე რუსებთან დაკავშირება. რატომღაც, მენეჯერს ბოლომდე ვერ ვენდობოდი და როგორც აღმოჩნდა, არ ვცდებოდი - მითხრეს, შენმა აგენტმა ნახევარი მილიონი დოლარი მოითხოვა, ამხელა ფულს კი ქართველში არ გადავიხდით, რადგან სახელი გაქვთ გატეხილიო... გული ჩამიკვდა. ქართველი, ვინც რუსეთში ან ევროპაში წავიდა, ცოტა ფული იშოვა და როგორც კი მისი ტალანტი უნდა გამოჩენილიყო, სწორედ მაშინ დაეწყოთ რეგრესიო, შენს შემთხვევაშიც ასე რომ მოხდეს, ფული წყალში გადაყრილი იქნებაო... თბილისში სულ რაღაც 10 დღის წინ ჩამოვედი და მხოლოდ წამოსვლის შემდეგ შევიტყვე ასეთი ამბავი. მერე საქმის გარკვევას აზრი აღარ ჰქონდა. რუსეთში სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა და დროებით უგუნდოდ დავრჩი. იყო შემოთავაზებები დანიიდან და ავსტრიიდან, მაგრამ სატრანსფერო ფანჯარა იქაც დაიხურა და საქართველოში მომიწევს დარჩენა. სიმართლე გითხრათ, უცხოეთში ნაჩქარევად წასვლა არც მინდოდა...

**- მაისამდე სად ითამაშებ?**

- ახლა წყდება ეს ამბები და ვნახოთ... ალბათ, საქართველოში დავრჩები.

**- უკრაინელ მენეჯერთან ისევ თანამშრომლობ?**

- არა, იმასთან როგორღა ვითანამშრომლებ?!

**- ცხინვალის „სპარტაკში" გავლილი მომზადებით რუსულ კლუბში ვარჯიში გაგიჭირდებოდა...**

- რა თქმა უნდა, ძალიან გამიჭირდა, ერთი თვე გაძლებაზე ვიყავი, ცალკე ადაპტაციის პროცესი იყო რთული... უცხო გუნდში გაშინაურება ასე იოლი არ არის, მით უფრო, რუსულ კლუბში. თუმცა ეს ბარიერი მაინც გადავლახე, პრობლემას მძიმე დატვირთვებიც არ მიქმნიდა, მერე საკონტროლო მატჩებში სამი გოლი გავიტანე და ჩემდამი ფეხბურთელებიც პატივისცემით განეწყვნენ.

**- კობა ჟორჟიკაშვილის გაზრდილი ხარ. ეს სკოლა თუ გამოგადგა რუსეთში ყოფნისას?**

- რა თქმა უნდა, გამომადგა, რადგან ფეხბურთელები მისგან სერიოზულ ტაქტიკურ განათლებას ვიღებდით, ძალიან დამეხმარა ტექნიკური წუნის დაძლევაშიც... ფიზიკურად კი რუსებთან ყოველთვის გვექნება ჩამორჩენა, რადგან მოსამზადებლად მათ გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ.

**- როგორც გავიგეთ, უკრაინაში უგუნდოდ მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებში ვარჯიშობდი...**

- კი, იყო ასეთი რამ, სანამ პერმის „ამკარში" წავიდოდი, მაგრამ ამით მხოლოდ ფორმას ვინარჩუნებდი და მეტი არაფერი. მაშინ აგენტიც არ მყავდა, ის მენეჯერი ჩემით კიევში დაინტერესდა...

**- კიევში უგუნდოთა შორის როგორ მოხვდი?**

- თავად დამიკავშირდნენ და უარს ხომ არ ვიტყოდი, როცა ვიცოდი, რომ ამ გასინჯვებით ვიღაცის ყურადღების ცენტრში მოხვედრის შანსი მექნებოდა. სხვათა შორის, ამ გუნდს რუსთავის „ოლიმპის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი ანატოლი პისკოვეცი ავარჯიშებდა და არ იფიქროთ, რომ უყურადღებოდ ვიყავით, პირიქით, ევპატორიაში მოგვიწყვეს შეკრება და ისეთ პირობებში ვიყავით, ნებისმიერი გუნდი ისურვებდა. მე არ ვიცოდი და თურმე, მსგავსი პრაქტიკა საბჭოთა კავშირის დროს, რუსეთსა და უკრაინაში დანერგეს. საკმაოდ კარგი შედეგებიც მიუღიათ. ჯერ ერთი, ფეხბურთელები ფორმას ინარჩუნებენ და მეორეც - სხვადასხვა გუნდის მწვრთნელები მათ შორის საინტერესო ფეხბურთელებს პოულობენ ხოლმე.

**- ამ გუნდს ვინ აფინანსებს? შეკრებას ხომ სოლიდური თანხა სჭირდება?**

- ვიღაც უკრაინელი ბიზნესმენი აფინანსებს, იდეა კი უკრაინის ფეხბურთის ფედერაციას ეკუთვნის. მარტო მე არ ვიყავი უცხოელი, ჩემ გარდა იქ რუსები, მოლდოველები, ბელორუსები და სერბებიც კი ვარჯიშობდნენ.

**- პისკოვეცი საქართველოდან გულნატკენი წავიდა. ვითომ ესიამოვნა ქართველის დანახვა?**

- ძალიან თბილად მიმიღო. მეორე მწვრთნელი კიევის „დინამოს" ყოფილი ნახევარმცველი ვიტალი კოსოვსკი იყო. ეტყობოდა, რომ ქართველები იმასაც უყვარდა, ისიც ძალიან კარგად შემხვდა...

**მერაბ მამულაშვილი**

# რატიგოლი

გუშინ უნგრეთის თასის საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში ქართველების „დიორი ეტომ" მეორე ლიგის „კაზინჩბარჩიკა" შინ 7:0 გაანადგურა (პირველი თამაში 2:1) და შემდგომ ეტაპზე გავიდა. **რატი ალექსიძე**, რომელიც მეორე ტაიმიდან ჩაერთო თამაშში, სუპერაქტიური იყო. მოედანზე შესვლიდან ათ წუთში მან პირველი გოლი შეაგდო, მერე **ბიჩაკს** გაატანინა მეექვსე ბურთი, 78-ე წუთზე კი თავად დასვა საბოლოო წერტილი. **დავით ოდიკაძემ** სრულად ითამაშა.

ავსტრიული ბუნდესლიგის გამოტოვებულ მატჩში ჩვენების „შტურმმა" ცხრილში მეზობლად მყოფ „კერნტენთან" სტუმრად 4:2 წააგო. **გიორგი შაშიაშვილმა** და **ილია კანდელაკმა** დაცვაში თავიდან ბოლომდე ითამაშეს.

**დავით ცაბაძე**


რატიმ (№10) დუბლი მიითვალა

[illegible]

# მქექავი მწვრთნელი, არაჩვეულებრივი ქომაგი და გადანერგილი ხრტილი

რომ არა ტრავმები, ვინ იცის, იქნებ ძმებ არველაძეებიდან საუკეთესო კარიერა არჩილს ჰქონოდა. როგორც უნდა იყოს, არჩილ არველაძემ თავი დაგვამახსოვრა ძალიან საინტერესო ფეხბურთელად. ნაკრებში მან 38 მატჩი ითამაშა და 6 გოლი გაიტანა, კლუბებშიც არ ჰქონია ურიგო მონაგარი, საერთო ჯამში კი საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ დახარჯა, ფეხბურთელობას თავი 29 წლისამ დაანება...

ფინტები, გოლები, არაორდინარული გადაწყვეტილების მიღების უნარი, ყინი და ფატალური უიღბლობა - ხუთი ოპერაცია, ბრძოლა ფეხბურთის სათამაშოდ...

2000/01 წლების სეზონისთვის აჩი, როგორც მას ახლობლები მიმართავენ, ჰოლანდიური „ბრედადან" ბუნდესლიგაში გადავიდა. 28 თამაში და 23 გოლი - ასეთი იყო მისი შედეგი ჰოლანდიის 1999-2000 წლების პირველ დივიზიონში და მომდევნო, კიოლნური სეზონიც როდი გამოდგა მთლად უბარაქო - 26 მატჩი და 7 გოლი. „კიოლნი" კი საკმაოდ ტრადიციული კლუბია. იქ უთამაშიათ ისეთ ვარსკვლავებს, ვოლფგან ოვერატი, ბერნდ შუსტერი, პიერ ლიტბარსკი, თომას ჰესლერი, კლაუს ალოფსი და ჰარალდ შუმახერი რომ იყვნენ...

ერთი სიტყვით, არჩილ არველაძე კარიერის ბუნდესლიგურ პერიოდზე მოგვითხრობს...

დავით თავართქილაძე





კიოლნამდე არჩილ არველაძეს მუხლში ბევრჯერ მოხვედრია

„ბრედაში" 1997 წელს მივედი. მაშინ ეს გუნდი ჰოლანდიის უმაღლეს ლიგაში თამაშობდა და გერმანელი მწვრთნელი ჰყავდა - ჰერბერტ ნოიმანი. ის კიოლნელია, ამ ქალაქში დაიბადა და „კიოლნისავე" ფეხბურთელი იყო. ჰოლანდიამდე მწვრთნელად „ისთანბულსფორში" მუშაობდა და იქიდან იცოდა ჩემი თურქული კარიერის შესახებ. „ბრედაში" წელიწადნახევარი რომ გავატარე, ნოიმანი მერე წავიდა გუნდიდან. მასთან სატელეფონო კონტაქტი სულ მქონდა, ურთიერთობა არ გაგვიწყვეტია. როცა „ბრედასთან" ხელშეკრულება მეწურებოდა, ერთხელაც შემეხმიანა და „კიოლნში" გადასვლაზე ჩამომიგდო სიტყვა. მერე საქმეში ჩემი აგენტი, ივან ბენეშიც ჩაერთო და „კიოლნში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავედი.

„კიოლნამდე" მიონხენგლადბახის „ბორუსიაზე" იყო ლაპარაკი და სიმართლე გითხრათ, იქ გადასვლა უფრო მხიბლავდა - ჯერ ეს ერთიც, „გლადბახი" „კიოლნზე" უფრო ტრადიციული და ტიტულოვანი კლუბია, და კიდევ ის, რომ მაშინ ამ გუნდს ჰანს მაიერი წვრთნიდა, ჩვენთვის ძალიან კარგად ნაცნობი კაცი, 1971-83 წლებში იენის „კარლ ცაისის" ყოფილი მწვრთნელი. მაიერი უფრო ჰოლანდიური სტილის მწვრთნელია. როცა მე „ბრედაში" ვიყავი, ის ენსხედეს „ტვენტეს" წვრთნიდა და მის გუნდში თამაშიც მომხიბვლელი იყო ჩემთვის, მაგრამ 2000/01 წლების სეზონისთვის „გლადბახმა" ბუნდესლიგაში გადასვლა ვერ მოახერხა და „კიოლნში" წასვლა გადავწყვიტე.

მაშინ „კიოლნს" **ევალდ ლინენი** ავარჯიშებდა, გუნდში გამორჩეული ფეხბურთელი **დირკ ლოტნერი** გახლდათ, არ იყო სწრაფი, მაგრამ ბურთს ჩინებულად ფლობდა. „კიოლნში" იყო **კრისტიან ტიმი**, ვინც ახლა „კარლსრუეში" **ალექსანდრე იაშვილის** თანაგუნდელია. ტიმი მაშინ ძალიან პერსპექტიულ ახალგაზრდად ითვლებოდა. „კიოლნში" მოვიდა ჩეხეთის ნაკრების ფეხბურთელი **მიროსლავ ბარანეკი**, ის საკმაოდ კარგი მოთამაშე გახლდათ, მაგრამ მერე ავტოავარიაში მოჰყვა და ისეთი ტრავმა მიიღო, ფეხბურთი ველარ ითამაშა.

ლინენი გუნდს ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელით ათამაშებდა, ორი შემტევი კი მის უკან იყო გამწესებული და ხშირად ერთ-ერთი მათგანი მე ვიყავი. ლინენი ნამდაუწუმ მიცვლიდა პოზიციას, მის ხელში „კიოლნში" სულ ხუთ პოზიციაზე ვითამაშე, მათ შორის, საყრდენ ნახევარმცველადაც. ლინენი ნორმალური მწვრთნელია, მაგრამ უცნაურობებიც ახასიათებდა, რაღაცაზე ჩააცივდებოდა ფეხბურთელს... მაგალითად, მე მეკითხებოდა ხოლმე, რა საჭმელსა და სასმელს მიირთმევო... თითქოს, სულ რაღაცას ქექავდა.

2000/01 წლების სეზონში 7 გოლი კი გავიტანე, მაგრამ „კიოლნში" თავდამსხმელად არც ერთ მატჩში არ მითამაშია. მანამდე, „ბრედაში", მუდამ ფორვარდი ვიყავი, ორი გამოკვეთილი თავდამსხმელიდან ერთ-ერთი მე ვიყავი. პირველ კიოლნურ სეზონში ტრავმას არ შევუწუხებივარ, საერთო ჯამში ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა...

კიოლნი კარგი ქალაქია. იქ თავმოყრილია არა ერთი ტელევიზიისა და გაზეთის სათავო ოფისი. ამიტომ, გუნდიც სულ მასმედიის ყურადღების ქვეშ გახლდათ მოქცეული და გუნდისთვის ეს თავისებური წნეხი იყო. სამაგიეროდ, „კიოლნს" არაჩვეულებრივი გულშემატკივარი ჰყავდა. მათ წინაშე თამაში ძალიან სასიამოვნო იყო. კარგი სტადიონი, ჩინებული სავარჯიშო პირობები - ამ ყველაფრით „კიოლნი" ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იყო. გამომდინარე ყველა ფაქტორიდან, იმ სეზონში საკმაოდ ნორმალურ შედეგს მივაღწიეთ - ბუნდესლიგაში მეათე ადგილზე გავედით.

ჩემს პირველ ოთხ ბუნდესლიგურ შეხვედრაში ორი გოლი გავიტანე - „აინტრახტთან" და „კაიზერსლაუტერნთან". ორივე ნალდი გოლი იყო, მაგრამ არც ერთი არ ჩამითვალეს. „კაიზერთან" მართლაც ძალიან კარგად ვითამაშე, ისეთი აქტიური ვიყავი, მატჩის მიწურულს დავიღალე და მწვრთნელმა 89-ე წუთზე შემცვალა. მოედნიდან რომ გავდიოდი, ლინენმა მითხრა - აწი არასდროს შეგცვლიო, მაგრამ მერე ხან არ მაყენებდა სასტარტოში, ხან ადრე მცვლიდა.

ბუნდესლიგაში გოლების ანგარიში „ჰერტასთან" მატჩის დროს გავხსენი. დიაგონალური გადაცემა გაკეთდა მეტოქის საჯარიმოში, ლოტნერმა ვერ შეაგდო, ბურთი ხტუნვა-ხტუნვით წამოვიდა ჩემკენ და კარგად დავაფარე ფეხი - შესასრულებლად რთული გოლი გამოდგა. 7-დან ყველაზე ლამაზი „ვერდერის" კარში გატანილი გოლი გამოდგა - აუტიდან ჩაწოდებული ბურთი თავით მოვიგე, მარჯვენათი გავისწორე და ნახევარბრუნში ცაციათი დავარტყი. სხვათა შორის, „ვერდერს" იმ სეზონში ბრემენშიც გავუტანე გოლი. ზუსტად არ მახსოვს რომელ მატჩში, მაგრამ იმ სეზონში „კიკერისგან" ჩემი ყველაზე მაღალი შეფასება 1,5 გამოდგა.

გოლი ვერ გავუტანე „ბაიერნს", არადა შინ 0:1 რომ წავაგეთ, ძალიან კარგი საგოლე მომენტი მქონდა და ვერ გამოვიყენე. არა ერთი კარგი მატჩი ვითამაშეთ, მაგალითად, „შალკესთან" 0:2-ს ვაგებდით და 2:2 გავხადეთ, იმ შეხვედრაში მეც კარგად წამივიდა თამაში...

მომდევნო სეზონისთვის უკვე მუხლი ამტკივდა. ჯერ მენისკის ოპერაცია გავიკეთე, მაგრამ მთელი სახსარი ისეთ მდგომარეობაში მქონდა, მხოლოდ მენისკის ამოჭრა ვერ უშველიდა საქმეს. მუხლის ამოტეხილი ხრტილი ამომიღეს და დათესეს, ხრტილი რომ შეივსო, ისევ გადამინერგეს სახსარში - ეს უკვე მეხუთე ოპერაცია იყო მარჯვენა მუხლზე, თანაც საკმაოდ რთული. სამწუხაროდ, ამან კარგი შედეგი ვერ მოიტანა, 2001/02 წლების სეზონში სულ სამჯერ გავედი მოედანზე. ამასობაში „კიოლნის" საქმეებიც დაღმა წავიდა და ბუნდესლიგიდან გავარდა.

ვფიქრობ, ოპერაცია რომ არ გამეკეთებინა, წვალებ-წვალებით ერთ-ორ წელს კიდევ ვითამაშებდი, მაგრამ როცა ტკივილი გაწუხებს, ძნელია სწორი გადაწყვეტილების მიღება. მომდევნო სეზონისთვის „არმინიაში" მივედი. ვგრძნობდი, რომ მუხლი ბოლომდე მორჩენილი არ მქონდა, მაგრამ მაინც არ მეთმობოდა, კიდევ მინდოდა ფეხბურთის თამაში. დავიწყე „არმინიაში" ვარჯიში, თავიდან ყველაფერი კარგად წამივიდა, მუხლიც ძალიან არ მაწუხებდა, მაგრამ ერთ-ერთ ვარჯიშზე ბარიერებზე ბევრი გვახტუნავეს და მუხლი ძალიან ამტკივდა... არადა, კონტრაქტი უკვე მზად იყო ხელმოსაწერად.

„კიოლნში" გატარებულ პერიოდში ყველაზე ღირსშესანიშნავი ამბავი მაშინ მოხდა, როცა „მიუნხენ 1860"-ს სტუმრად ვეთამაშებოდით და თამაშის დღეს, დილით შევიტყვე, რომ ჩემი მეუღლე სამშობიაროში წაიყვანეს. მაშინვე დავტოვე მიუნხენი და კიოლნში წავედი, სადაც მეორე შვილი, სალომე შემეძინა...

## საქართველოს ჩემპიონატი

### პირველი, მეორე და ჭაბუკთა ლიგები

#### I ლიგა. აღმოსავლეთი

**სიონი 2–თბილისი 0:1**

0:1 ტორონჯაძე (82).

სიონი 2: ბობლიაშვილი, პატარქალაშვილი, ნაყოფია, ლ. ჩხეტიანი, არლვლიანი, კახნიაშვილი (75. ალფაიძე), ბუბუტეიშვილი, ლ. უგულავა, გაბრიჭიძე (60. გიორბელიძე), უგრეხელიძე, გოგიბერიშვილი (33. რუსეიშვილი).

სათადარიგოები: ბ. მესხი, გიგინეიშვილი, ჭაველაშვილი, ქობულაძე.

მთავარი მწვრთნელი: ჯონი ჯაგიდისი

თბილისი: გიორგობიანი, სარაჯიშვილი, ამისულაშვილი, ჭაფოძე, სებისკვერაძე, ხოხონიშვილი, გოგოხია, კორიფაძე (88. ბროლაძე), ზვიადაძე (53. გედენიძე), ჯაში (81. გურეშიძე), ტორონჯაძე.

სათადარიგოები: ბაბუნაშვილი, ოდიშარია, დევდარიანი, შუშიაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: გელა გომელაური

გაფრთხილება: უგულავა, პატარქალაშვილი, ბუბუტეიშვილი

გაძევება: გიორგობიანი (52)

არბიტრი: ლ. სილაგავა (თბილისი)

**დილა–ვიტ ჯორჯია 2 0:1**

0:1 სვანიძე (14)

დილა: კეჩხუაშვილი, ცოცხალაშვილი (41. დგებუაძე), თოდუა, თარგამაძე, ჩიხრაძე, მინდიაშვილი, ცერცვაძე, ბეგლარიშვილი, ბარამიძე (73. ტიელიძე), ფაილოძე (60. ანდღულაძე), იჩქითი.

სათადარიგოები: მაჭავარიანი, ქარდავა, დაჩანიძე, მსხვილიძე.

მთავარი მწვრთნელი: პაატა მეტრეველი

ვიტ ჯორჯია 2: მიქაბერიძე, ხურცილავა, ადამაძე, კასრაძე, ვეკუა, მაისაშვილი, ვასაძე, იოსელიანი (46. ცხოვრებაძე), დათუნაშვილი, როსტიაშვილი (79. ხოკერაშვილი), სვანიძე (66. გამრეკლიძე).

სათადარიგოები: ღურბელეიშვილი, ფურცელაძე, მიხანაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: მურაზ კოჭლაშვილი

გაფრთხილება: თოდუა, როსტიაშვილი, ვასაძე, ცხოვრებაძე.

გაძევება: კეჩხუაშვილი (41)

არბიტრი: ო. ხეცაძე (თბილისი)

**გაგრა 2–ამერი 0:2**

0:1 ლვინიაშვილი (78), 0:2 ჩიმაკაძე (90)

გაგრა: ხომერიკი, ტეტუნაშვილი, სეფიაშვილი, ლ. ქანთარია, გედენიძე, კილაძე, ფილია (60. მარგიანი), სეთურიძე, ფანცხავა (46. დემეტრაშვილი), ჩხაიძე (46. ბაგალიშვილი), მოსიაშვილი.

სათადარიგოები: ნაჭყებია, ჭაავა.

მთავარი მწვრთნელი: თეიმურაზ ჩხაიძე.

ამერი: ნადირაშვილი, სანიკიძე (62. ლვინიაშვილი), მოდებაძე, ელბაქიძე, ხატიაშვილი, კაკაბაძე, ხუციძე, მჭედლიშვილი, ჩიმაკაძე, ტიკურიშვილი (82. ლაფერაშვილი), ჯანელიძე (58. ქებაძე).

სათადარიგოები: გვენცაძე, ბენდელიანი, ცხოვრებაშვილი, ბოჯგუა.

მთავარი მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე.

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი (ყვარელი)

**დინამო 2–ჰერეთი 4:1**

0:1 ყორღანაშვილი (14), 1:1 ბოლქვაძე (35), 2:1, 3:1, 4:1 ზ. ქანთარია (40, 67, 78).

დინამო 2: ლოსაბერიძე, მინდორაშვილი, გეთიაშვილი, ჩადუნელი, ოთარაშვილი, ზ. ლობჟანიძე (68. ლეკვთაძე), ნემსაძე (77. მამუჩიშვილი), ბოლქვაძე, ნ. ჯიშკარიანი (46. კოპაძე), სიხარულიძე, ზ. ქანთარია.

სათადარიგოები: ნადირაძე, კეკელია, ჩიკვაიძე, ქავთარაძე.

მთავარი მწვრთნელი: დავით კევლიშვილი

ჰერეთი: ჯალიაშვილი, ბ. ფოფხაძე (53. ნვერავა), ა. აბაშიძე, ტაკაშვილი, ხარაიშვილი, ოქრუაშვილი, ყორღანაშვილი, მურმანიშვილი, თანდაშვილი (70. რეხვიაშვილი), მაჭარაშვილი, თ. ყაველაშვილი (76. კობერიძე).

სათადარიგოები: კურტანიძე, ნადირაძე

მთავარი მწვრთნელი: კარლო ნვერავა

გაფრთხილება: მაჭარაშვილი, ყორღანაშვილი, ხარაიშვილი, კოპაძე.

არბიტრი: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი | 19 | 13 | 4 | 2 | 32-[illegible] | 42 |
| 2. [illegible] | 19 | 13 | 3 | 3 | 33-13 | 42 |
| 3. ვიტ ჯორჯია 2 | 19 | 12 | 5 | 2 | 30-6 | 41 |
| 4. დინამო 2 | 19 | 7 | 7 | 2 | 31-14 | 37 |
| 5. დილა | 19 | 7 | 6 | 6 | 24-16 | 27 |
| 6. თბილისი | 19 | 7 | 3 | 9 | 27-27 | 24 |
| 7. სიონი 2 | 19 | 5 | 4 | 10 | 22-40 | 19 |
| 8. გაგრა 2 | 20 | 5 | 3 | 12 | 27-42 | 18 |
| 9. ნ/დინამო | 18 | 2 | 7 | 9 | 19-31 | 13 |
| 10. კახეთი | 18 | 2 | 5 | 11 | 9-30 | 11 |
| 11. ჰერეთი | 18 | 1 | 7 | 11 | 14-43 | 10 |

#### მეორე ლიგა

**აღმოსავლეთი XX ტური**

| | |
|---|---|
| ლიახვი-გარეჯი | 2:0 |
| ალგეთ-ერთობა | 2:0 |
| სპარტაკი-სამგორი | 4:2 |
| ამერი 2-ბორჯომი | 3:0 |
| იმედი-ზოოვეტი | 1:1 |
| IBSU-ჰერეთი 2 | 3:1 |
| ნ/დინამო 2-ლოკომოტივი | 0:3 |
| 35-ე სკოლა-დუშეთი | გადაიდო |
| არაგველები-ალაზანი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი 2 | 20 | 14 | 2 | 4 | 42-13 | 44 |
| 2. ლოკომოტივი 2 | 20 | 13 | 3 | 4 | 46-23 | 42 |
| 3. დუშეთი | 19 | 13 | 2 | 4 | 41-17 | 41 |
| 4. სპარტაკი 2 | 20 | 12 | 4 | 4 | 52-24 | 40 |
| 5. I.B.S.U. | 20 | 11 | 1 | 8 | 42-34 | 34 |
| 6. 35 ს.ს. | 19 | 10 | 4 | 5 | 35-28 | 34 |
| 7. გარეჯი | 20 | 10 | 3 | 7 | 32-23 | 33 |
| 8. ლიახვი | 20 | 9 | 4 | 7 | 35-31 | 31 |
| 9. იმედი | 20 | 7 | 6 | 7 | 27-28 | 27 |
| 10. ჰერეთი 2 | 20 | 8 | 1 | 11 | 39-35 | 25 |
| 11. სამგორი | 20 | 6 | 6 | 8 | 33-33 | 24 |
| 12. ერთობა | 19 | 7 | 2 | 10 | 24-43 | 23 |
| 13. ბორჯომი 2* | 20 | 7 | 1 | 12 | 23-43 | 22 |
| 14. ალგეთი | 20 | 6 | 4 | 10 | 26-43 | 22 |
| 15. არაგველები | 18 | 4 | 5 | 9 | 19-27 | 17 |
| 16. ზოოვეტი | 20 | 4 | 4 | 12 | 23-43 | 16 |
| 17. ალაზანი | 19 | 4 | 3 | 12 | 13-34 | 15 |
| 18. ნ. დინამო 2 | 20 | 3 | 3 | 14 | 15-45 | 12 |

* ბორჯომი 2 მოხსნილია გათამაშებიდან

**დასავლეთი XIV ტური**

| | |
|---|---|
| სამტრედია 2-მარგვეთი | 1:0 |
| კოლხეთი 2 (ფ)-ტორპედო | 1:0 |
| მერცხალი-სქური | 2:1 |
| ჭიათურა 2-გურია 2 | 0:3 |
| მარტვილი 2-ადელი | 0:0 |
| იმერეთი-ბაია 2 | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მერცხალი | 13 | 10 | 3 | 0 | 27-8 | 33 |
| 2. მარტვილი 2 | 13 | 8 | 2 | 3 | 21-12 | 26 |
| 3. კოლხეთი 2 | 13 | 8 | 1 | 4 | 23-13 | 25 |
| 4. ბაია 2 | 13 | 7 | 4 | 2 | 28-13 | 25 |
| 5. სამტრედია 2 | 13 | 6 | 2 | 5 | 15-14 | 20 |
| 6. იმერეთი | 13 | 6 | 1 | 6 | 15-16 | 19 |
| 7. გურია 2 | 13 | 6 | 1 | 6 | 23-18 | 19 |
| 8. ნ/ტორპედო | 12 | 4 | 2 | 6 | 10-15 | 14 |
| 9. ტორპედო 2 | 13 | 4 | 1 | 8 | 22-29 | 13 |
| 10. ჭიათურა 2 | 13 | 4 | 0 | 9 | 17-31 | 12 |
| 11. მარგვეთი | 13 | 3 | 3 | 7 | 13-23 | 12 |
| 12. ადელი | 13 | 3 | 3 | 7 | 16-25 | 12 |
| 13. სქური | 13 | 3 | 1 | 9 | 14-27 | 10 |

#### ჭაბუკთა ლიგა

**1993–94 წწ. გადადებული მატჩი**

| | |
|---|---|
| ბორჯომი-სპარტაკი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 18 | 17 | 1 | 0 | 67-4 | 52 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 18 | 12 | 4 | 2 | 40-16 | 40 |
| 2. ამერი | 18 | 12 | 2 | 4 | 43-23 | 38 |
| 4. ზესტაფონი | 18 | 9 | 3 | 6 | 27-24 | 30 |
| 5. მგლები | 18 | 7 | 4 | 7 | 36-24 | 25 |
| 6. ლოკომოტივი | 18 | 7 | 3 | 8 | 28-19 | 24 |
| 7. სპარტაკი | 18 | 6 | 4 | 8 | 19-26 | 22 |
| 8. გაგრა | 18 | 5 | 6 | 7 | 23-25 | 21 |
| 9. ოლიმპი | 18 | 5 | 5 | 8 | 24-33 | 20 |
| 10. ბორჯომი | 18 | 4 | 6 | 8 | 16-34 | 18 |
| 12. სიონი | 18 | 2 | 2 | 14 | 10-39 | 8 |
| 11. მესხეთი | 18 | 1 | 2 | 15 | 9-75 | 5 |





რეალი

# ფლორენტინოს გრანდიოზული გეგმები

## შეხვედრა მოურინიოსთან, ფიქრები რეალის ბრენდის გაყიდვაზე...

ჩვენი გაზეთის მკითხველი უნდა შეეგუოს, რომ მადრიდის „რეალში" რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებამდე **ფლორენტინო პერესზე** საუბარი საკმაოდ ხშირად მოგვიწევს. სხვაგვარად მუშაობის საშუალებას თავად ეს კაცი არ გვაძლევს. ფლორენტინო არც ბედს ეგუება და არც ყველაზე რთულ გამოწვევებს უფრთხის. პირიქით, სენიორ პერესი ყოველთვის მზად არის, ბედისწერა დუელში გამოიწვიოს და ისეთი რამ გააკეთოს, რაც რევოლუციას გამოიწვევს. სამეფო კლუბის ყოფილ პრეზიდენტს, უბრალოდ, არ შეუძლია, რომ ჩვეულებრივი საფეხბურთო ფუნქციონერივით იმოქმედოს. მას მხოლოდ დიდი საქმეების კეთება უყვარს. ბუნებრივია, ფლორენტინო პერესი პრეზიდენტის თანამდებობაზე დასაბრუნებლად ისევ და ისევ ხმაურიანი ტრანსფერების გაჩარხვით იბრძოლებს. ტრანსფერებში, რა თქმა უნდა, მხოლოდ ფეხბურთელების შეძენა არ იგულისხმება. სენიორ პერესის გარემოცვა არ მალავს, რომ ამ ადამიანის გამარჯვების შემთხვევაში, **ხუანდე რამოსი** თანამდებობას ვერ შეინარჩუნებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფლორენტინოს გუნდი მთავარი მწვრთნელის მემკვიდრის მოსაძებნად ინტენსიურად მუშაობს.

ბოლო რამდენიმე დღეა იწერება, რომ საუკეთესო შანსს **კარლო ანჩელოტი** ფლობს, თუმცა გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „რეალის" მთავარი მწვრთნელის პრესტიჟულ სავარძელში მოკალათების ყველაზე რეალური შესაძლებლობა **ჟოზე მოურინიოს** აქვს. ერთი შეხედვით, მულტიმილიარდერი მასიმო მორატისთვის მწვრთნელის წართმევა იოლი არ არის, მაგრამ „ელ მუნდო დეპორტივო" სრული სერიოზულობით აცხადებს, რომ სანდო წყაროებმა ფლორენტინო პერესისა და სეუ მოურინიოს პირადი მოლაპარაკების ფაქტი დაუდასტურეს. კატალონიური გაზეთის მტკიცებით, სამეფო კლუბის პრეზიდენტი მილანში იმყოფებოდა და ერთ-ერთი ფეშენებელური სასტუმროს პრივატულ დარბაზში ჟოზე მოურინიოს საიდუმლო გარემოში შეხვდა. ცხადია, მათი საუბრის დეტალები ფართო საზოგადოებისთვის უცნობია, თუმცა თუ ამ ორი ადამიანის შეხვედრა მართლა შედგა, ეს უკვე ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს. მოდით, რიტორიკული კითხვა დავსვათ, ფლორენტინო პერესი მილანში მოურინიოსთან მისი ოჯახის წევრების მოსაკითხავად ხომ არ ჩავიდოდა?

საგულისხმოა, რომ პრესაში სამეფო კლუბის ყოფილი პრეზიდენტის სამოქმედო გეგმების შესახებ ძალიან ბევრი სტატია იწერება. აშკარაა, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში სენიორ პერესს სავარძელში მოკალათება სულ სხვა პირობებსა და გარემოში მოუწევს. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, მსოფლიოში გამეფებული გლობალური ეკონომიკური კრიზისია. მაშინ, როცა უმსხვილესი ესპანური კომპანიები ერთმანეთის მიყოლებით კოტრდებიან, რა გარანტია არსებობს იმისთვის, რომ ფლორენტინოს მიერ დახარჯული ათეულობით მილიონი ევრო საპირისპირო შედეგს არ გამოიღებს? ამ კითხვაზე პასუხს „რადიო მარკას" კორესპონდენტ **მანუელ მარტინესის** საავტორო გადაცემაში გახმაურებული ინფორმაცია გაგვცემს:

*„პერესი არაჩვეულებრივი მენეჯერია, იმდენად კარგი, რომ მისი შესაძლებლობები ჯეროვნად არ არის დაფასებული. მაშინ, როცა უმსხვილეს ესპანურ კომპანიებს უმძიმესი პრობლემები აქვთ, ფლორენტინოს კომპანიამ არნახული მოგება მიიღო. მან შექმნილ კრიზისულ მდგომარეობას ალღო აუღო და კომპანია მუშაობის განსხვავებულ სისტემაზე გადაიყვანა. ის, რა თქმა უნდა, აცნობიერებს, რომ კრიზისულ პირობებში ძველი მეთოდებით ვერ იმუშავებს. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ პერესმა არჩევნებში გასამარჯვებლად ძალიან საინტერესო ეკონომიკური პროექტი შეიმუშავა. უფლება არ მაქვს, დეტალები გავახმაურო, ამიტომ ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო პუნქტზე ვისაუბრებ. სენიორ პერესი მიიჩნევს, რომ დღეს, როცა მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოების ეკონომიკას ბზარი გაუჩნდა, სამეფო კლუბმა კარი ფართოდ უნდა გაალოს და „რეალის" ბრენდით ივაჭროს. ამაში მხოლოდ სარეკლამო კონტრაქტების გაფორმება და ბილბორდების გამოკიდება არ იგულისხმება. პერესის აზრით, სამეფო კლუბის ხელმძღვანელობამ საგულდაგულოდ შერჩეულ და ავტორიტეტულ კომპანიებს „რეალის" სახელის გამოყენების უფლება უნდა მისცეს. მაგალითისთვის გეტყვით, რომ იაპონიაში ერთ-ერთი სამშენებლო კომპანია, რომელიც ასეულობით ათასი ადამიანისთვის რამდენიმე ახალი მინი-ქალაქის აშენებას აპირებს, თანახმაა, რომ „რეალის" ბრენდის გამოყენების უფლების სანაცვლოდ მადრიდული კლუბის ანგარიშზე 100 მილიონი ევრო გადარიცხოს."*

თითქოს უცნაურია - იაპონურ სამშენებლო კომპანიასა და მადრიდის „რეალს" რა საერთო უნდა ჰქონდეთ. შევეცდებით, მოკლედ აგიხსნათ. საქმე ის არის, რომ იაპონელები თუ ახლაშენებული მინი-ქალაქებისთვის „რეალთან" ასოცირებული სახელების დარქმევის უფლებას მიიღებენ, 100 მილიონ ევროს სიამოვნებით გადაიხდიან. მაგალითად, ერთ ასეთ მინი-ქალაქს „რეალ მადრიდს" დაარქმევენ, მეორეს - ალფრედო დი სტეფანოს, მესამეს - რაულს და ასე შემდეგ. ესპანელებისგან რა მიდის, უარი რატომ უნდა თქვან? ეს იაპონური კომპანია სწორედ ფლორენტინო პერესმა მოძებნა და თანამშრომლობაზეც პირადად მან დაითანხმა. საფეხბურთო ფუნქციონერს სხვადასხვა აუდიტორული კომპანიის დოკუმენტაცია იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას აძლევს, რომ ხსენებული სამშენებლო ორგანიზაცია სანდო და ავტორიტეტულია. პერესი გარანტიას იძლევა, რომ „რეალის" სახელს კლუბის ავტორიტეტისა და იმიჯის საწინააღმდეგოდ არავინ გამოიყენებს. ცნობილი გახდა, რომ „რეალის" ბრენდის გამოყენებისა და შესაბამისად, დიდი ფულის გადახდის სურვილი სხვა ქვეყნებში მოღვაწე ბიზნესმენებსაც გაუჩნდათ. მაგალითად, ერთ-ერთი ამერიკული კომპანიის ხელმძღვანელობა თანახმაა, დიდძალი თანხა გაიღოს, ოღონდ მადრიდიდან „რეალის" სახელწოდებით რესტორანთა ფართო ქსელის შექმნის უფლება მიიღოს. აღსანიშნავია, რომ ფლორენტინო ამ ბიზნესებში ერთ აქციასაც არ ითხოვს. გამარჯვების შემთხვევაში, ის ერთჯერადად დიდ თანხას მიიღებს. მომდევნო წლებში კი ლიცენზიის გაგრძლების სანაცვლოდ დამატებით ფული ერგება.

როგორც ხედავთ, ეს გრძელვადიანი პროექტებია, ანუ სამეფო კლუბი, ფაქტობრივად, მუქთა ფულს მაშინაც კი მიიღებს, როცა ბატონი პერესი პრეზიდენტი აღარ იქნება და პენსიაში გასული შვილიშვილებთან ერთად ჰავაის კუნძულებზე არხეინად დაისვენებს.

ამ თემაზე საუბარს კიდევ ორი საგულისხმო ინფორმაციით დავასრულებთ. პირველ რიგში, ბრიტანულ „სანში" დაბეჭდილ ცნობას გაგაცნობთ. მსხვილტირაჟიანი ტაბლოიდი ამტკიცებს, რომ პერესი გამარჯვების შემთხვევაში **დევიდ ბექჰემს** „სანტიაგო ბერნაბეუზე" დააბრუნებს. ინგლისელები ისევ ამ კაცის მარკეტინგულ ნიჭზე აპელირებენ და აცხადებენ, რომ ბექზის მადრიდში ჩაყვანა მას დიდ ფინანსურ სარგებელს მოუტანს. ეს სენსაციური ინფორმაცია ესპანურმა პრესამაც აიტაცა. ერთ-ერთმა გაზეთმა დაწერა, ქრისტეს მეორედ მოსვლა, ყველა თვალსაზრისით, მის დაბადებაზე გაცილებით დიდი მოვლენა იქნება, კომერციული თვალსაზრისით, აქედან უფრო მეტი სარგებლის მიღებაა შესაძლებელიო. ძნელი სათქმელია, ქრისტე, კომერცია და ბექჰემი ერთმანეთთან რა შუაშია, თუმცა, როგორც ჩანს, ჩვენი კოლეგა ერთგვარ იუმორისტულ პარალელს აკეთებს. ამაში ეპატაჟი ნაკლებად უნდა ვეძიოთ, რადგან ცივილიზებული სამყაროს სამოქალაქო საზოგადოებებში რელიგიურ საკითხებზე თავისუფლად ფიქრი და აზრების გამოხატვა ვნებათაღელვას დიდი ხანია, აღარ იწვევს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ესპანელი ჟურნალისტი ფიქრობს, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლითა და დევიდ ბექჰემის სამეფო კლუბში დაბრუნებით დიდი ფულის გაკეთება შეიძლება.

ამასობაში, ფლორენტინოს საინიციატივო ჯგუფმა სოსიოების გამოკითხვა დაიწყო. მოგეხსენებათ, არჩევნებში მონაწილეობას სწორედ სამეფო კლუბის საზოგადოების ათიათასობით წევრი იღებს. სენიორ პერესს აინტერესებს სოსიოებში როგორი მხარდაჭერა აქვს. გარდა ამისა, ის ოპონენტების არგუმენტების კვლევასაც ახორციელებს. პრეზიდენტის თანამდებობის მაძიებელი მზადაა ნებისმიერი რეზონული და კონსტრუქციული წინადადება განიხილოს და მის პროექტში ხელუხლებლად, ან გარკვეული შესწორებებით შეიტანოს.

ვილიარეალი

# პირესი ხელფასის შემცირებას დათანხმდა

## ეკონომიკური კრიზისი ყვითელ წყალქვეშა ნავსაც მისწვდა

ფინანსური კრიზისის ქარბუქში მოხვედრის საფრთხე „ვილიარეალსაც" ემუქრება. კლუბის ხელმძღვანელებმა გუშინ პრესკონფერენცია გამართეს და განაცხადეს, რომ შემოსავალმა იკლო და ბიუჯეტის ხელახლა დაგეგმვა სჭირდებათ. ეს ინფორმაცია ყველასთვის უსიამოვნო იყო, თუმცა, წესით, ყველაზე მეტად **რობერ პირესი** უნდა დაემწუხრებინა. ფრანგ ნახევარმცველს პრეზიდენტმა **ფრანსისკო როიგმა** პირდაპირ უთხრა, ძალიან გვიყვარხარ, მაგრამ თუ კონტრაქტის გახანგრძლივება გსურს, ხელფასის შემცირებას უნდა დათანხმდეო. პირესი ხელწამოსაკრავი ფეხბურთელი ნამდვილად არ გახლავთ. მას ძალიან წარმატებული კარიერა ჰქონდა და ასეთი ფეხბურთელისთვის ხელფასის შემცირებაზე დალაპარაკება ერთი შეხედვით დიდი თავხედობაა, თუმცა რობერი პრეზიდენტის შეთავაზებას მშვიდად შეხვდა და სენიორ როიგს დადებითი პასუხი გასცა. ამ გადაწყვეტილებით საზოგადოება მან დიდად გააოცა. ჟურნალისტების მოთხოვნით ფრანგმა ნახევარმცველმა გუშინ საღამოს საგანგებო პრესკონფერენცია გამართა:

*„ხელფასის შემცირება რომ გაგიხარდეს, ან ალტრუისტი უნდა იყო ან იდიოტი. რა თქმა უნდა, არ გამხარებია, მაგრამ პრეზიდენტს უპრობლემოდ დავთანხმდი. უნდა გითხრათ, რომ რამდენიმე საინტერესო წინადადება მაქვს. შემიძლია, სხვა კლუბში გადავიდე და მომავალ სეზონში 50 პროცენტით მეტი ფული ვიშოვო, თუმცა მე ამას არ გავაკეთებ. მიზეზი მარტივია, ახალგაზრდა ფეხბურთელი აღარ მეთქმის. „ვილიარეალში" ძალიან მშვიდად და კომფორტულად ვგრძნობ თავს. რაც მთავარია, ჩემი ოჯახი ვალენსიაში ძალიან ბედნიერად ცხოვრობს. ფული არ მაკლია და აქედან წასვლის მიზეზს ვერ ვხედავ. მე ძალიან კარგად მესმის, რომ მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა „ვილიარეალსაც" შეუქმნა სერიოზული პრობლემები. ეს გუნდი მიყვარს და მზად ვარ, შეძლებისდაგვარად ვემსახურო. პრეზიდენტმა და მწვრთნელმა მითხრეს, ჰაერივით გვჭირდები, მაგრამ გაგვიგე, ძველებურად ველარ გადაგიხდითო. ვამპირი ხომ არ ვარ, რომ ამ პატიოსანი ხალხისთვის სისხლი გამომეწოვა"?*

როიგი პირესის საქციელით აღფრთოვანებული დარჩა: *„რობერი გენიალური ადამიანია. მან კი თქვა, დავბერდი და ამიტომაც არ მივდივარო, მაგრამ ის მხოლოდ და მხოლოდ „ვილიარეალისა" და მისი თანამშრომლების სიყვარულით რჩება. თორემ ფეხბურთიდან წასასვლელად მომზადებული ფეხბურთელები კარიერის ბოლო სეზონებში, პირველ რიგში, ფულის მოხვეჭას ცდილობენ. ამაში ცუდი არაფერია, უბრალოდ, ხაზი მინდა გავუსვა, რომ პირესი დიდსულოვნად მოიქცა და ამას არასოდეს დავუვიწყებ. კბილებში გამცრა, როცა ვუთხარი, სხვა გამოსავალი არ გვაქვს, ახალ კონტრაქტში შემცირებული თანხა უნდა ჩავწეროთ-მეთქი. ბოდიში მოვუხადე და შევთავაზე, ეკონომიკური პრობლემების არსებობაში რომ დარწმუნდე, ბუღალტერიაში ჩაგახედებ-მეთქი. მიპასუხა, რა სისულელეა, მჯერა თქვენი და მზად ვარ, შემცირებული ხელფასის სანაცვლოდაც ვითამაშოო. პირდაპირ გეტყვით, ამ ბიჭით აღფრთოვანებული ვარ".*



გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ესპანეთის ნაკრები



# ხმა ხალხისა: დააბრუნეთ რაული!

## მასშტაბური სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგი შთამბეჭდავია: 73 პროცენტი გონსალეს ბლანკოს ითხოვს!

გასული ორი თვის განმავლობაში „დიარიო მარკას“ დაკვეთით ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული და გამოცდილი სოციოლოგიური კომპანია ესპანური ფეხბურთის გულშემატკივრებში ფართომასშტაბიან გამოკითხვას ატარებდა. გამოკითხვის მიზანი **რაულის** ნაკრებში დაბრუნების თაობაზე საზოგადოებრივი აზრის დადგენა გახლდათ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოკითხვა წლების განმავლობაში აპრობირებული სამეცნიერო მეთოდოლოგიით ჩატარდა. შედეგი მრავლისმეტყველია, გულშემატკივრების 73 პროცენტი მიიჩნევს, რომ სელექსიონის თავკაცმა **ვისენტე დელ ბოსკემ** გონსალეს ბლანკო ეროვნულ გუნდში აუცილებლად უნდა გამოიძახოს. 18 პროცენტს პასუხის გაცემა გაუჭირდა. შესაბამისად გამოკითხულთა მხოლოდ 9 პროცენტს მიაჩნია, რომ სამეფო კლუბის კაპიტნის მატარებელმა უკვე ჩაიარა და ნაკრებში მისთვის ადგილი არ მოინახება. სოციოლოგიური კვლევა უკლებლივ ყველა მსხვილ ქალაქში ჩატარდა. ქალაქების მონაცემებზე დეტალური საუბრით თავს არ შეგაწყენთ, მოკლედ გეტყვით, რომ რაულს ყველა ქალაქში მცხოვრები გულშემატკივრების აბსოლუტური უმრავლესობა უჭერს მხარს. ყველაზე ნაკლები ქომაგი გონსალეს ბლანკოს ბარსელონაში აღმოაჩნდა. ვფიქრობთ, ამის მიზეზის დადგენა ძნელი არ არის. თავიდანვე მისახვედრი იყო, რომ „ბარსას“ ინჩადა „რეალის“ სიმბოლოდ შერაცხულ ფეხბურთელს არ გაანებივრებდა, თუმცა რაულს მხარდამჭერები კატალონიის დედაქალაქშიც უხვად აღმოაჩნდა.

სოციოლოგიური კვლევის პასუხი ძალიან საინტერესო დროს გახდა ცნობილი. ვისენტე დელ ბოსკეს ზუსტად ერთი დღე დარჩა იმისთვის, რომ თურქეთთან სათამაშოდ გამოძახებული ფეხბურთელების სია გამოაქვეყნოს. „დიარიო მარკას“ კორესპონდენტებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ დელ ბოსკეს გამოკითხვის შედეგზე დალაპარაკებოდნენ, მაგრამ მწვრთნელმა საუბარი არ ისურვა. მისი სახელით ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის პრესსამსახურმა მოკლე განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია, რომ განაცხადი პარასკევს, ნაშუადღევს გამოქვეყნდება. მართალია, დელ ბოსკემ კორესპონდენტებთან საუბარი არ ისურვა, მაგრამ გამორიცხულია, გამოკითხვის შედეგები მისთვის უცნობი დარჩეს. საინტერესოა, გულშემატკივრების მკაფიო პოზიცია სენიორ ვისენტეზე როგორ გავლენას მოახდენს? მიმომხილველები ამთავითვე წერენ, თუ დელ ბოსკე რაულს გამოიძახებს, ეს საზოგადოებრივი აზრის გამარჯვება იქნებაო. კაცმა რომ თქვას, წინასწარი განცხადებით, მედია გონსალეს ბლანკოს ოცნების ასრულების შანსს უმცირებს. სელექსიონის თავკაცი პრინციპული ადამიანია და შესაძლოა, რაული ჯინაზე არ გამოიძახოს.

თავად ფეხბურთელი კი შექმნილ აჟიოტაჟს ძალიან მშვიდად ხვდება და ასეთ რამეს ამბობს: *„თუ დამირეკავენ და ნაკრებში მიმიწვევენ, უზომოდ ბედნიერი ვიქნები. ეროვნულ გუნდში თამაში დიდი პრივილეგიაა. ყოველთვის ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, რომ სელექსიონი ჩემი საოცნებო გუნდია, თუმცა თუ არ გამომიძახებენ, ოცნებები მაინც არ დამემსხვრევა. საზოგადოებას მხარდაჭერისთვის უდიდეს მადლობას მოვახსენებ. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ გულშემატკივრების აბსოლუტური უმრავლესობა მხარს მიჭერს. დიდი მადლობა, სენიორებო, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ გადაწყვეტილებას მხოლოდ ერთი ადამიანი იღებს. მე მშვიდად ვარ, მოდით, სენიორ ვისენტე დელ ბოსკეს გადაწყვეტილების გამოქვეყნებას დაველოდოთ“.*

შეგახსენებთ, რაულმა ესპანეთის ეროვნული გუნდის ღირსება ბოლოს 2006 წლის 6 სექტემბერს დაიცვა. მაშინ პირენეელებმა ბელფასტში ევრო 2008-ის შესარჩევ მატჩში ჩრდილოეთ ირლანდიასთან სენსაციური მარცხი (2:3) განიცადეს. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე იმჟამინდელმა მთავარმა მწვრთნელმა, **ლუის არაგონესმა** განაცხადა, ჩემი გუნდის თამაშით შეძრწუნებული ვარ და გულშემატკივრებს პირობას ვაძლევ, რომ საკადრო ცვლილებებს განვახორციელებო. ასაკოვანმა სპეციალისტმა სიტყვა არ გატეხა და გონსალეს ბლანკოს ნაკრებიდან ფესვები ამოუძირკვა. არაგონესმა სანაკრებო კარიერა ისე დაასრულა, რომ სამეფო კლუბის სუპერვარსკვლავი ერთხელაც აღარ გახსენებია.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ამბები

## უკრაინამ შემადგენლობა დაასახელა

უკრაინის ნაკრების თავკაცმა **ალექსეი მიხაილიჩენკომ** 1-ელ აპრილს, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ინგლისის ნაკრებთან სათამაშოდ შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:

**მეკარეები:** ანდრეი პიატოვი, რუსტან ხუჯამოვი (ორივე შახტარი, დონეცკი), სტანისლავ ბოგუში (დინამო, კიევი), ალექსანდრ გორიანოვი (მეტალისტი, ხარკოვი).

**მცველები:** ვიტალი მანძიუკი, ტარას მიხაილიკი (ორივე დინამო, კიევი), ანდრეი რუსოლი (დნიპრო), დმიტრი ჩიგრინსკი, ალექსანდრ კუჩერი, ვიაჩესლავ შევჩუკი (სამივე შახტარი, დონეცკი).

**ნახევარმცველები:** ალექსანდრ ალიევი, სერგეი კრავჩენკო (ორივე დინამო, კიევი), ვალენტინ სლიუსარი, სერგეი ვალიაევი (ორივე მეტალისტი, ხარკოვი), ალექსეი გაი (შახტარი, დონეცკი), ევგენი ლოვჩენკო (გრონინგენი, ჰოლანდია), სერგეი ნაზარენკო, მაქსიმ კალინიჩენკო, რუსლან როტანი (სამივე დნიპრო), ანატოლი ტიმოშჩუკი (ზენიტი, რუსეთი).

**თავდამსხმელები:** ანდრეი ვორონინი (ჰერტა, გერმანია), ვლადიმირ ხომელიუკი (დნიპრო), მარკო დევიჩი (მეტალისტი, ხარკოვი), არტიომ მილევსკი, არტიომ კრავეცი (დინამო, კიევი), ევგენი სელეზნიოვი (შახტარი, დონეცკი), ანდრეი შევჩენკო (მილანი, იტალია).

## ლაგერბაკი იბრას გარეშე

შვედეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ლარს ლაგერბაკმა** დაასახელა ის 23 ფეხბურთელი, რომელთაც ის უახლოეს თამაშებში გამოიყენებს. გეტყვით, რომ სკანდინაველებს 28 მარტს შესარჩევ ეტაპზე გასვლითი შეხვედრა ელით პორტუგალიის წინააღმდეგ, ოთხი დღის შემდეგ კი შინ სერბეთის ნაკრებს უმასპინძლებენ. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, სიაში არ არის შვედების მთავარი ვარსკვლავი **ზლატან იბრაჰიმოვიჩი**.

**მეკარეები:** ედი გუსტაფსონი (ზალცბურგი, ავსტრია), ანდრეას ისაკსონი (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), იოჰან ვილანდი (კოპენჰაგენი, დანია).

**მცველები:** ერიკ ედმანი (უიგანი, ინგლისი), ანდრეას გრანკვისტი (გრონინგენი, დანია), პეტერ ჰანსონი (რენი, საფრანგეთი), დანიელ მაისტროვიჩი (აეკ, საბერძნეთი), ოლოფ მელბერგი (იუვენტუსი, იტალია), მიკაელ ნილსონი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ბეჰრანგ საფარი (ბაზელი, შვეიცარია), ადამ იოჰანსონი (გიოტებორგი).

**ნახევარმცველები:** სამუელ ჰოლმენი (ბრონდბიუ, დანია), კიმ კალსტრიომი (ლიონი, საფრანგეთი), სებასტიან ლარსონი (ბირმინგემი, ინგლისი), რასმუს ლინდგრენი (აიაქსი, ჰოლანდია), ადამ სვენსონი (ელფსბორგი), კრისტიან ვილჰელმსონი (ალ ჰილალი, საუდის არაბეთი), რასმუს ელმი (კალმარი), ვიქტორ ელმი (ჰერენვენი, ჰოლანდია).

**თავდამსხმელები:** მარკუს ბერგი (გრონინგენი, ჰოლანდია), იოან ელმანდერი (ბოლტონი, ინგლისი), ჰენრიკ ლარსონი (ჰელსინგბორგი), მარკუს როზენბერგი (ვერდერი, გერმანია).

## ჯორჯ ბარლის დანაკლისი

შოტლანდიას ორიოდე კვირაში ორი უაღრესად მნიშვნელოვანი შეხვედრა ელის შესარჩევ ციკლში - სკოტებს ჯერ ჰოლანდიის (28 მარტი, გასვლა), შემდეგ კი ისლანდიის (1 აპრილი, შინ) წინააღმდეგ მოუწევთ შერკინება. **ჯორჯ ბარლის** სიაში მოულოდნელობები პრაქტიკულად არ გვხვდება. ნაკრებში დაბრუნდნენ ტრავმამოშუშებული ტოტენჰემელი **ალან ჰატონი** და „დერბი ქაუნთის“ ნახევარმცველი **ალან ტილი**, ვინც უკანასკნელი სანაკრებო შეხვედრა თითქმის ერთი წლის წინ ჩაატარა ხორვატიის ეროვნულ გუნდთან. ბარლის კრებულს მრავალი წამყვანი ფეხბურთელი აკლია. მაგალითად „აბერდინის“ შემტევი **ლი მილერი**, ბირმინგემის თავდამსხმელები **ჯეიმს მაფადენი** და **გარი ოკონორი**. მწვრთნელი ასევე ვერ დაიხმარს თავდამსხმელ **შონ მელონისა** და ნახევარმცველ **ბარი რობსონს** (ორივე სელტიკი).

**მეკარეები:** კრეიგ გორდონი (სანდერლენდი, ინგლისი), ალან მაკგრეგორი (რეინჯერსი), დევიდ მარშალი (ნორვიჩ სიტი, ინგლისი)

**მცველები:** კირკ ბროუდფუტი, დევიდ უეირი (ორივე რეინჯერსი), სტივ მაკნამუსი, გარი კოლდუელი (ორივე სელტიკი), გრემ ალექსანდერი (ბარნლი, ინგლისი), დარენ ბარი (ფალკირკი), კრისტოფ ბერა (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), ალან ჰატონი (ტოტენჰემი, ინგლისი), ჯეიმი მაკალისტერი (ბრისტოლ სიტი, ინგლისი), გარი ნეისმიტი (შეფილდ იუნაიტედი, ინგლისი).

**ნახევარმცველები:** სკოტ ბრაუნი (სელტიკი), კრის კომონსი, გარი ტილი (ორივე დერბი ქაუნთი, ინგლისი), ბარი ფერგიუსონი (რეინჯერსი), დარენ ფლეტჩერი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ჯეიმს მორისონი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), გევინ რეი (კარდიფ სიტი, ინგლისი).

**თავდამსხმელები:** [illegible] (მოუზერველი), სტივენ ფლეტჩერი (ჰიბერნიანი), კრის [illegible] (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), როს მაკორმაკი (კარდიფ სიტი, ინგლისი), კენი მილერი (რეინჯერსი).

## ჰოლანდიის შეიკრიბა

ზემოთაც წაიკითხავდით, რომ ჰოლანდიის ნაკრები 28 მარტს შოტლანდიას შინ დაუხვდება. გთავაზობთ **ბერტ ვან მარვიიკის** რჩეულთა სიას:

**მეკარეები:** მაარტენ სტეკელენბურგი (აიაქსი), ჰენკ ტიმერი (ფეიენოორდი), მიხელ ფორმი (უტრეხტი).

**მცველები:** ხალიდ ბულაჰრუზი (შტუტგარტი, გერმანია), ედსონ ბრააფჰეიდი, ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (ორივე ფეიენოორდი), ჯონ ჰეიტინგა (ატლეტიკო, ესპანეთი), დირკ მარსელისი (ეინდჰოვენი), იორის მატიისენი (ჰამბურგი, გერმანია), ანდრე ოოიერი (ბლექბერნი, ინგლისი), გრეგორი ვან დერ ვილი (აიაქსი).

**ნახევარმცველები:** იბრაჰიმ აფელაი (ეინდჰოვენი), მარკ ვან ბომელი (ბაიერნი, გერმანია), ორლანდო ენგელაარი (შალკე, გერმანია), ნაიჯელ დე იონგი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), სტინ სხაარსი (ალკმაარი), ვესლი სნეიდერი, რაფაელ ვან დერ ვაარტი (რეალი, ესპანეთი), დემი დე ზეუვი (ალკმაარი).

**თავდამსხმელები:** რაიან ბაბელი, დირკ კუიტი (ორივე ლივერპული, ინგლისი), კლაას იან ჰუნტელაარი, არიენ რობენი (ორივე რეალი, ესპანეთი), რობინ ვან პერსი (არსენალი, ინგლისი), იან ვინეგოორ ოფ ჰესელინკი (სელტიკი, შოტლანდია).

ბოლოს კი გეტყვით, რომ ჰოლანდიის ნაკრების ლეგენდარულმა კარის დარაჯმა **ედვინ ვან დერ სარმა** ეროვნულ გუნდში დაბრუნების წინადადება კიდევ ერთხელ თავაზიანად უარყო.

## ჰიდინკმა ნაკრებისთვისაც მოიცალა

**გუუს ჰიდინკის** მთელი ყურადღება ბოლო პერიოდში „ჩელსისკენ“ იყო მიპყრობილი, თუმცა ჰოლანდიელმა, როგორც იქნა, სანაკრებოდაც მოიცალა. ჩვენს ჩრდილოელ მოსისხლეებს 28 მარტს მოსკოვში, „ლუჟნიკიზე“ აზერბაიჯანის ნაკრების გამოცდა მოუწევთ, ხოლო 1-ელ მარტს ვადუცში ლიხტენშტაინის ნაკრებს შეებრძოლებიან. თქვენი ნებართვით, მოკლე შესავლით დავკმაყოფილდებით და ჰიდინკის მიერ ნაკრებში გამოძახებულთა სიას გაგაცნობთ.

**მეკარეები:** იგორ აკინფეევი (ცსკა), ვლადიმირ გაბულოვი (დინამო), ვიაჩესლავ მალაფეევი (ზენიტი).

**მცველები:** ალექსანდრ ანიუკოვი (ზენიტი), ალექსეი ბერეზუცკი, ვასილი ბერეზუცკი, იური ჟირკოვი, სერგეი იგნაშევიჩი (ყველა ცსკა), დენის კოლოდინი (დინამო), რენატ იანბაევი (ლოკომოტივი).

**ნახევარმცველები:** დინიარ ბილიალეტდინოვი, დმიტრი ტორბინსკი (ორივე ლოკომოტივი), იგორ დენისოვი, კონსტანტინ ზირიანოვი, იგორ სემშოვი (ყველა ზენიტი), ალან ძაგოევი (ცსკა), ივან საენკო (სპარტაკი), სერგეი სემაკი (რუბინი).

**თავდამსხმელები:** ანდრეი არშავინი (არსენალი, ინგლისი), რომან პავლუჩენკო (ტოტენჰემი, ინგლისი), პაველ პოგრებნიაკი (ზენიტი), დმიტრი სიჩოვი (ლოკომოტივი).

## ბილიჩმა გაამხილა

ხორვატიის ნაკრების თავკაცმა **სლავენ ბილიჩმა** უახლოესი სანაკრებო შეხვედრისთვის 25 ფეხბურთელს უხმო. ბალკანელებს სერიოზული დანაკლისი არ აქვთ და რომც ჰქონდეთ, ვეჭვობთ, ამაზე გულშემატკივრებს სერიოზულად ენერვიულათ - მათ საყვარელ გუნდს 1-ელ აპრილს ობიექტურად ევროპაში ყველაზე უსუსურ ანდორასთან შესარჩევი მატჩი ელის. გთავაზობთ ბილიჩის რჩეულთა სიას:

**მეკარეები:** სტიპე პლეტიკოშა (სპარტაკი მ, რუსეთი), ვედრან რუნიე (ლანსი, საფრანგეთი), დანიელ სუბაშიჩი (ჰაიდუკი).

**მცველები:** ვედრან ჩორლუკა (ტოტენჰემი, ინგლისი), იოსიპ შიმუნიჩი (ჰერტა, გერმანია), დარიო კნეჟევიჩი (იუვენტუსი, იტალია), ივიცა კრიჟანაცი (ზენიტი, რუსეთი), ჰრვოიე ვეიჩი (ჰაიდუკი), დინო დრპიჩი (კარლსრუე, გერმანია), დანიელ პრანიჩი (ჰერენვენი), ჰრვოიე კალე (ტრაბზონსფორი, თურქეთი).

**ნახევარმცველები:** ივან იურიჩი (ჯენოა, იტალია), იერკო ლეკო, ნიკოლა პოკრივაცი (ორივე მონაკო, საფრანგეთი), ოგნიენ ვუკოჩევიჩი (დინამო კ, უკრაინა), ლუკა მოდრიჩი (ტოტენჰემი, ინგლისი), ნიკო კრანჩარი (პორტსმუთი, ინგლისი), დარიო სრნა (შახტარი, უკრაინა), ივან რაკიტიჩი (შალკე, გერმანია), დრაგო გაბრიჩი (ჰაიდუკი).

**თავდამსხმელები:** ედუარდო და სილვა (არსენალი, ინგლისი), ივიცა ოლიჩი (ჰამბურგი, გერმანია), ივან კლასნიჩი (ნანტი, საფრანგეთი), მარიო მანძუკიჩი (დინამო ზ), ნიკოლა კალინიჩი (ჰაიდუკი).

**შალვა ბიბილაშვილი**

ტრანსფერი

# ბორუსია მაინცი ხდება

## კლოპს ვესტფალიაში ფოილნერიც მიჰყავს

„მაინცი“ მეორედან პირველ ბუნდესლიგაში გადასვლისთვის იბრძვის და თუ გადავიდა, ერთი რამ ცხადია: გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გაისად „მაინცში“ აღარ ითამაშებს. რაინჰესენელებმა გუშინ საღამოს ოფიციალურად დაადასტურეს, რომ **მარკუს ფოილნერი** სეზონის დასრულების შემდეგ, დორტმუნდის „ბორუსიაში“ უფასოდ გადავა, იქ კი **იურგენ კლოპი** დახვდება, რომელიც მას „მაინცში“ წვრთნიდა.

ფოილნერი გერმანულ ფეხბურთში ახლახან არ გამოჩენილა. ის ჯერ კიდევ წლების წინ მიიჩნეოდა ერთ-ერთ უნიჭიერეს ფეხბურთელად, მაგრამ გაბრწყინება დაუგვიანდა. წელს კი, შემტევი ნახევარმცველი „მაინცში“ გრანდიოზულ სეზონს ატარებს და ის, რომ მაინცელები ელიტაში აღზევებისთვის იბრძვიან და გერმანიის თასის ნახევარფინალშიც გავიდნენ, პირველ რიგში სწორედ ფოილნერის დამსახურებაა. მარკუსი „მაინცში“ 2006 წლის ზაფხულიდან თამაშობს და მას მერე ბუნდესლიგაში 30, მეორე ბუნდესლიგაში კი 47 მატჩი ჩაატარა. მანამდე 27 წლის ნახევარმცველი „ბაიერნის“ და „კიოლნის“ ღირსებასაც იცავდა. საერთო ჯამში მას ბუნდესლიგაში 68, ხოლო მეორე ბუნდესლიგაში კი 62 შეხვედრა აქვს ჩატარებული.



იურგენ კლოპმა (მარჯვნივ) მაინციდან ბორუსიაში მარკუს ფოილნერიც წაიყვანა

კლოპი ერთადერთი ადამიანი არ არის, ვისაც ფოილნერი შესანიშნავად იცნობს. მის გარდა, ყოფილი მაინცელები არიან ცენტრალური მცველი **ნევენ სუბოტიჩი** და თავდამსხმელი **მოჰამედ ზიდანიც**. ამრიგად, ფოილნერი მომავალი სეზონისთვის დორტმუნდელთა პირველი შენაძენია. ზოგადად კი, ის მეოთხე მაინცელია, ვინც „ბორუსიაში“ გადადის.

**გოტფრიდ ლენცი**

მოსალოდნელი ტრანსფერები

# კრუსი: მილანი ან ბოლონია?

„კორიერეში" გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **ხულიო რიკარდო კრუსმა** შეიძლება „ინტერი" „მილანზე" გაცვალოს. გამოცემა იუწყება, რომ **კარლო ანჩელოტი** არგენტინელის შესაძლებლობებში დარწმუნებულია და მისი გადაბირების სურვილიც ამოძრავებს. ბუნებრივია, ასეთი პერსპექტივა კრუსსაც უნდა ხიბლავდეს, რადგან სეზონის ბოლოს კლუბის გამოცვლას ისედაც აპირებს.

მილანური გუნდების გულშემატკივრებს ერთმანეთი გულზე ნამდვილად არ ეხატებათ, მაგრამ ასეთი ტრანსფერებისას, როგორც წესი, განსაკუთრებული აგრესიით არ გამოირჩევიან. „ინტერიდან" „მილანში" გადასვლა და პირიქით, ერთობ ჩვეულებრივი მოვლენაა და ეს კრუსის ტრანსფერს კიდევ უფრო რეალურს ხდის.

არგენტინელს კონტრაქტის ვადა ივნისში ეწურება და აქედანვე აცხადებს, რომ „ინტერში" დარჩენას აღარ აპირებს. კრუსი მოურინიოს ტაქტიკურ სქემაში ვერ ჯდება, რაზეც თავად ფეხბურთელი ღიად საუბრობს:

*„რამდენიმე კვირაა მოედანზე გასვლა ოცნებად მაქვს ქცეული. არადა, ვგრძნობ, რომ კარგ ფორმაში ვარ და გუნდის დახმარება შემიძლია. სამწუხაროდ, მწვრთნელის ტაქტიკურ მონახაზს ვერ ვერგები და ამის გამო, სათადარიგოთა სკამზე მიწევს ჯდომა. „ინტერში" არაერთი წელი გავატარე და ეს გუნდი ჩემი ცხოვრების ნაწილია, თუმცა ზაფხულში ალბათ ახალი ნავსაყუდელის ძიება მომიწევს".*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალი გუნდი შესაძლოა „მილანი" იყოს, თუმცა ამ ამბავს ფეხბურთელის პირადი აგენტი არ ადასტურებს. მოვუსმინოთ **ხორხე სიტერსპილერს**: *„ვადასტურებ, რომ ჩემს კლიენტს გუნდის გამოცვლა სურს. „ინტერში" სათამაშო დროის დეფიციტი აქვს, რასაც რიკარდო ვერ შეურიგდება. არის წინადადებები, თუმცა ჯერჯერობით დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ. იმას კი გეტყვით, რომ „მილანიდან" არავინ შემხმიანებია და ბოლო დროს გავრცელებული ხმები, ჩემთვისაც სიურპრიზია. თუ წინადადებით მოგვმართავენ, აუცილებლად განვიხილავთ".*

ჟურნალისტთა ნაწილი კი ვარაუდობს, რომ კრუსი კარიერას „ბოლონიაში" გააგრძელებს. ალბათ გახსოვთ, რომ არგენტინელმა იტალიური კარიერა სწორედ „როსობლუში" დაიწყო და სახელიც იქიდან დაიგდო. ბოლონიელებს მომავალ სეზონში დიდი გეგმებით ჰქონიათ და თურმე, მაღალი მიზნების მიღწევა **დი ვაიო-კრუსის** შემტევი დუეტით სურთ. კრუსის „რენატო დალ'არაზე" დაბრუნების ალბათობა მართლაც დიდია. ფეხბურთელს ბოლონიაში უდიდეს პატივს სცემენ და ყოველთვის დიდი სიხარულით მიიღებენ. თანაც, გუნდს **სინიშა მიხაილოვიჩი** თავკაცობს. სერბი დიდი ხნის განმავლობაში კრუსის თანაგუნდელი გახლდათ და იმ პერიოდში, ახლო მეგობრული ურთიერთობაც ჩამოუყალიბდათ.

ერთი სიტყვით, ყველაფერი იქით მიდის, რომ არგენტინელი გუნდს გამოიცვლის. თუ სად გააგრძელებს კარიერას, ამას დრო გვიჩვენებს.



დანაშაული და სასჯელი

# 10 ათასი ევრო და მუქარა

## დასჯილ მოურინიოს პრესა ისევ უტევს



გასულ უქმეებზე, „ინტერი"-"ფიორენტინას" მატჩისას, მთავარმა არბიტრმა სათადარიგო სკამიდან **ჟოზე მოურინიო** გააძევა. პორტუგალიელი მთელი შეხვედრის განმავლობაში ზედმეტად აქტიური გახლდათ, მსაჯთან მუდმივად შედიოდა პოლემიკაში და წითელი ბარათიც ამად დაიმსახურა.

ნამატჩევს, ჟოზე კიდევ ერთხელ გაჯიუტდა და პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა. მოურინიოს ასეთი საქციელი უკვე აღარავის უკვირს, მაგრამ ამის წინააღმდეგ რომ გარკვეული ზომებია მისაღები, ამაზე ყველა თანხმდება.

გუშინ, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელზეც მოურინიოს საკითხი განიხილეს. გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს და პორტუგალიელს ჯარიმის სახით 10 ათასი ევროს გადახდა დააკისრეს. ფედერკალჩოში დაიმუქრნენ, რომ თუ პირენეელი გონს არ მოეგება, მომავალში უფრო მკაცრ სანქციას გამოუტანენ.

იტალიელი ჟურნალისტები კი მოურინიოს კრიტიკას არა და არ ეშვებიან. მწვრთნელსა და მასმედიას შორის ურთიერთობა დღითიდღე იძაბება. ფაქტია, რომ აპენინელმა ჟურნალისტებმა ვერ აიტანეს ის, რასაც ალბიონელები მოურინიოს ერთგვარ ხიბლადაც მიიჩნევდნენ. როგორც ჩანს, იტალიაში განსაკუთრებული კაცის იმიჯი მხოლოდ გაღიზიანებას იწვევს. გუშინ ჟურნალისტებმა ფედერკალჩოს გადაწყვეტილებას ზედმეტად ლმობიერი უწოდეს და პორტუგალიელის სათანადოდ დასჯის აუცილებლობაზე გაამახვილეს ყურადღება. ბუნებრივია, ეს თემა შემდეგ განაზოგადეს და სამომავლოდ, ასეთი პრეცედენტების თავიდან აცილების ნილაბი მოარგეს. თუმცა აშკარაა, რომ პრესა მოურინიოს წინააღმდეგ გასალაშქრებლად შანს არ უშვებს ხელიდან. თავის მხრივ იტალიური მედია არც ჟოზეს ეხატება გულზე და პრესკონფერენციის იგნორირებაც ამის ნათელი დადასტურებაა.

დიდია შანსი, პორტუგალიელს ასეთი ქმედება ძვირად დაუჯდეს - აპენინებზე სპორტულ მასმედიას დიდი ძალა აქვს და გარკვეულწილად, საფეხბურთო პროცესებსაც განსაზღვრავს.




# მექსეზე ბატიაობაა

## იუვენტუსმა აღიარა, მილანმა ჯერ არა



**ფილიპ მექსემ** ჟურნალისტთან საუბარში განაცხადა, რომ თუ „რომა" ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოიპოვებს, გუნდიდან წასვლის შესაძლებლობას არ გამორიცხავს. ფრანგის ამ გამონათქვამმა დიდი გამოძახილი ჰპოვა და იტალიური პრესა უკვე სხვადასხვა ვარიანტს განიხილავს. „გაძეტა დელო სპორტმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ მექსეს გადაბირების სურვილი „მილანის" მესვეურებს ამოძრავებთ. „როსონერი" რომ კვალიფიციურ ცენტრალურ მცველს ეძებს, ძველი ამბავია, ფილიპი კი იდეალურ კანდიდატად მოჩანს. ამ საკითხზე პრესის წარმომადგენლები „მილანის" ტექნიკურ დირექტორ **არიედო ბრაიდას** გაესაუბრნენ:

*„სატრანსფერო საკითხებზე უმჯობესია კარლო ანჩელოტის მიმართოთ, რადგან სწორედ ის არჩევს იმ ფეხბურთელებს, რომლებზეც შემდეგ ჩვენ ვმუშაობთ. არახალია, რომ მცველის გადაბირება გვსურს და მექსეს ვარიანტი მართლაც საინტერესოდ მოჩანს. თუ ფრანგი გუნდის გამოცვლას დააპირებს, სავარაუდოდ, მის გადაბირებას შევეცდებით და ამ მიმართულებით ნაბიჯებსაც გადავგამთ. ახლა კი, რაიმეზე სერიოზულად საუბარი, უბრალოდ ნაადრევია".*

„გაძეტა" ამტკიცებს, რომ „მილანის" მესვეურებს გარკვეული ზომები უკვე მიღებული აქვთ, უახლოეს მომავალში კი ფეხბურთელის აგენტსაც შეხვდებიან.

ამასობაში, მექსეს გადაბირების სურვილი ტურინის „იუვენტუსის" ხელმძღვანელებმაც გამოთქვეს. კლუბის დირექტორატის წარმომადგენელმა, **ჟან კლოდ ბლანმა** ამაზე ღიად ისაუბრა:

*„ჩემპიონთა ლიგიდან ნაადრევად გამოვარდნამ ნათლად დაგვანახვა, რომ გუნდი გაძლიერებას საჭიროებს. რამდენიმე ფეხბურთელის გვარი მონიშნული გვაქვს, რომელთა შორის მექსეც გახლავთ. ფრანგს მნიშვნელოვნად შეუძლია დაცვითი ხაზის გაძლიერება, ამაში ჩემი და კლაუდიო რანიერის აზრები ერთმანეთს ემთხვევა. თუ „რომამ" ჩემპიონთა ლიგის საგზური ვერ მოიპოვა, მექსეს გადაბირების შანსები გაიზრდება".*

იტალიელი ექსპერტების აზრით, ჩემპიონთა ლიგის საგზური არამარტო მექსეს, „რომას" მომავალსაც განსაზღვრავს. თუ „ჯალოროსიმ" ევროპის უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირის საგზური ვერ მოიპოვა, გუნდს შემადგენლობის ძირითადი ბირთვი დატოვებს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ანდრეი ვორონინი


ანდრეი ვორონინი, ჰერტას წარმატებების უმთავრესი შემოქმედი

# კიდევ ბევრს გავაკვირვებთ!

## ბერლინელთა უკრაინელი გოლეადორი ვერცხლის სინზე ოცნებობს

ბერლინის „ჰერტასგან" ამ სეზონში, ცხადია, არავინ არაფერს მოელოდა. მართალია, ხელმძღვანელები აცხადებდნენ, უეფას თასის საგზურისთვის უნდა ვიბრძოლოთო, მაგრამ ექსპერტები ისევ იმ აზრზე იყვნენ, რომ, როგორც ყოველთვის, ბერლინელები ვერც ამჯერად შეძლებდნენ საუკეთესო ხუთეულში მოხვედრასაც კი და თუ უეფას თასის საგზურს მოიპოვებდნენ, ისევ თასიდან ან სამადლოდ ფეარ პლეის პრინციპით. მაგრამ ნახეთ: სეზონის დამთავრებამდე 10 ტურით ადრე „ჰერტა" გერმანიის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს ერთპიროვნულად ლიდერობს და მიუნხენის „ბაიერნს" 4 ქულით უსწრებს. დედაქალაქელთა ამ მეტად მოულოდნელ წარმატებაში ლომის წილი უკრაინელ თავდამსხმელ ანრეი ვორონინს მიუძღვის, რომელიც ბერლინელებმა „ლივერპულიდან" არენდით აიყვანეს და რომელიც „ჰერტას" ამ სეზონში უკვე 11 გოლით შეენია. „ლევერკუზენის" 1:0-ზე დამარცხების შემდეგ (გამარჯვების გოლი, რა თქმა უნდა, მის ანგარიშზეა), 29 წლის უკრაინელ თავდამსხმელს ჩვენი გერმანელი კოლეგები გაესაუბრნენ.

**- ჰერ ვორონინ, მოედანი უგოლოდ არც ლევერკუზენში დატოვეთ. ამჯერად მეტოქის კარის ბადის შერხევა მხარით მოახერხეთ. იმედია, დაგვეთანხმებით, რომ ცოტა არ იყოს, გაგიმართლათ კიდეც.**

- დიახ, რა თქმა უნდა, ვაღიარებ, მაგრამ თქვენც უნდა დამეთანხმოთ იმაში, რომ გამართლება ყოველთვის საჭიროა. როცა წარმატებას აღწევ, აუცილებლად ფორტუნის ხელიც უნდა ერიოს.

**- რამდენად რეალურია ის, რომ ბერლინის „ჰერტა" ასეთი გამარჯვებებით გერმანიის ჩემპიონი გახდეს?**

- ჯერ ჩემპიონობაზე საუბარი ძალიან ნაადრევია. დიახ, ვაღიარებ, რომ „ლევერკუზენთან" ცოტათი გაგვიმართლა კიდეც, მაგრამ თუ გახსოვთ, „ვოლფსბურგში" რომ წავაგეთ (1:2, 21-ე ტურში), მაშინ არ გაგვიმართლა და იმ შეხვედრაში წაგებას არ ვიმსახურებდით.

**- როგორ ფიქრობთ, თქვენი იღბლიანობა იმ ეიფორიის ბრალი ხომ არ არის, რამაც ბოლო დროს გერმანიის დედაქალაქში დაისადგურა?**

- შეიძლება ასეც იყოს. იღბალი კი არ უნდა დაიმსახურო, არამედ უნდა მოიპოვო. როდესაც თავდაჯერებული ხარ და თამაშებს იგებ, მაშინ ავტომატურად ისე ხდება, რომ ფორტუნაც შენს მხარეზეა. სამაგიეროდ, როცა ბოლო ადგილზე ხარ, აბსოლუტურად საპირისპირო რამ ხდება: ასპროცენტიან თერთმეტმეტრიანს არ დაგინიშნავენ, მეკარესთან ერთი-ერთზე გახვალ და ვერ გაიტან, ცარიელ კარში ორი მეტრიდან ააცილებ და ა.შ. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ერთმანეთს ყოველთვის შემდეგს ვეუბნებოდით: „ჩვენ ხომ აუტსაიდერები ვართ". მართლაც, „ჰერტას" სათვალავში არავინ აგდებდა. ჩვენ კი ამ დროს უდიდეს სიამოვნებას ვიღებთ.

**- თქვენი ძლიერი მხარე ის არის, რომ, მიუხედავად უდიდესი ეიფორიისა, მოედანზე მაინც სიმშვიდეს ინარჩუნებთ და საგოლე შანსებს მოთმინებით ელოდებით ხოლმე.**

- დიახ. „ლევერკუზენთან" მატჩშიც ვიცოდი, რომ ყველაზე მთავარი მშვიდად ყოფნაა. ასეთი მატჩის ბედს ათ წუთში ვერ გადაწყვეტ. ეს ის მომენტია, როცა მოთმინება უნდა იქონიო და შანსს დაელოდო. რაც მთავარია, დღესდღეობით ეს ყველაფერი იდეალურად გამოგვდის. დაცვაში კომპაქტურად ვდგავართ და სახიფათო კონტრშეტევებს ვახორციელებთ – შედეგიც გვაქვს.

**- გოლის შემდეგ ეგრევე ფანებისკენ გაიქეცით...**

- თუ დააკვირდით, ბოლო დროს „ჰერტას" საშინაო მატჩებზე მაყურებლების რაოდენობამ საგრძნობლად იმატა. ეს ფაქტი ფეხბურთელებს ძალიან გვახარებს.

**- ეს ფაქტი ისეთ გამოცდილ ფეხბურთელსაც მატებს მოტივაციას, როგორიც თქვენ ხართ?**

- მე კი არა, ასეთი შემთხვევა ნებისმიერ ფეხბურთელს შემატებს მოტივაციას. როდესაც სტადიონი სავსეა, უფრო კარგად ისმის, რას და როგორ მღერიან ქომაგები. სეზონის დასაწყისში „ოლიმპიაშტადიონი" არ ივსებოდა, ჩვენ კი იმდენი მოვახერხეთ, რომ ბერლინელები სტადიონზე დავაბრუნეთ. პირადად მე ამით ძალიან ვამაყობ.

**- ფაქტია, რომ „ჰერტაში" დღეს იდეალური განწყობაა. ორი თვის წინ წარმოგედგინათ, რომ მენეჯერი დიტერ ჰიონესი და მთავარი მწვრთნელი ლუსიენ ფავრი მოედანზე იცეკვებდნენ?**

- არა, ასეთ რამეს ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი და ეს არც არასდროს დაგვიგეგმავს. წინა კვირას, „კოტბუსთან" მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ჰიონესს სპონტანურად ვთხოვეთ, ჩვენთან ერთად ეცეკვა და ყველასდა გასაკვირად, დიტერი დაგვთანხმდა. ძალიან გამიხარდა, რომ უარი არ თქვა და ამხელა კაცი ფეხბურთელებს აგვყვა. დარწმუნებული ვარ, რომ ამას ბევრი არ გააკეთებდა. თანაც, დიტერმა მართლაც შესანიშნავად იცეკვა. სამაგიეროდ, ფავრი ცეკვის აზრზე არ არის. თუმცა თვითონვეა დამნაშავე იმაში, რომ ცეკვა მოუხდა. წინა კვირას გვითხრა, მომდევნო თამაშსაც თუ მოვიგებთ, ალბათ, მეც მომიწევს ცეკვაო. შესაბამისად, საფინალო სასტვენის შემდეგ „სცენაზე" მივიწვიეთ. თავიდან იუარა, მაგრამ მერე მოვიდა და მაინც იცეკვა.

**- მომავალ ტურში „ჰერტა" „შტუტგარტს" სტუმრობს. ალბათ იცით, რომ შვაბები საკუთარ მოედანზე ძალიან კარგად გამოიყურებიან...**

- ამიერიდან ჩვენთვის ყველა თამაში სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. „შტუტგარტი" ძალიან ძლიერი გუნდია, რაც პირველ წრეშიც გამოჩნდა, როცა 2:1 მოვუგეთ. ძალიან დიდ პატივს ვცემ მარიო გომესს, რომელიც ახლა ძალიან კარგ ფორმაშია. ჩვენი მიზანია, „შტუტგარტიდან" მინიმუმ ერთი ქულა წამოვიღოთ. ფაქტია, რომ გოლის გატანის შანსი მოგვეცემა და თანაც, არაერთხელ. ვფიქრობ, შანსებს გამოვიყენებთ კიდეც. მერე კი მხოლოდ ისღა დაგვრჩება, რომ საკუთარი კარი მშრალად შევინახოთ.

**- გამორიცხული არც ისაა, რომ „ჰერტამ" ბოლოს მეხუთე ადგილი დაიკავოს და ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდს უეფას თასის საგზურით დაკმაყოფილება მოუხდეს. ასეთ შემთხვევაში იმედგაცრუებული იქნებით?**

- არა, რადგან სეზონის დასაწყისში ჩვენი მიზანი არა ჩემპიონობა, არამედ უეფას თასის საგზურის მოპოვება იყო. თუკი სეზონის წინ დასახულ მიზანს მივაღწევთ, ყველანი კმაყოფილები დავრჩებით და ჩავთვლით, რომ ძალიან კარგი სეზონი ჩავატარეთ, ისეთი, რომლის მსგავსი „ჰერტას" დიდი ხანია, აღარ ჩაუტარებია. თუმცა ჩვენ ყველამ ვიცით, რომ გაცილებით მეტი შეგვიძლია, ვიდრე მხოლოდ უეფას თასის საგზურით დაკმაყოფილება. და შესაბამისად, მაქსიმუმისთვის ვიბრძვით.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ჰოფენჰაიმი

# რანგნიკს თავდამსხმელები აღარ ჰყავს!

## იბიშევიჩი, ობასი... ახლა ბაც და სანოგოც ლაზარეთში!

ისედაც კრიზისში მყოფ „ჰოფენჰაიმს", „ჰანოვერთან" მატჩის წინ სერიოზული საკადრო პრობლემები მიეძალა. ეს პირველ რიგში თავდასხმას ეხება. როგორც იცით, გუნდის მთავარი ფორვარდები **ვედად იბიშევიჩი** და **ჩინედუ ობასი ოგბუკე** დიდი ხნის ტრავმირებულები არიან. ახლა კი, **რალფ რანგნიკს** ხელიდან **დემბა ბა** და **ბუბაკარ სანოგოც** ეცლებიან – ამ ორი ფორვარდის თამაში „ჰანოვერთან" დიდად საეჭვოა.

ბა „აინტრახტთან" შეხვედრაში, **ნიკოლა პეტკოვიჩთან** ორთაბრძოლისას დაშავდა. ტრავმა იმდენად სერიოზული გამოდგა, რომ ფეხბურთელმა სამშაბათს მსუბუქი დატვირთვით ვარჯიშიც კი ვერ შეძლო. რანგნიკის თქმით, შაბათს ბას თამაში ფაქტობრივად გამორიცხულია. თუკი ეს უკანასკნელი შაბათს მართლაც ვერ ითამაშებს, გამოდის, რომ რანგნიკს სამივე ის ფორვარდი არ ჰყავს, რომლებმაც „ჰოფეს" მიერ გატანილი 50 გოლიდან 40 თავიანთ აქტივში ჩაიწერეს. „რა გასაკვირია, რომ ასეთ ვითარებაში „ჰანოვერის" დამარცხება ძალიან გაგვიჭირდება," - წუხს რანგნიკი.

ამასობაში, ნახევარმცველ **ტობიას ვაისს** ფულადი ჯარიმის გადახდა დააკისრეს. ამ ფეხბურთელმა „აინტრახტთან" მატჩის შემდეგ მწვრთნელი გააკრიტიკა. მან თქვა, რომ „ჰოფენჰაიმის" ფეხბურთელებს 60-70 წუთის შემდეგ ძალები გამოელიათ, რაც, შესაძლოა, იმის ბრალი იყოს, რომ მწვრთნელი მოთამაშეებს ვარჯიშებზე ზედმეტად ტვირთავს. „ჰოფეს" გენერალურმა მენეჯერმა **იან შინდელმაიზერმა** 23 წლის ფეხბურთელს გუნდისა და მწვრთნელის წინაშე ბოდიში მოახდევინა და ფულადი ჯარიმის გადახდა დააკისრა.

მოსალოდნელი ტრანსფერი



# იუვე დიეგოს არ ეშვება!

## ტურინელები ვერდერს პოულსენს და ფულს სთავაზობენ

„იუვენტუსს" „ვერდერისა" და ბრაზილიის ნაკრების ფლეიმეიქერ **დიეგოს** გადაბირება რომ უნდა, ეს ახალი ამბავი არ არის და ამის შესახებ „ლელოს" არაერთხელ დაუწერია. ამჯერად, „ბებერი ქალბატონის" შეფები მორიგი წინადადებით ცდილობენ ბრემენული კლუბის ბოსების დაყოლიებას. როგორც ირკვევა, „იუვე" მზადაა, „ვერდერს" დიეგოს სანაცვლოდ 8 მილიონი ევრო გადაუხადოს და გარდა ამისა, საყრდენი ნახევარმცველი **კრისტიან პოულსენიც** დაუთმოს.

„ტუტოსპორტი" წერს, იტალიური გრანდის სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო** დარწმუნებულია იმაში, რომ მისი ბრემენელი კოლეგები ამ წინადადებას დაყაბულდებიან. ამის გადაჭრით მტკიცება არავის შეუძლია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ პოულსენის ტიპის ფეხბურთელი „ვერდერს" ძალიან გამოადგება და მეტიც, „მუსიკოსებს" ის სჭირდებათ კიდეც. შეგახსენებთ, რომ დანიელმა ტურინს ზაფხულში „სევილიიდან" მიაშურა და „ბებერმა ქალბატონმა" ესპანურ კლუბს ათი მილიონი ევრო გადაუხადა. ამ სეზონში დანიელმა მხოლოდ ხუთი მატჩი ჩაატარა სრულად.

აღსანიშნავია, რომ პოულსენს გერმანიაში თამაშის დიდი გამოცდილება აქვს. 29 წლის კრისტიანი 2002-დან 2006 წლამდე „შალკეს" ღირსებას იცავდა და 111 მატჩში 3 გოლის გატანა შეძლო. პოულსენს დანიის ნაკრებში 56 მატჩი აქვს ჩატარებული და 2005 და 2006 წელს დანიის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. შესაძლოა, „ვერდერი" გარიგებაზე თანახმაც იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ „მუსიკოსები" დანიელს ისეთ ხელფასს ვერ დაუნიშნავენ, როგორიც „იუვენტუსში" აქვს. პოულსენის წლიური შემოსავალი სამ მილიონს შეადგენს. ამას გარდა, ჩვენი იტალიელი და გერმანელი კოლეგები იმასაც წერენ, რომ „ვერდერისთვის" დიეგოს შესახებ კონკრეტულ წინადადებას მილანის „ინტერიც" ამზადებს და ჭორების თანახმად, „ნერაძური" მზადაა, „ვერდერს" 25 მილიონი გადაუხადოს.

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ჩელსი

# დეკუ მალე დაბრუნდება

## პერდიუმ, ესიენი მოძალადეაო, ამან კი ფემინისტები აღაშფოთა



ალან პერდიუს განცხადებამ მცირე სკანდალი გამოიწვია

„ჩელსის" პორტუგალიელი ნახევარმცველი **დეკუ სოუზა** უბრალოდ გაკვირვებულია იმით, რატომ გავრცელდა ხმები, თითქოს მისთვის სეზონი დასრულებულია. მისი განცხადებით, შესაძლოა, უახლოეს ტურში თამაში ვერ მოახერხოს, მაგრამ სავარჯიშო პროცესს კი ნამდვილად დაუბრუნდება. შეგახსენებთ, ფეხბურთელმა ტრავმა „მანჩესტერ სიტისთან" შეხვედრის პირველივე ტაიმში მიიღო და მინდორზე ადგილი **ჟულიანო ბელეტის** დაუთმო. მართლა გასაკვირია, მაგრამ პირველად დეკუს სერიოზულ ტრავმაზე თვით **გუუს ჰიდინკი** ალაპარაკდა. *„არ მგონია, დაზიანება იმდენად სერიოზული იყოს, ხელი დიდი ხნით შემიშალოს. სრული დატვირთვით ვარჯიშს 3-4 დღეში აუცილებლად დავუბრუნდები"*, - განუცხადა 31 წლის ვარსკვლავმა „სანს". ანალოგიური განცხადება გააკეთა პორტუგალიის ნაკრების თავკაცმა **კარლუშ კეირუშმა**. ამ უკანასკნელმა როგორც კი შეიტყო შეგირდის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია, დეტალების დასაზუსტებლად დაუყოვნებლივ ლონდონში დარეკა. სეუ კარლუშს განუცხადეს, რომ მის გავრცელებული ხმები სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. ჰიდინკის საქციელის ლოგიკურად ახსნა ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება. ეტყობა მან აღნიშნული განცხადება ცხელ გულზე გააკეთა.

დეკუზე გარდა ტრავმისა, ვრცელდება ხმები, რომ სეზონის ბოლოს ფეხბურთელი „სტემფორდ ბრიჯს" დატოვებს და კარიერას მადრიდის „ატლეტიკოში" განაგრძობს. მისით „ჩელსის" ხელმძღვანელთა უკმაყოფილების შესახებ ინფორმაცია უკვე რამდენჯერმე მოგაწოდეთ, მაგრამ კონკრეტული კლუბი, სადაც პორტუგალიელმა შეიძლება კარიერა განაგრძოს, პირველად სახელდება. გუშინდელ ნომერში უკვე გაეცნობოდით „დეილი მეილის" მიერ გავრცელებულ სიას კონკრეტული ფეხბურთელებისას, რომელთაც გუნდის დატოვება მოუწევთ. მათ შორის ერთ-ერთი სწორედ პორტუგალიელი ვეტერანია. ინგლისელი ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ვინც არ უნდა ჩაიბაროს „ჩელსი", ერთი რამ აშკარაა: ძირითად შემადგენლობაში **ფრენკ ლემპარდის, ჯო კოულისა** და **მიკაელ ესიენის** ადგილი ეჭვს არ იწვევს. აქედან გამომდინარე, დეკუ თამაშგარეში რჩება. იმისთვის, რომ მან ნაკრებში კარიერის გაგრძელება შეძლოს, საჭიროა რეგულარული სათამაშო პრაქტიკა. „ატლეტიკოს" შეუძლია მას აღნიშნული გარანტია მისცეს.

ბრიტანეთის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა „ჩელსის" ოფიციალური ბოდიში მოუხადა, რადგან მათი სტუდიის სტუმარმა **ალან პერდიუმ** პირდაპირ ეთერში **მიკაელ ესიენის** მიმართ არანორმატიული ლექსიკა გამოიყენა. საბედნიეროდ, ლაპარაკი არ არის განელი ვარსკვლავის პირდაპირ შეურაცხყოფაზე. ახლავე მოგახსენებთ რაშიც იყო საქმე: ტელეკომპანიის ეთერით გადაცემა „დღის მატჩში" „ჩელსი"-"მანჩესტერ სიტის" ვრცელი მიმოხილვა გავიდა. წამყვანების **ედრიან ჩილსისა** და **ალან ჰანსის** გარდა სტუდიაში ბრძანდებოდა „ვესტ ჰემის" ყოფილი დამრიგებელი ალან პერდიუ. სპეციალისტი ერთ-ერთ ეპიზოდს, სადაც ესიენი და სტუმართა თავდამსხმელი **ჩად ევანსი** მონაწილეობდნენ, ზუსტად ასეთ კომენტარს უკეთებს: „ევანსი ფიზიკურად ძლიერი ბიჭია, მაგრამ მიკაელი ძალით ჯობნის მას, ის უბრალოდ აუპატიურებს მოწინააღმდეგეს". პირდაპირი ეთერის დასრულებამდე ჟურნალისტები უხერხულ მდგომარეობაში იმყოფებიან, მაგრამ დელიკატურად უარს ამბობენ შეიმჩნიონ ეს. ტელეკომპანიის ოფისში უმალ ატყდა სატელეფონო ზარები. რეკავენ ფემინისტ ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლები და აპროტესტებენ როგორც პერდიუს ლექსიკას, ისე ჟურნალისტთა სიჩუმეს. რეკავენ ჩვეულებრივი მოქალაქეები და აკრიტიკებენ იმ ზერელე დამოკიდებულებას, რაც ძალადობის ამ საშინელი ფორმის მიმართ დაფიქსირდა პირდაპირ ეთერში. მეორე დღეს ინტერნეტით გავრცელდა ქალთა ერთ-ერთი ორგანიზაციის სპეციალური განცხადება. აი, რა წერია „მამხილებელ" დოკუმენტში: *„გამოყენებული ფრაზა მიგვაჩნია აბსოლუტურად არაადეკვატურად იმის შესაფასებლად, რაც მინდორზე მოხდა. უბრალოდ, აღშფოთებული ვართ იმით, რაც მოვისმინეთ. ფაქტი, რომ ისეთი სერიოზული დანაშაულის აღმნიშვნელი ტერმინი, როგორიც სექსუალური ძალადობაა, გამოიყენება საფეხბურთო მოვლენის აღწერისთვის, საშინელებაა. ვფიქრობთ, პერდიუმ ბოდიში უნდა მოიხადოს იმის გამო, რაც გააკეთა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ცუდ მაგალითს მისცემს საზოგადოებას. იმისას, რომ თუკი ასეთი არაეთიკური ფრაზის ხმარება, თანაც ტელევიიით, დაუბრკოლებლად შეიძლება, ამ შემთხვევაში, არაფერი დაშავდება, თუკი მას ყოველდღიურ ფრაზად ვაქცევთ ადამიანთა შორის ურთიერთობაში"*.

ბუნებრივია, ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუწყებელი აღნიშნულ განცხადებას უპასუხოდ ვერ დატოვებდა. გთავაზობთ ტელეკომპანიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის განცხადებას. *„ის, რაც პერდიუმ თქვა, არასწორად იქნა გაგებული. თუკი კარგად დაუკვირდებოდით, ამის აღქმა პრობლემა არ იქნებოდა. იმის მტკიცება, რომ უკიდურესად უარყოფითად ვარ განწყობილი ისეთი მოვლენის მიმართ, როგორიც სექსუალური დანაშაულები გახლავთ, ზედმეტად მიმაჩნია. მაგრამ იმასაც ვფიქრობ, რომ ბურჟუა ქალბატონებმა ბოთლიდან ჯინი გაათავისუფლეს და პოლიტკორექტულობის ზღვარი ძალიან მაღლა დააყენეს"*.

თქვენი ნებართვით, „ჩელსისა" და მის ფეხბურთელებზე წერას დღეს სატრანსფერო სიახლეებით დავასრულებთ. „დეილი მირორი" ამტკიცებს, რომ „არისტოკრატებს" „ბარსელონადან" **დანიელ ალვეშის** გადაბირება უნდათ და ამ მიზნით 25 მილიონი გირვანქა აქვთ გამოყოფილი. ლონდონელები ფეხბურთელის სამსახურით ჯერ კიდევ მაშინ იყვნენ დაინტერესებულნი, როცა ეს უკანასკნელი „სევილიაში" თამაშობდა. „ჩელსის" დაინტერესება გაუგებარია იმ ფონზე, როცა გუნდს უკვე ჰყავს, მინიმუმ, ოთხი ფეხბურთელი, რომელსაც მარჯვენა მცველად ასპარეზობა შეუძლია. ლაპარაკია **ჟოზე ბოსინგვაზე, პაულუ ფერეირაზე, მაიკლ მანსიენსა** და **ჟულიანო ბელეტიზე**. თუმცა ეს რა ჩვენი საქმეა? „არისტოკრატებმა" თავისი საქმისა თავად უკეთ უწყიან.

აღნიშნულ ინფორმაციაზე ესპანური მხარის კომენტარმა არ დააყოვნა. ისინი ფეხბურთელთან გამოთხოვებას კატეგორიულად გამორიცხავენ.

**შალვა ბიბილაშვილი**

ბაიერნი

# ახალი კონტრაქტი დემიკელისს

## რიბერი გამოჯანმრთელდა, ოდო დაშავდა, ტონი ისევ საეჭვოა

ბუნდესლიგის გასულ ტურში, „ბაიერნმა" „ბოხუმი" 3:0 გაანადგურა და ამ შეხვედრაში მესამე გოლი ბავარიელთა არგენტინელმა მცველმა **მარტინ დემიკელისმა** გაიტანა. ზუსტად ორი დღის შემდეგ, დემიკელისმა მიუნხენურ გრანდთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომელსაც ვადა 2012 წლამდე აქვს. როგორც იცით, მარტინი „ბაიერნში" 2003 წლიდან თამაშობს.

*„დიახ, ჩვენ შევთანხმდით და მარტინი „ბაიერნში" რჩება,"* - აცხადებს რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე**, რომელიც არგენტინელთან შეთანხმების მიღწევით უაღრესად კმაყოფილია. 28 წლის დემიკელისს, რომელსაც საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციების შესრულებაც ეხერხება (თანაც, საკმაოდ კარგად), ხელშეკრულების ვადა ამ სეზონის ბოლოს ეწურებოდა. დემიკელისი „ბაიერნში" 2003 წელს „რივერ პლეიტიდან"



მარტინ დემიკელისმა ბაიერნს თავისი ბედი 2012 წლამდე დაუკავშირა

გადავიდა და მას მერე ბუნდესლიგაში 138 მატჩი ჩაატარა, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში კი 30.

ამასობაში, ბავარიელთა მთავარ მწვრთნელ **იურგენ კლინსმანს მასიმო ოდო** დაუშავდა. 32 წლის იტალიელმა მარჯვენა მცველმა ტრავმა ვარჯიშზე მიიღო და ლაზარეთში გაურკვეველი ვადით გადაინაცვლა. შეგახსენებთ, რომ ტრავმირებულები არიან ოდოს შემცვლელი **კრისტიან ლელი** და ცენტრალური მცველი **ბრენოც**. სამაგიეროდ, სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლა **ტიმ ბოროვსკიმ**. კლინსმანს **ფრანკ რიბერიც** გამოუჯანმრთელდა, რომელიც მომდევნო ტურში აუცილებლად ითამაშებს. მსუბუქად ვარჯიში განაახლა **ლუკა ტონიმაც**, მაგრამ ამ უკანასკნელის თამაში მომდევნო ტურში ჯერ კიდევ საეჭვოა.

**გოტფრიდ ლენცი**

უეფას თასი. 1/8 ფინალი. განმეორებითი მატჩები

# გალას მცველები არა ჰყავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

| გუშინ | |
|---|---|
| სენტ ეტიენი-ვერდერი | 2:2 (0:1) |
| აიაქსი-მარსელი | 2:2 დ.დ. (1:2) |
| **დღეს** | |
| მეტალისტი-დინამო (კ) | (0:1) |
| შახტარი-ცსკა | (0:1) |
| ზენიტი-უდინეზე | (0:2) |
| გალათასარაი-ჰამბურგი | (1:1) |
| ოლბორგი-მანჩესტერ სიტი | (0:2) |
| ბრაგა-პსჟ | (0:0) |

უეფას თასის განმეორებითი მერვედფინალური მატჩების წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ „პარი სენ ჟერმენის" თავკაცი **პოლ ლე გენი** „მარსელში" გადასვლას აპირებს. მარსელელებმა „აიაქსთან" შეხვედრა გუშინ საღამოს გამართეს. პარიზელები „ბრაგას" დღეს ესტუმრებიან. მოსიე ლე გენი მატჩის სამზადისით ისე იყო გართული, რომ მოსალოდნელ ტრანსფერზე კრინტიც არ დაუძრავს. ინფორმაციის ნაკლებობამ კი სპეკულაციების ტალღის აგორებას შეუწყო ხელი.

ინფორმაცია ლე გენის შესაძლო დანიშვნის თაობაზე ავტორიტეტულმა ფრანგულმა გამოცემამ „ეკიპმა" გამოაქვეყნა. გაზეთის მტკიცებით, „მარსელი" ბელგიელი მწვრთნელის **ერიკ გერეტსის** შემცვლელს ეძებს, რადგან ამ უკანასკნელმა გერმანიაში დაბრუნება გადაწყვიტა. მოგეხსენებათ, გერეტსი „კაიზერსლაუტერნისა" და „ვოლფსბურგის" ყოფილი დამრიგებელია. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში მწვრთნელმა ყველაზე დიდ წარმატებას „მარსელში" მიაღწია. გერეტსის შეგირდები მიმდინარე სეზონს შთამბეჭდავად ატარებენ. ისინი საფრანგეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზე იმყოფებიან და უეფას თასზეც საკმაოდ წარმატებით გამოვიდნენ (მიმოხილვის დაწერისას „მარსელისა" და „აიაქსის" წუხანდელი მატჩი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული).

აღსანიშნავია, რომ ლე გენსა და გერეტსს კონტრაქტები ივნისში ეწურებათ. მოსიე პოლის „მარსელში" გადასვლა ფრანგული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე სკანდალური ტრანსფერი იქნება. ლე გენს საფეხბურთო კარიერის უმეტესი ნაწილი „პარი სენ ჟერმენში" აქვს გატარებული (343 მატჩი პარიზელთა მაისურით). ეს კლუბი კი, მოგეხსენებათ, „მარსელის" დაუძინებელი მტერია. „პარი სენ ჟერმენი" „მარსელს" უკანასკნელად გასულ უქმეებზე შეხვდა და შინ 1:3 წააგო.

"მანჩესტერ სიტის" თავკაცმა **მარკ ჰიუზმა კრეიგ ბელამი** დანიაში არ წაიყვანა. უელსელი თავდამსხმელი ტრავმას იმუშებს. ფეხბურთელს იმედი ჰქონდა, რომ „ოლბორგთან" განმეორებით შეხვედრაში აუცილებლად ითამაშებდა, მაგრამ მისი ოპტიმიზმი უსაფუძვლო აღმოჩნდა. ჰიუზს მიაჩნია, რომ ბელამის დაბრუნების ოპტიმალური დრო „სანდერლენდთან" პრემიერლიგის მომდევნო ტურის მატჩია. ეს შეხვედრა ამ უქმეებზე გაიმართება.

„ოლბორგთან" დღევანდელ მატჩში „სიტი" გამოკვეთილი ფავორიტია. ინგლისელებმა პირველი მატჩი ორი ბურთის სხვაობით მოიგეს. ჰიუზს ბელამის გარდა, კიდევ ერთი წამყვანი ფეხბურთელი ჰყავს დაშავებული. საეჭვოა ბელგიელი მცველის **ვენსან კომპანის** ასპარეზობა. ის დაშავებულ ფეხზე მკურნალობს. ინგლისელი მიმომხილველების აზრით, „მანჩესტერ სიტის" არა მარტო „ოლბორგის" ბარიერის გავლის, არამედ უეფას თასის დაუფლების კარგი შანსი აქვს. წარმატების შემთხვევაში, მანჩესტერელები შორეული 1976 წლის შემდეგ პირველ ტიტულს მოიხვეჭენ.

ხარკოვის "მეტალისტის" თავკაცი **მირონ მარკევიჩი** იმედოვნებს, რომ მისი გუნდი მომდევნო ეტაპზე გავა. ამისათვის ხარკოველებს კიევის „დინამოს" კარში ორი ბურთის გატანა მართებთ. „მეტალისტი" მიმდინარე სეზონის აღმოჩენაა. ის თანაბრად წარმატებით ასპარეზობს უკრაინის ჩემპიონატსა და უეფას თასზე, მაგრამ მარკევიჩის შეგირდებს, როგორც ჩანს, ძალა ელევათ. გუნდმა ეროვნული ჩემპიონატის ბოლოს სამ შეხვედრაში ცხრა შესაძლებლიდან მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა. მთავარი მწვრთნელი შეშფოთებულია იმის გამო, რომ მისმა გუნდმა ბევრი გოლის გაშვება დაიწყო.

განმეორებით მატჩში ვერ ითამაშებს ხარკოველთა მცველი **სევერინ განჩარჩიკი**. ის დისკვალიფიცირებულია. ლავინის ძვალი გაიტეხა შემტევმა ნახევარმცველმა **ალექსანდრ რიკუნმა** და რამდენიმე კვირით ჩამოშორდა მინდორს. იმის გამო, რომ ხარკოვში ცუდი ამინდია, გუნდის ხელმძღვანელობამ ფეხბურთელები ყირიმში წაიყვანა. ისინი შინ სამშაბათ საღამოს დაბრუნდნენ. ჟურნალისტების ერთი ნაწილი შიშობს, რომ გადაფრენა-გადმოფრენის გამო „მეტალისტს" ბევრს ენერგიას წაართმევდა.

უეფას თასის მფლობელ „ზენიტს" მეოთხედფინალში გასასვლელად „უდინეზეს" დამარცხება მართებს. პირველი რაუნდის შემდეგ, იტალიელებს ორბურთიანი უპირატესობა აქვთ. პეტერბურგელთა მაღალ კლასში ეჭვი არავის ეპარება. მაგრამ საქმე ისაა, რომ **დიკ ადვოკაატს** სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. ცენტრალური მცველი **რომან შიროკოვი** და მარჯვენა მცველი **ალექსანდრ ანიუკოვი** დაშავებული არიან. საეჭვოა კიდევ ორი მცველის, **ტომაშ ჰიუბშმანისა** და **ნიკოლას ლომბერტსის** თამაში. დაშავდა კაპიტანი **ანატოლი ტიმოშჩუკიც**. „სპარტაკთან" მატჩისას, მას მეტოქის იდაყვი ნეკნებში მოხვდა, რის გამოც სუნთქვა გაუძნელდა.

მეოთხედფინალში გასვლას ცდილობს კიდევ ერთი რუსული კლუბი – ცსკა. შინ მინიმალური ანგარიშით გამარჯვების შემდეგ, დღეს ის დონეცკს ესტუმრება. არმიელთა თავკაც **ზიკოს** დისკვალიფიცირებული გარემარბი **იური ჟირკოვი** ვერ დაეხმარება. დაშავებულია საყრდენი ნახევარმცველი **ელვირ რახიმიჩიც**. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა კიდევ ერთი ნახევარმცველი **ევგენი ალდონინი**.

საკადრო პრობლემები აქვს „გალათასარაის". დისკვალიფიცირებულია **ემრე აშიქი**. ტრავმები აწუხებთ **სერვეთ ჩეთინსა** და **ემრე გიუნგორს**. სტამბოლელთა თავკაც **ბიულენთ ქორქმაზს** ცენტრალური მცველი, ფაქტობრივად, არ ჰყავს. ამიტომ ამ პოზიციაზე მარცხენა მცველი **ჰაქან ბალთა** და საყრდენი ნახევარმცველი **მეჰმეთ გიუვენი** ითამაშებენ.

ბიულენთის პრობლემები ამით არ ამოიწურება. საეჭვოა ნახევარმცველების, **მეჰმეთ თოფალისა** და **ტობიას ლინდეროტის**, აგრეთვე ფლეიმეიქერ **არდა თურანის** ასპარეზობა. სასჯელი მოიხადა თავდამსხმელმა **მილან ბაროშმა**.

თურქეთს შესუსტებული შემადგენლობით ჩავიდა "ჰამბურგიც". ვერ ითამაშებენ **მლადენ პეტრიჩი** და **გი დემელი**, აღარაფერს ვამბობთ **ბასტიან რაინჰარდტზე, ტიმოთი ატუბასა** და **რომეო კასტელენზე**, რომელთაც მძიმე ტრავმები აწუხებთ და ხანგრძლივ შვებულებებში იმყოფებიან. **მიხაელ გრავგაარდისა** და **პიტორ ტროხოვსკის** თამაშის საკითხი მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე გადაწყდება.

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვიის სროლა

# მერიის თასი ახალგაზრდებს

ოლიმპიური ჩემპიონის — **ნინო სალუქვაძის** სახელობის ტირში თბილისის მერიის თასი გათამაშდა ახალგაზრდა მსროლელებისთვის. გოგონებში 356 ქულით ყველას **თეონა იაშვილმა** აჯობა. გამარჯვებულს 4 ქულით ჩამორჩა **ნია ხაჩიძე**, 338 ქულით მესამე ადგილზე **ქეთევან მერებაშვილი** გავიდა. ვაჟებში 551 ქულით მერიის თასი **ბექარ გოგინაშვილმა** დაიმსახურა. მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, **ომარ სანოძემ** (542 ქულა) და **ჯუმბერ ოქრუაშვილმა** (536) დაიკავეს.

ამ შეჯიბრების პარალელურად სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ინიციატივით, ცეცხლის ხაზზე უფროსებიც დადგნენ. ქალებში, ტრადიციულად, უძლიერესი იყო ნინო სალუქვაძე, რომელმაც ფინალითურთ 478,5 ქულა მოაგროვა. 466 ქულით მეორე ადგილი **მეგი ქადაგიძეს** ხვდა, **თამილა ასათიანი** 459,5 ქულით მესამე ადგილს დასჯერდა. ვაჟებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. **გივი ბურჭულაძე** (650), 2. **ლევან ქადაგიძე** (643,3), 3. **ილია მაჭარაშვილი** (642,6).

— ივნისამდე თბილისში მოვემზადებით, — მითხრა ნინო სალუქვაძემ, — რადგანაც წლეულს ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიები არ თამაშდება, კორეასა და პეკინში მსოფლიოს თასებზე გამგზავრებას არ ვაპირებ. სანაცვლოდ საქართველოს ნაკრების წევრების და ახალგაზრდა მსროლელებისთვის ივნისის მიწურულს ერევანში საწვრთნელ შეკრებას მოვაწყობთ, მერე ევროპის ჩემპიონატზე გავემგზავრებით. ამჯერად სპორტული პისტოლეტიდან სროლაში შეჯიბრებას ხორვატეთი უმასპინძლებს, მანამდე კი მიუნხენსა და მილანში (მაისი) მსოფლიოს თასების გათამაშებაზეც გამოვცდი ძალებს.

ვაჟა დანელია



გამარჯვებულები

ავტორის ფოტო

ძიუდო

# ცვლილება ოლიმპიადის საკვალიფიკაციო სისტემაში

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ ერთ-ერთმა პირველმა განსაზღვრა 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების კვალიფიკაციის კრიტერიუმები, თუმცა თებერვლის ბოლოს ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის **მარიუს ვიზერის** და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის **ჟაკ როგის** შეხვედრაზე გადაწყდა, საკვალიფიკაციო სისტემაში ცვლილებების შეტანა.

უმთავრესი რაც შეიცვალა, საკვალიფიკაციო პერიოდი შემცირდა, 3,5 წლიდან 2 წლამდე. სალიცენზიო ქულებს მხოლოდ ის ტურნირები იძლევა, რომელიც 2010 წლის 1 მაისიდან 2012 წლის აპრილის ბოლომდე ჩატარდება. ამ 24 თვის განმავლობაში ბოლო სეზონში ქულები ძიუდოისტებს 100 პროცენტით დაერიცხებათ, წინა სეზონის კი - 50-ით. ძველი წესით ასე იყო განსაზღვრული - ბოლო სეზონის (2012) ქულები მთლიანად ერიცხებოდათ სპორტსმენებს, წინა სეზონის - 75%-ით, 2010 - 50-ით და 2009 - 25-ით.

ეს ცვლილება წლევანდელი წლის საოლიმპიადო მნიშვნელობას აკნინებს, ასევე წლეულს თბილისში გასამართავი ევროპის ჩემპიონატისასაც. მაგალითისთვის, პარიზის ტურნირის ფინალისტს და თბილისის მსოფლიოს თასის მომგებ **ამირან პაპინაშვილს** (რომელსაც ქართველებში ყველაზე მეტი ქულა აქვს) რეიტინგში 292 ქულა აქვს, აქედან მეოთხედი, 73 სალიცენზიოდ დაერიცხებოდა, ახლა კი მის ყულაბაში ქულაც აღარ რჩება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

# საიტი ევროპის ჩემპიონატისთვის

24-26 აპრილს სპორტის სასახლე უდიდეს სპორტულ ფორუმს, ძიუდოში ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს. ტურნირისთვის გამალებით ემზადებიან ორგანიზატორები. გუშინ ძიუდოს მოყვარულებმა სასიამოვნო სიახლე მიიღეს - ევროპის ჩემპიონატის ოფიციალური საიტი, რომელიც http://www.judo2009.ge/ მისამართზე განთავსდა.

საიტი ორენოვანი (ქართული, ინგლისური) იქნება, ჯერ მხოლოდ ინგლისური ვარიანტი ფუნქციონირებს. აქ იხილავთ ევროპის ჩემპიონატის ოფიციალურ ლოგოს, რომელზეც კიმონოში გამოწყობილი ლომია აღბეჭდილი. საიტი ჯერჯერობით დამუშავების რეჟიმშია, ასე რომ, მას ძალიან ბევრი რამ დაემატება. ახლა კი შესაძლებელია ძიუდოს ევროპის კავშირის პრეზიდენტის **სერგეი სოლოვეიჩიკის** და საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის **დილარ ხაბულიანის** მისასალმებელი სიტყვების გაცნობა. ასევე შეგეძლებათ ინფორმაციის ნახვა მასპინძელ ქვეყანა საქართველოზე, სპორტის სასახლესა და იმ სასტუმროებზე, სადაც მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლები უნდა გაჩერდნენ. საიტზე უკვე განთავსებულია ევროპის ჩემპიონატის პროგრამა, წესები, სამსაჯო და მონაწილეთა ფორმები და აშ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

რაგბი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ბორჯღალოსნები ბრძოლისათვის მზად არიან

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ევროპის ერთა თასის გათამაშების მორიგი შეხვედრისთვის მზადებას აგრძელებს. კვირას, 22 მარტს ბორჯღალოსნები ნეიტრალურ მოედანზე, უკრაინის ქალაქ მარიუპოლში რუსეთის ეროვნულ ნაკრებს დაუპირისპირდება. ქართველმა მორაგბეებმა, რომლებიც ტრადიციულად მზადებას „შევარდენის" სანაკრებო ბაზაზე გადიან, ამჯერად მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივის" სტადიონზე ივარჯიშეს.

ვარჯიში ათიოდ წუთის დაწყებული იყო, როცა ბორჯღალოსანთა ფულ ბეკ **მერაბ კვირიკაშვილს** ფეხი გადაუბრუნდა და ძველი ტრავმა გაუმიზეზდა. მეკომ ვარჯიშის გაგრძელება ველარ შეძლო, თუმცა ნაკრების მედპერსონალმა დაგვაიმედა, რომ ის რუსების წინააღმდეგ აუცილებლად ითამაშებს.

ვარჯიშში მონაწილეობა არ მიუღიათ **თედო ზიბზიბაძეს** და **მალხაზ ურჯუკაშვილს.** რუმინელებთან მიღებული ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა და ზიბზიბაძე რუსებთან მატჩში გუნდს ვერ დაეხმარება. რაც შეეხება ურჯუკაშვილს, მან ძალოსნობის ვარჯიშისას წელი იტკინა და ნაკრების მწვრთნელმა **ტიმ ლეინმა** ერთი დღით დაასვენა.

ჯერ ისევ იტკივებს ფეხს მეორეხაზელი **ილია ზედგინიძე**. ის მოედანზე გუნდთან ერთად იყო, თუმცა წვრთნაში არ მონაწილეობდა. ამის მიუხედავად მისი მარიუპოლში თამაში ეჭვის ქვეშ არ დგას.

ბორჯღალოსნებმა ვარჯიში მთლიანად ხელდახელ ბურთაობით კომბინაციების დამუშავებას მოანდომეს. ჯერ ლია, არეული თამაშის იმიტაცია მოაწყვეს და ასეთ ვითარებაში კონტრშეტევის ორგანიზებაზე ივარჯიშეს, მერე ჯგუფებად ანუ სარაგბო ენაზე - ბლოკებად შეტევები დაამუშავეს, რომლის დროსაც მეტოქე წინააღმდეგობას უწევს და თამაში რაკში გადადის. ამ დროს კი ბურთიანი მორაგბის მიმყოლმა თანაგუნდელებმა მეტოქე რაკიდან დროულად უნდა გაიყვანონ და ბურთი გაასუფთაონ, რათა ცხრა ნომერმა მისი სწრაფად გამოტანა და შეტევის მომდევნო ფაზის წამოწყება შეძლოს.

ამის მერე, დერეფნის მოგების შემთხვევაში სხვადასხვა კომბინაციაზე ვარჯიშს, ბორჯღალოსნებმა ყველაზე მეტი დრო დაუთმეს.

ვარჯიშს საქართველოს რაგბის კავშირისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელებიც დაესწრნენ.

**ტიმ ლეინი**, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

*„რუსეთის ნაკრები საკმაოდ ძლიერი გუნდია. ფიზიკურად კარგად არიან მომზადებული და არც სისწრაფეებს უჩივიან. თუმცა, ცხადია, ნაკლის შემჩნევაც შეიძლება მათ თამაშში, რის გამოყენებასაც ჩვენ აუცილებლად შევეცდებით.*

*ამ შეხვედრაში გამარჯვებისათვის აუცილებელია გუნდმა სათამაშო დისციპლინა შეინარჩუნოს, ჩემი დავალება შეასრულოს. ვფიქრობ, წარმატების მიღწევა რუსებთან შეხვედრაში სავსებით რეალურია. მთავარია, ჩვენი გუნდის თამაშის ძლიერი მხარეები მაქსიმალურად გამოვიყენოთ."*

**დავით კაჭარავა:** *„გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რუსები წლეულს თავის საუკეთესო სეზონს ატარებენ. ასეთი ძლიერი ნაკრები მათ არასდროს ჰყოლიათ. ჩვენთვის გასაგებია, რომ ცნობილი მიზეზების გამო, შეხვედრა სცილდება სპორტის ფარგლებს. შესაბამისად, ფსიქოლოგიურადაც და ფიზიკურადაც ჩვენი გუნდი მზადაა, ამ მეტად პრინციპულ შეხვედრაში გამარჯვებისთვის იბრძოლოს".*

ბესიკ ჯანგავაძე

სუმო

# დაუმარცხებელი აღარც კოკაია



ყველაფერს აქვს დასასრული და **კოკაის (ლევან ცაგურია)** წაუგებელი სერიაც ოსაკას ბაშოს მეოთხე დღეს დამთავრდა - ქართველმა ფალავანმა პირველი მარცხი მე-9 მაეგაშირა **ფუტენოსგან** იწვნია. დღეს კოკაის მეტოქე ელიტის დებიუტანტი **შოტენროა.** მონღოლი შოტენრო 26 წლისაა, მან ზედიზედ ორჯერ მოიგო ძურიოს დივიზიონი (ნოემბერსა და იანვარში) და მაკუუჩის (უმაღლესი დივიზიონი) საგზური მოიპოვა. პირველად ელიტაში კი გუშინ გაიმარჯვა, როდესაც მანამდე სამი ორთაბრძოლის მომგები **კიმურაიამა** დაამარცხა. ბუნებრივია, კოკაი აქამდე არასოდეს შეხვედრია შოტენროს.

შესანიშნავი სტარტის შემდეგ ყველაფერი თავიდან აქვს დასაწყები ელიტის ყველაზე ახალგაზრდა სუმოისტ **ტოჩინოშინს (ლევან გორგაძე)**. ლევანმა ოს **არანთან** წააგო, 21 წლის ქართველი ეგრევე ეკვეთა მეტოქეს, **ალან გაბარაევი** კი ეშმაკურად მარცხნივ გახტა, ჩვენებურმა დაკარგა წონასწორობა და დოჰიოს დაენარცხა. ტოჩინოშინს 2-2 ბალანსი გაუხდა. დღეს მისი მეტოქეც (კოკაის დარად) მონღოლი სუმოისტია - მე-14 მაეგაშირა **ტამავაში.** ისინი მე-8-ჯერ ხვდებიან ერთმანეთს, ჯერჯერობით, წინ ტამავაშია - 4:3.

ბაშოს სამი დაუმარცხებელი შერჩა, დიდი ჩემპიონები **ასაშორიუ** და **ჰაკუჰო**, აგრეთვე მთაკაცი (248 კგ) **იამამოტოიამა**, რომელიც მე-13 მაეგაშირაა. კვლავ არასტაბილურად გამოდიან ოძეკები (ჩემპიონები), გუშინ ორმა მათგანმა (**კოტოოშუ** და **ჩიოტაიკაი**) ორი კომუსუბისგან მარცხი იგემა.

**გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)** ძურიოს დივიზიონში გადასვლის კანდიდატად მიიჩნევა, გუშინ მან პირველად იასპარეზა ამ დივიზიონში... როგორც სტუმარმა (ტრავმების გამო დივიზიონში სუმოისტთა რიცხვი კენტი გახდა). მაკუშიტას მე-3 ნომერმა ქართველმა **ასოფუჯისთან** (მე-13 ძურიო) უვატენაგეს ილეთით დათმო. გაგამარუს 2-1 ბალანსი გაუხდა.

ჰარუ ბაშო (მარტის სუპერტურნირი)
15-29 მარტი. ოსაკა (იაპონია)

IV დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **კოკაი (მ 8)-ფუტენო (მ 9) 0:1 (იორიკირი), ტოჩინოშინი (მ 10)-არანი (მ 11) 0:1 (ჰატაკიკომი), ჰაკუჰო (ი)-კოტოშოგიკუ (მ 2) 1:0, ასაშორიუ (ი)-ტოჩიოძანი (მ 2) 1:0, ჰარუმაფუჯი (ო)-ჰოკუტორიკი (მ 1) 1:0, კოტომიცუკი (ო)-კაკურიუ (მ 1) 1:0, კიოკუტენჰო (კ)-კოტოოშუ (ო) 1:0, გოეიდო (კ)-ჩიოტაიკაი (ო) 1:0, კაიო (ო)-ბარუტო (ს) 1:0, კისენოსატო (ს)-მიაბიამა (მ 3) 1:0, ვაკანოსატო (მ 5)-ტოკიტენკუ (მ 3), ამინიშიკი (მ 5)-იოშიკაძე (მ 4) 1:0.**

სატურნირო მდგომარეობა: **4-0: ასაშორიუ (იოკოძუნა), ჰაკუჰო (იოკოძუნა), იამამოტოიამა (მაეგაშირა 13). ... 3-1: კოკაი (მ 8)... 2-2: ტოჩინოშინი (მ 10).**

V დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: **კოკაი (მ 8)-შოტენრო (მ 12), ტოჩინოშინი (მ 10)-ტამავაში (მ 14), ასაშორიუ (ი)-გოეიდო (კ), ჰაკუჰო (ი)-ტოჩიოძანი (მ 2), კოტომიცუკი (ო)-კიოკუტენჰო (კ), კოტოოშუ (ო)-ჰოკუტორიკი (მ 1), ჩიოტაიკაი (ო)-კაკურიუ (მ 1), კაიო (ო)-მიაბიამა (მ 3), ჰარუმაფუჯი (ო)-ბარუტო (ს), კისენოსატო (ს)-კოტოშოგიკუ (მ 2), ტოკიტენკუ (მ 3)-ტამანოშიმა (მ 6), ტაკეკაძე (მ 4)-ტაკამისაკარი (მ 7).**

ნიკოლოზ ნეფარიძე

კალათბურთი

რეპლიკა

# როცა მეტოქე მოედანზეა, მაგრამ არსად ჩანს

## ზაპოროჟეცი, მოსკვიჩი, ნოლდვა... და მერსედესი



ვაჟა სიმონიშვილის კარიკატურა

რუბრიკას კიდევ ერთხელ დახედეთ, დარწმუნდით, რომ მართლა სპორტული გაზეთი გიჭირავთ ხელში და არა ავტოჟურნალი. მანქანების შეჯიბრებაც ხომ სპორტის სახეობად მიიჩნევა და მასზე „ლელოშიც“ არაერთხელ დაწერილა.

ოღონდ, თუ აქამდე "პარიზი-დაკარის" რბოლასა და ფორმულა 1-ზე ვწერდით, ახლა ერთმანეთს შევაჯიბროთ ცხრა ტიპის მანქანა – "ზაპოროჟეციდან" "მერსედესამდე".

ზაპოროჟიეს პროდუქტს თავისი გაჭირვებაც ეყოფა, მოტორი საბარგულში აქვს. ამიტომ იგი კვალიფიკაციის გარეშე პირველ ხაზში დავაყენოთ და სტარტის ნიშნად ჭადრაკისებური დროშა ავაფრიალოთ.

18-წუთიანი რბოლის პირველსავე წუთზე "მერსედესი" "ფოლკსვაგენს" გადაასწრებს და ლიდერად მოგვევლინება. არც იმის წინასწარმეტყველება იქნება ძნელი, რომ მაჩანჩალათა რიგებს "ზაპოროჟეცი", "მოსკვიჩი" და "ნოლდვა" შეავსებენ. ჩვეულებრივი ამბავია – როცა ლიდერი ხედავს, რომ მისი დამწევი არავინაა, მოდუნდება, სიჩქარეს მოუკლებს, ძალას დაზოგავს. შესაბამისად "ზაპოროჟეცთან" ორთაბრძოლისას "მერსედესის" შესაძლებლობები სრულად ვერ გამოვლინდება და მივიღებთ დაბალი ხარისხის რბოლას.

სწორედ ისე, როგორც საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატში. პირველობის სატურნირო ცხრილს აქვე შემოგთავაზებთ და თავადაც მიხვდებით, რომელი გუნდია "ზაპოროჟეცი", რომელი - "მერსედესი" და რომელი – საშუალო ხარისხის "ოპელი":

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 14 | 14 | 0 | 28 |
| 2. თსუ | 15 | 10 | 5 | 25 |
| 3. სასოფლო | 14 | 10 | 4 | 24 |
| 4. ნტდ | 14 | 10 | 4 | 24 |
| 5. ავიამშენი | 14 | 10 | 4 | 24 |
| 6. ბათუმი | 14 | 5 | 9 | 19 |
| 7. დინამო | 14 | 3 | 11 | 17 |
| 8. შსს | 14 | 2 | 12 | 16 |
| 9. მაქაბი | 15 | 0 | 15 | 15 |

...და საიდან დაასკვენით, რომ საკალათბურთო რბოლა დაბალი ხარისხისაა? ეს შარშანდელ ჩემპიონატთან შედარებისასაც ნათლად ჩანს – 2007-08 წლების სეზონში სუპერლიგაში 6 გუნდი თამაშობდა და კალათბურთელები მეტ-ნაკლებად თანაბრად იყვნენ გადანაწილებულნი. მეტსაც გეტყვით – ბოლოადგილოსანმა "მაქაბიმ" მომავალი ჩემპიონი "ენერჯი" ორჯერ დაამარცხა (ერთხელ დუდუ დადიანის მემორიალზე, მეორედ საქართველოს ჩემპიონატში). შარშან ორ ტურში ერთხელ ოვერტაიმი ფიქსირდებოდა. იყო შემთხვევები, როცა ერთ დღეს ორი დამატებითი დრო დანიშნულა...

...და რა ხდება წლეულს? **გიორგი მარკოიშვილმა** "მაქაბის" 71 ქულა თავისუფლად ჩაუგდო. მართალია, დაყენებული სროლა რომ არ ჰქონოდა, გიორგი ამდენს ვერ გააკეთებდა, მაგრამ აქ საქმე "მაქაბიშია" – იგი მოედანზე არ ყოფილა. მეტსაც გეტყვით – მარკოიშვილმა 71-ქულიანი რეკორდი მომდევნო მატჩში, "ბათუმთან" გააუმჯობესა – 75 ქულა მიითვალა. მისმა გუნდმა კი ზღვისპირელებს 162 ქულა "უძლვნა".

...მოედანზე არც "ბათუმი" იყო. არადა, ზღვისპირულ "მოსკვიჩს" პირველ წრეში "ჯიპის" მოტორი ედგა – ცენტრი, **დავით იმნაძე** ძლიერი მეტოქეებისთვისაც მაღალ ბერიერს ქმნიდა. მაგრამ მას აზერბაიჯანში დაახლოებით ათასი დოლარი შესთავაზეს და "არაზში" გადავიდა. ამასთან დაკავშირებით ერთი შემთხვევა მახსენდება: ჩვენმა გაზეთმა სხვა სპორტული გაზეთის ჟურნალისტს უკეთესი პირობები შესთავაზა და გადმოსვლა სთხოვა. ეს ამბავი კონკურენტი გაზეთის უფროსობამ რომ გაიგო, ასაბარგებლად გამზადებულ ჟურნალისტს ხელფასი მოუმატა...

"ბათუმური" მოსკვიჩის" ამოჩემება რომ არ დაგვაბრალონ, აქვე "მაქაბიზეც" ვიტყვით – თუ შარშან იყო იმის საშუალება, რომ **გიორგი შერმადინთან** ერთად **ბერიშვილები** და სხვა კარგი კალათბურთელები შეენახათ, წლეულს რატომ დაიქცა ქვეყანა? ...ან "დინამოს" ხელმძღვანელობამ რატომ არ უნდა იფიქროს თუნდაც იმ კალათბურთელების შენარჩუნებაზე, რომლებიც შარშან თამაშობდნენ? შეიძლება "დინამოს" საფეხბურთო ჩემპიონობა მეტად ფასობს, მაგრამ საკალათბურთო "დინამო" ხელწამოსაკრავი გუნდი რატომ უნდა იყოს? შუა სეზონში გაძლიერებაზე აუტსაიდერთაგან მხოლოდ შსს-მ იზრუნა – სამი წლის წინ კალათბურთიდან წასული **კახა შენგელია** დააბრუნა, მაგრამ ეს ნამდვილად არ არის საკმარისი იმისთვის, რომ შსს "ნოლდვაზე" მაღალი ხარისხის ავტომობილს შევადაროთ.

გგონიათ, რბოლა ნამდვილ მანქანებს შორის მოვაწყვეთ? არა ბატონო, ჩვენი ჩემპიონატის ავტომობილები სათამაშოებია NBA-ს ნამდვილ მანქანებთან შედარებით. როდის უნდა გადავსხდეთ სათამაშოდან ნამდვილ ავტოზე? როცა გავიზრდებით. გავიზრდებით მაშინ, როცა ლიდერსა და აუტსაიდერს შორის დიდი სხვაობა არ იქნება და პირველადგილოსანი არა ძალების დაზოგვაზე, არამედ თავს ზემოთ ახტომაზე იზრუნებს. ვფიქრობთ, "დინამოს", შსს-ს, "ბათუმის" და სხვა აუტსაიდერთა ხელმძღვანელობას აქვს იმის რესურსი, რომ გაისად გუნდები ერთიორად გააძლიეროს და საჩემპიონო რბოლაში ჩაერთოს.



ქართველი NBA-ში

# შემარცხენე ზაზა და დამხობილი მონარქია

სათაურის წაკითხვისას შეიძლება დაგრჩათ შთაბეჭდილება, რომ წითელგვარდიელებს მივტირით. ასე ნამდვილად არაა, უბრალოდ, **ზაზა ფაჩულიას** "ატლანტა ჰოქსმა" საკრამენტოელი მეფეები დაამხო – 119:97, რაც ჯორჯიელთა ზედიზედ მეექვსე გამარჯვება იყო. ქართველი ცენტრის ერთი ორქულიანი მატჩის საუკეთესო მომენტთა კრებულში შევიდა – მან ბურთი საჯარიმოს წინა ხაზთან მიიღო, ერთი ცრუ მოძრაობით ორი მეტოქე ჩამოიშორა და მარცხენა ხელით ზუსტად ისროლა (ფოტოზე სწორედ ეს ეპიზოდია დაფიქსირებული). მის მარცხენაზე ყურადღება გაამახვილა მატჩის კომენტატორმაც. ზაზა ფაჩულიას მარცხენა ხელით ჩაგდებულ ორქულიანს ხაზი ჩვენც უნდა გავუსვათ, რათა ახალგაზრდა კალათბურთელებმა ყურადღება გაამახვილონ ერთ ნიუანსზე – "ცალხელა" მოთამაშე არც ევროპაში სჭირდებათ და არც NBA-ში.

ზაზამ 19 წუთში 5-დან 3 ორქულიანი ჩააგდო და 6 ქულას 5 მოხსნა მიამატა. ზემონახსენები მისი ორქულიანის შემდეგ "ატლანტა ჰოქსი" "საკრამენტოსთან" პირველად დაწინაურდა – 44:42. სხვათა შორის, ანგარიშის პირველად გათანაბრების პატივიც ქართველ ცენტრს ერგო – 42:42. ამ ეპიზოდის შემდეგ, მთელი მესამე პერიოდის განმავლობაში ჯორჯიელები მცირე უპირატესობას ინარჩუნებდნენ, მეოთხე რაუნდის დასაწყისში კი 16:3 გაქცევა მოაწყვეს და 108:91 დაწინაურდნენ. მატჩის საბოლოო ანგარიში უკვე გითხარით.

შეხვედრის ბოლოს "ჰოქსის" მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა** შეგირდებს დაცვაში თამაში დაუწუნა, მეტოქეს 97 ქულა არ უნდა ჩაეგდოო, მაგრამ იქვე დაამატა – შეტევაში შესანიშნავად გავისარჯეთ, "საკრამენტოს" 22-ქულიანი სხვაობით ვაჯობეთო.

ატლანტელი "ქორებისთვის" "მეფეების" დამარცხება სეზონის მე-40 მოგება იყო. მათ 28 წაგება აქვთ და აღმოსავლეთის კონფერენციაში მე-4 ადგილზე არიან. მეხუთეს, "მაიამი ჰიტს" – 36 მოგება და 30 წაგება უწერია.

ზაზას თანაგუნდელები მორიგ მატჩსაც შინ, 19 მარტს "დალას მავერიქსთან" გამართავენ. გამარჯვების შემთხვევაში ისინი სეზონის პირად რეკორდს დაამყარებენ – ზედიზედ 7 მოგება დაუგროვდებათ. ერთმანეთის მიყოლებით 6 მატჩი ატლანტელებმა სეზონის სტარტზეც მოიგეს.

**ატლანტა–საკრამენტო 119:97**

ზაზა ფაჩულია: 19 წუთი, 6 ქულა, 5 მოხსნა, 2 ფოლი, 1 შეცდომა

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 01:28 | ზაზამ პორფორდი შეცვალა |
| 00:02 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| **II პერიოდი** | |
| 07:42 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 07:01 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 07:01 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 07:00 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 06:58 | ორქულიანი: 2ქ (42:42) |
| 06:32 | ორქულიანი: 4ქ (44:42) |
| 06:17 | ფოლი: 1 |
| 05:45 | ფოლი: 2 |
| 05:28 | ზაზა სმიტმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 03:27 | ზაზამ პორფორდი შეცვალა |
| 02:42 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 |
| 00:42 | შეცდომა: 1 |
| **IV პერიოდი** | |
| 10:47 | ზაზა სმიტმა შეცვალა |
| 06:03 | ზაზამ პორფორდი შეცვალა |
| 05:31 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 02:56 | ორქულიანი: 6ქ (110:94) |

დანაშაული და სასჯელი

# 100-100 დოლარი და ორი მატჩის გამოტოვება

საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში გაიმართა სადისციპლინო კომიტეტის სხდომა, რომელზეც სუპერლიგაში მომხდარ დარღვევებზე ილაპარაკეს. დისციპლინარებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ მე-15 ტურის მატჩში "ავიამშენთან" დაპირისპირებისას "დინამოს" მწვრთნელის, **ზაზა ცაგარეიშვილის** მოედნიდან გაძევება. მას ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს და 100 დოლარით დააჯარიმეს. ასე რომ, "დინამო" "ბათუმთან" და შსს-სთან მატჩებს მთავარი მწვრთნელის გარეშე ჩაატარებს.

იდენტური სასჯელი ერგო "ენერჯის" გამთამაშებელ **დავით არწივიძეს**, რომელმაც მე-16 ტურში "ავიამშენთან" მატჩში მსაჯთან კამათისთვის ტექნიკური შენიშვნა მიიღო, რაზეც უხეში რეაგირება მოახდინა და არბიტრებმა მოედნიდან გააძევეს. მასაც 100 დოლარის გადახდა და ორი მატჩის გამოტოვება მოუწევს.




ქართველი ევროჩელენჯზე

# მანუჩარ მარკოიშვილი: კიევში მაინც მოვიგებთ!

"დღევანდელ მატჩში წაგებით ევროჩელენჯის ნახევარფინალში გასვლის შანსი არ დაგვიკარგავს. განმეორებით შეხვედრას შინ, კიევში გავმართავთ და მჯერა, რომ "შოლეს" დამარცხებას შევძლებთ, ოღონდ მეტად კონცენტრირებულნი უნდა ვიყოთ და ტემპსაც მოვუმატოთ. ასევე დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ შეტევით მოხსნებს. თუ ჩვენი თამაში ვუჩვენეთ, მეორე მატჩის მოგების კარგი შანსი გვექნება და სერიას მესამე შეხვედრამდე მივიყვანთ", - განაცხადა **მანუჩარ მარკოიშვილმა** "შოლესთან" პირველი მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ.

"კიევმა" საფრანგეთში პირველი მეოთხედი 6 ქულის სხვაობით წააგო, თუმცა მეორე ათწუთეულის დასაწყისში **სალტოვეცის** ზუსტი ტყორცნების წყალობით 12:2 სპურტი მოაწყო და 25:21 დაწინაურდა. ამ ეპიზოდიდან მეოთხე პერიოდამდე თანაბარი თამაში გაჩაღდა, მაგრამ ბოლო რაუნდის სტარტზე კიეველებმა ფრანგების შეკავება ველარ მოახერხეს და მატჩი 52:68 დათმეს.

მეოთხე ათწუთეულის შუაში, როცა შეხვედრის ბედი მასპინძელთა სასარგებლოდ გადაწყდა, მწვრთნელმა, **საშა ობრადოვიჩმა** მანუჩარ მარკოიშვილი სათადარიგოთა სკამზე დასვა, რათა განმეორებითი მატჩის წინ ენერგია ცოტა დაეზოგა. მანუჩარმა 31 წუთში 6 ორქულიანიდან და 5 სამიანიდან მხოლოდ თითო ტყორცნა გამოიყენა და 7 ქულას გამორჩა. სამაგიეროდ, პასები არიგა უხვად – 5 შედეგიანი გადაცემა, 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა.

განმეორებითი შეხვედრა კიევში დღეს, 19 მარტს გაიმართება. პირველ მატჩში დაფიქსირებულ ქულათა სხვაობას მნიშვნელობა აღარ ენიჭება, "კიევმა" ერთი ქულითაც რომ მოიგოს, მესამე, გადამწყვეტი თამაში დაინიშნება. იგი 25 მარტს საფრანგეთში გაიმართება. თუ უკრაინაშიც "შოლემ" იმარჯვა, მესამე შეხვედრა აღარ შედგება.



გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ჩოგბურთი

# ჩახნაშვილმა დანილიდუ დაამარცხა

26 წლის **მაკა ჩახნაშვილი** (212) წარმატებით ჩაება კანარის კუნძულებზე ქალაქ ტენერიფეს საერთაშორისო ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი ამერიკული დოლარია. მოგეხსენებათ, ამ შეჯიბრების ძირითად ბადეში გასვლა ვერ მოახერხეს **ეკა გორგოძემ** (601) და **სოფიო ქვაცაბაიამ** (661), მაკას კი ადგილი რეიტინგით ეკუთვნოდა. პირველ წრეში მაკამ საკმაოდ სახელიანი ჩოგბურთელი, ერთ დროს მსოფლიოს მე-14 ჩოგანი ბერძენი **ელენი დანილიდუ** (240) დაამარცხა - 6:3, 6:4. ქართველი ჩოგბურთელი ტენერიფეში მე-8 ნომრად არის განთესილი, მისი მეტოქე მერვედფინალში ჩინელი **ინ-ინ ლუა** (213).

მაკა ჩახნაშვილი წყვილთა თანრიგშიც კარგად ასპარეზობს, ის ესპანელ **სილვია სოლერ-ესპინოსას** (192) შეუწყვილდა. ამ დუეტმა პირველ წრეში მე-4 ნომრად განთესილი გერმანულ-ფრანგული გუნდი (**იულია შრუფი** (139) და **იულია ფედოსოვა** (242)) დაამარცხა - 6:4, 4:6, 10:7. მეოთხედფინალში მაკა და სილვია იტალიელ **ვივიენე ვიერინს** (584) და ჩინელ **იან-ფან სუს** (397) ხვდებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კრივი

# ირლანდიელები ქართველებს ელიან

როგორც "ლელოს" მკითხველმა იცის, ირლანდიის ეროვნული ნაკრების უფროს მწვრთნელად **ზაურ ანთია** მუშაობს. ქართველი სპეციალისტის დიდი ავტორიტეტის გამოისობით, ირლანდიის კრივის ფედერაცია მზადაა, ქართველ მოკრივეებს უმასპინძლოს და ისინი ორმხრივ წვრთნებში ჩართოს. ამ თემაზე დუბლინში ირლანდია-საქართველოს საფეხბურთო მატჩის შემდეგ ისაუბრეს ზაურ ანთიამ, ჩვენი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** და ირლანდიური კრივის მესვეურებმა.

ირლანდიური მხარე მზადაა, ქართველი მოკრივეების ცხოვრებისა და წვრთნების ხარჯები მთლიანად დაფაროს. ჩვენს ფედერაციას მხოლოდ მგზავრობის ფულის გადახდა მოუწევს. აქამდე უსახსრობის გამო ამ ვარიანტის განხორციელებაც ვერ ხერხდებოდა, მაგრამ წლეულს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და კრივის ფედერაციის მხრიდან ამ საკითხისადმი განსაკუთრებული დაინტერესება შეინიშნება.

ზაურ ანთია მოხარულია საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად **რამაზ ფალიანის** დანიშვნით. *"შესანიშნავი მოკრივე იყო და რაც მთავარია, პატიოსანი და მონდომებული პიროვნებაა. დარწმუნებული ვარ, მისი ხელმძღვანელობით ქართველი მოკრივეები შედეგებს საგრძნობლად გააუმჯობესებენ"*, - ამბობს ანთია.

14-20 აპრილს თურქეთში აჰმედ ქომერთის მემორიალი იმართება. ამ საერთაშორისო ტურნირზე სხვებთან ერთად, იასპარეზებს როგორც ირლანდიის, ასევე საქართველოს ნაკრებები. ანთია და ფალიანი მომავალი თანამშრომლობის შესახებ დეტალურად სწორედ იქ ისაუბრებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ხელბურთი

# მსხვილიძე ბრძოლას აგრძელებს

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე **რატი მსხვილიძე** სერბული "მეტალოპლასტიკას" ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად ბრძოლას აგრძელებს. სერბეთის ჩემპიონატის პირველ ეტაპზე რატი მოედანზე ცოტა დროს ატარებდა, თუმცა ამის შემდეგ, მოსამზადებელ პერიოდში, მწვრთნელებისგან მეტ ნდობას გრძნობდა.

სერბული სახელბურთო სეზონი უკვე განახლდა სათასო მატჩებით. "მეტალოპლასტიკას" მეტოქე არ გამოუცხადდა და მსხვილიძის გუნდმა მომდევნო ეტაპის საგზური უბრძოლველად მოიპოვა. ჯერჯერობით, ქვეყნის 16-გუნდიან პირველობაზე "მეტალოპლასტიკა" მე-3 ადგილზეა და ჩემპიონობის რეალური შანსი აქვს.

რატიმ "მეტალოპლასტიკას" გასული წლის ბოლოს მიაშურა და მასთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ყინულის ჰოკეი

# ზაპოროჟიე ამჯობინეს



გიორგი გლუხოვი ავტორის ფოტო

საქართველოს ყინულის ჰოკეის ფედერაციას საერთაშორისო შეჯიბრებაზე გასამგზავრებლად ორი არჩევანი ჰქონდა – ზაპოროჟიესა და დნეპროპეტროვსკის ტურნირებს შორის ქართული ჰოკეის ოჯახმა უპირატესობა ზაპოროჟიეს ვარიანტს მიანიჭა. ეს ტურნირი 8 აპრილს დაიწყება და დაახლოებით ერთ კვირას გასტანს. საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის ეს მეორე უკრაინული ვიზიტია. ეს იქნება კავკასიის ლიგისთვის მზადების უმნიშვნელოვანესი ეტაპი.

საქართველოს ნაკრების ზაპოროჟიეში გამგზავრების საკითხის დადებითად გადაწყვეტაში დიდი წვლილი მიუძღვის უკრაინელ **გიორგი გლუხოვს**, რომელიც თბილისში, ერთ-ერთი ავიაკომპანიის ოფისში მუშაობს და ამავდროულად, ქართველ ჰოკეისტებთან ერთად ვარჯიშობს და თამაშობს. გიორგის წყალობით, ჩვენი დელეგაცია ავიაბილეთებს საგრძნობი ფასდაკლებით შეიძენს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ჭადრაკი


ბადურ ჯობავა

# ბადურ ჯობავა ევროპაში მესამეა!

ჩერნოგორიის მაღალმთიან საკურორტო ქალაქ ბუდვაში გუშინ დასრულდა ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი, სადაც ოთხი ქართველი ცდიდა ძალებს. მთავარმა ტურნირმა ფინიშს ჩვიდმეტ მარტს უწია, მაგრამ დებულების თანახმად, თუკი თანაბარქულიანები მოგროვდებოდნენ, მათთვის ტაიბრეიკები უნდა გათამაშებულიყო. აქ მხოლოდ ჩემპიონის და პრიზიორთა გამოვლენა არ არის მთავარი, - ევროპის ჩემპიონატიდან მსოფლიოს თასზე გამსვლელი მოჭადრაკეებიც უნდა გარკვეულიყო და საგზურები თავიანთ პატრონებს ელოდნენ... ჩვენებურთაგან წარმატებას მხოლოდ **ბადურ ჯობავამ** მიაღწია და ბოლო ტურში გამარჯვებით იმ თერთმეტ მოწინავეში მოხვდა, ვინც მთავარი პრიზისთვის იბრძოლებდა. ქართველის კოეფიციენტი მერვე იყო და დებულების თანახმად, მას და კიდევ ხუთ რჩეულს მერვედფინალში უნდა გაერკვიათ სამი გამარჯვებულის ვინაობა, რომლებიც შემდეგ დაემატებოდა დარჩენილ ხუთ მოჭადრაკეს და შექმნიდნენ მეოთხედფინალურ წყვილებს. ცალკერძ იმართებოდა მსოფლიოს თასისთვის მებრძოლთა ტურნირიც, რომელიც, თავის მხრივ, არანაკლებ საინტერესოა, მაგრამ რახან ქართველი არავინ თამაშობდა, იქაურ პერიპეტიებს არ გაგაცნობთ. ბადურს პირველ წრეში მოსკოველი ქართველი, საკმაოდ მაღალკვალიფიციური დიდოსტატი **მიხეილ ქობალია** შეხვდა. ტაიბრეიკის წესები შემდეგნაირი გახლდათ: მოჭადრაკეები ორჯერ, ფერთა მონაცვლეობით გაეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, მოსაფიქრებლად კი თხუთმეტი წუთი ეძლეოდათ, ყოველ სვლაზე ხუთი წუთის დამატებით. თუ ორი პარტიის ჯამში გამარჯვებული ვერ გამოვლინდებოდა, ინიშნებოდა ეგრეთ წოდებული „არმაგედონი", სადაც თეთრებს ხუთი წუთი ეძლეოდა, შავებს კი - ოთხი; ყაიმის შემთხვევაში გამარჯვებულად შავებით მოთამაშე ცხადდებოდა.

ბადურმა პირველი პარტია შავებით დათმო და მეორეში აუცილებლად უნდა მოეგო. საბედნიეროდ, შეძლო და გადამწყვეტ რაუნდში გადაიყვანა შეხვედრა. იქ შავი ფერი ერგო. გამარჯვებისთვის ყაიმიც ჰყოფნიდა, მაგრამ მან მოგება მოახერხა და კარგი განწყობით შეხვდა მეოთხედფინალს.

მეოთხედფინალში კოეფიციენტით პირველი - ჰოლანდიელი **ივან სოკოლოვი** შეხვდა. ქართველის უპირატესობა თვალსაჩინო აღმოჩნდა - ორივე პარტიაში გაანადგურა მეტოქე და, შეიძლება ითქვას, რომ დიდძალი ენერგიაც არ დაუხარჯავს. თუმცა ასეთი აზრი ნამდვილად არასწორი იქნება, რადგანაც ამგვარ ტურნირში და თანაც სწრაფ ჭადრაკში, უდიდესი კონცენტრაციაა საჭირო. ერთი დღის განმავლობაში კი რამდენიმე საპასუხისმგებლო პარტიის თამაში რომ ძალების გახარჯვას იწვევს, ფაქტია. სამწუხაროდ, ადგილზე არ გახლდით და ვერ მოგახსენებთ, ბადურის ფიზიკური მდგომარეობა როგორი იყო, მაგრამ ოქროს მედლამდე ცოტა რომ დააკლდა, მთელმა ევროპამ ნახა. არადა, ნახევარფინალში არცთუ გრანდი შეხვდა - რუსი **ევგენი ტომაშევსკი**, რომელსაც ქართველი რეიტინგში ხუთი პუნქტით ჯობნის. ბადურმა შესანიშნავად დაიწყო და თეთრებით გაიმარჯვა. მეორე პარტიაში მთავარი ამოცანა არწაგება გახლდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოახერხა და წააგო; თანაც ძალიან სწრაფად. მთელი იმედი „არმაგედონზე" დაეკიდა, სადაც კვლავ შავებით მოუწია თამაშმა. ამ ეტაპზე, მიიჩნევა, რომ შავებით ასპარეზობა უფრო მომგებიანია, რადგანაც თეთრებს მოკლე დროში მხოლოდ მოგება აძლევს ხელს. ჩვენი იმედიც ეგ იყო, რომ ბადური ახლა მაინც დაიცავდა თავს, მაგრამ კვლავ ვერ შეძლო სასურველი შედეგის მიღება და ფინალში რუსმა გააღწია. დასანანია, მაგრამ ცოტა არ იყოს, ქართველს შავებით თამაში უფრო უჭირს, - თეთრებით კი ლამის ყველა პარტიაში იმარჯვებს...

ფინალში ვერ მოხვდა, მაგრამ მესამე ადგილისთვის ბრძოლის უფლება კი მიიღო. მეტოქედ ასევე რუსი **ერნესტო ინარკიევი** შეხვდა, რომელთანაც ბადურმა ძირითად ტურნირშიც ითამაშა; მაშინ ქულის გაყოფით დასრულდა პარტია. ამჯერად ჯობავამ საქმე აღარ გადადო და ჯერ თეთრებით მოიგო, მეორე პარტიაში კი შავებით შეძლო თავის დაცვა, ყაიმი დაფიქსირდა და ბრინჯაოს კავალერიც გახდა! თქმა არ უნდა, ბადურმა უდიდეს წარმატებას მიაღწია, - მას ნამდვილად აქვს დიდი პოტენციალი და, სიმართლე რომ ითქვას, მისგან აქამდეც ელოდნენ მსგავს და უფრო მეტ შედეგებსაც. რამ შეუშალა ხელი უპირველეს ქართველ დიდოსტატს მაღალი მწვერვალების დაპყრობაში, ამჯერად არ ვისაუბრებთ, მთავარია, რომ შედეგი გამოჩნდა, - სჯობს გვიან, ვიდრე - არასდროს! აღსანიშნავი ერთი ფაქტიც არის: ევროპის ჩემპიონატზე ქართველ დიდოსტატს მესამე ადგილიც მოუპოვებია და ჩემპიონიც გამხდარა. ასეთი რამ მხოლოდ **ზურაბ აზმაიფარაშვილს** მოუხერხებია - 2001 წელს ზურა მესამე ადგილზე გავიდა და სწორედ ტაიბრეიკებში გამარჯვებით დაისაკუთრა ბრინჯაო; ხოლო ჩემპიონობას ორი წლის შემდეგ შესწვდა. ბატონი ზურაბი მაშინ მოჭადრაკისთვის არცთუ ახალგაზრდა ასაკში იყო, - 43 წლის გახლდათ, ჯობავა კი ჯერ მხოლოდ 25-ისაა, რაც იმედით აგვავსებს. თუკი ბადურის მესამე ადგილი მომდევნო ევროპის ჩემპიონობის საწინდარია, ნამდვილად არ დაგვწყდება გული წლევანდელი მესამე ადგილის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ჩემპიონი სწორედ რომ მისი დამმარცხებელი **ევგენი ტომაშევსკი** გახდა...

ვულოცავთ ბადურ ჯობავას შესანიშნავ თამაშს და ბრინჯაოს მედალს.

**ზვიად შათირიშვილი**

# წარმატებას ქალებშიც ველით

**ბადურ ჯობავას** მესამე ადგილი ძალიან კი გვეამა, მაგრამ ამით დაკმაყოფილებას არ ვაპირებთ ქართველები, - სანქტ-პეტერბურგში მიმდინარე ევროპის ქალთა ჩემპიონატზე დღეს დასრულდება მთავარი ტურნირი და დიდი შანსია, რომ ქართველები იქაც ვიხილოთ საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლთა შორის. უპირველესი შანსი **მაია ლომინეიშვილს** აქვს, რომელმაც 7,5 ქულა მოაგროვა და მეორე - მერვე ადგილებს იყოფს; კოეფიციენტით კი მეოთხეა. გარკვეული თეორიული შანსი აქვთ **სალომე მელიას** და **სოფიკო ხუხაშვილს**, რომელთაც 7 -7 ქულა მოაგროვეს და თუკი ბოლო ტურში იმარჯვებენ, არ არის გამორიცხული, რომ კარგი შედეგი აჩვენონ. ცხადია, წინ წაწევა ტაიბრეიკებშია შესაძლებელი... სამწუხაროდ, კვლავ წააგო **ნანა ძაგნიძემ** და საპრიზოზე გასვლის ყველანაირი შანსი დაკარგა. მან გვარიანი რეიტინგული ზარალიც ნახა და თუკი დღეს ვერ მოიგო, ამ მხრივ ზიანი ბევრად მოიმატებს...

მოკლედ გეტყვით გუშინდელ შედეგებზე: ლომინეიშვილმა შავებით ქულა გაუყო პოლონელ **მონიკა სოცკოს**; მელიამ ასეთივე შედეგით დაასრულა პარტია რუს **ირინა ტუროვასთან**, თუმცა იგი თეთრებით თამაშობდა. მოიგო ხუხაშვილმა - თეთრებით რუსი **ოლგა გირია** დაამარცხა. **ნინო ხურციძემ** ყაიმით ითამაშა; წააგო **სოფიკო გურამიშვილმა**. მოიგეს **სოფიო გვეტაძემ, ქეთი წაწალაშვილმა** და **ნაზი პაიკიძემ**. ქართული დელეგაციის ყველაზე უმრწემესებმა - **მერი არაბიძემ** და **მარიამ დანელიამ** ნახევარი ქულა შემატეს თავიანთ მარაგს. ცხადია, ცხრილის მეორე ნახევარში მყოფებს მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობის საკითხები დარჩენიათ გადასაჭრელი, ლიდერებს კი - ბევრად გლობალური და იმედია, რომ რომელიმე მათგანი მედალს შესწვდება. მკითხველს შევახსენებთ, რომ ორი წლის წინანდელ ევროპის ჩემპიონატზე ბოლო ტურის წინ მაია ლომინეიშვილი ანალოგიურ სიტუაციაში იყო - მეორე ადგილზე იმყოფებოდა და ერთპიროვნულ ლიდერს, რუს **ტატიანა კოსინცევას** ხვდებოდა. მაშინაც თეთრი ფერი გახლდათ ქართველის არჩევი, მაგრამ სათანადოდ ვერ გამოიყენა და მოგებას ვინ ჩივის, წააგო, რითაც თითქმის ყველაფერი დაკარგა: გადაერთო ტაიბრეიკებში, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურიც კი ვერ მოიპოვა. საზოგადოდ, ლომინეიშვილს ბოლო პარტიის თამაში უჭირს - ნერვებს ვერ ერევა. იმედია, ამჯერად მაინც შეძლებს სასურველი შედეგის მიღებას - მას საკმაოდ დიდი გამოცდილებაც დაუგროვდა და ამ ჩემპიონატშიც კარგად, ჯერაც წაუგებლად თამაშობს.

**ზვიად შათირიშვილი**

# მაჩანჩალა დამარცხებულია

**მაია ჩიბურდანიძემ** სტამბოლის გრან-პრიზე მეათე ტურში აუტსაიდერ **ქემრე ილდიზს** იოლად კი მოუგო, მაგრამ ამით ბევრი ვერაფერი შეემატება - მხოლოდ ხუთი ქულა აქვს მარაგში, რაც დღეისთვის მეშვიდე ადგილისთვის არის საკმარისი. ბოლო ტურში ჩვენებურის მეტოქე ეკვადორელი **მარტა ფიერო**, რომელმაც ტურნირი კარგად კი დაიწყო, მაგრამ ცუდად გააგრძელა და რამდენიმე წაგების შემდეგ მხოლოდ გუშინ იმარჯვა - მასავით მაჩანჩალა ჩინელი **იანკ შენი** დაამარცხა. იმედია, სტამბოლს ჩიბურდანიძე მაჟორულ ნოტაზე დატოვებს და, თუ ფორტუნამაც გაულიმა, შესაძლოა, ორიოდ საფეხურით მაინც აიწიოს ზევით; სამწუხაროდ, მეტს ვერაფრით შესწვდება... ცხრილში მაღალი ადგილი შესაბამისად მეტ ჰონორარსაც ნიშნავს...

გუშინდელ ტურში მოულოდნელი ვითომ არაფერი მომხდარა, მაგრამ ერთპიროვნული ლიდერის, ჩინელი **სიუ ჭაოს** თეთრებით დამარცხება ფრანგ **მარი სებაგთან**, ნაკლებად, მაგრამ მაინც შეიძლება ამ კატეგორიას მივაკუთვნოთ. სებაგმა **ანტუანეტა სტეფანოვას** გადაასწრო ცხრილში და ახლა მეხუთე საფეხურზეა. ანტუანეტამ შავებით წააგო ინდოელ **ჰამპი კონერუსთან** და მეექვსე ადგილზეა. ჩიბურდანიძის დარად, აშკარაა, რომ ბულგარელსაც არ მოაგონდება სტამბოლი სასიამოვნოდ. **პია კრამლინგმა** ვერ აჯობა **ზეინაბ მამედიაროვას** - ყაიმი. ქულა გაიყვეს **იფან ჰოუმ** და **ელინა დანიელიანმაც**, რის შემდეგაც ტურნირზე სამხელისუფლებიანობა დამყარდა: სიუ ჭაოს, იფან ჰოუს და ჰამპი კონერუს 7,5-7,5 ქულა აქვთ. ბოლო ტურში კონერუ შავებით ხვდება სებაგს; სიუ ჭაო ასევე შავებით ეთამაშება დანიელიანს, ხოლო იფან ჰოუს იანკ შენის დამარცხება მოუწევს, - აქაც შავებით არის ფავორიტი. სტეფანოვა კრამლინგს ხვდება და საინტერესო ბრძოლაც გამოვა, მაგრამ მამედიაროვასა და ილდიზის შეხვედრაში თუ ვინმე რაიმე ინტრიგას იპოვის, ბარაქალა მის შეძლებას და შნოს...

სატურნირო მდგომარეობა ბოლო ტურის წინ: **1 - 3. სიუ ჭაო, იფან ჰოუ, ჰამპი კონერუ - 7,5-7,5; 4. ელინა დანიელიანი - 7; 5. მარი სებაგი - 6; 6 -7. ანტუანეტა სტეფანოვა, მაია ჩიბურდანიძე; 8-9. მარტა ფიერო, პია კრამლინგი - 4,5 - 4,5; 10-11. ზეინაბ მამედიაროვა, იანკ შენი - 2-2; 12. ქემრე ილდიზი - 1,5.**

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო წარმოგიდგენთ

ქართული სპორტის ქრონიკები

# დასაბამიდან დღემდე

*გაგრძელება, დასაწყისი ლელო №52 (12731)*

შუა საუკუნეების საქართველოში არსებული ფიზიკური ვარჯიშები საკმაოდ ვრცლად არის ასახული ძველ ხალხურ სიტყვიერებასა და მხატვრულ ლიტერატურაში. „ამირან დარეჯანიანში" მოხსენებულია ომ დროში გავრცელებული ფიზიკური ვარჯიშები, აღწერილია რაინდთა ბრძოლის ამსახველი სურათები. ამ ნაწარმოებიდან ჩანს, რომ იმართებოდა კომპლექსური სპორტული ასპარეზობები მშვილდოსნობაში, შუბის ტყორცნაში, ნადირობაში, ცურვასა და ჭიდაობაში. მეორე ლიტერატურულ ნაწარმოებში „რუსუდანიანში" აღწერილია ძველი ქართული თამაში—ყაბახი.

აღნიშნულ პერიოდში უხვად ყოფილა სპორტული ბაზა. იმჟამად არ იყო სოფელი (განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში), რომელსაც თავისი საჭიდაო მოედანი არ ჰქონდა მოწყობილი. აგებული იყო დარბაზები, ისოდრომები. შავთელის გადმოცემით, თამარის სასახლე ამშვენებდა „იპოდრომისა განხმულობანი". იყო ასევე ე.წ. „სათამაშო სახლები", რაც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, არის „სახლი მენარდეთა". ამ „სახლების" სტუმრები იყვნენ სხვა სამაგიდო თამაშის მოყვარულებიც. მრავალი სპორტული ბაზა ეკლესია-მონასტრების ეზოებშიც კი იყო გადატანილი. მთელი რიგი ეკლესიები თავისებურ სპორტულ ცენტრებად იქცნენ. საეკლესიო პირი ხშირად მსაჯისა და შეჯიბრების ორგანიზატორის როლსაც კი ასრულებდა ლელობურთის თამაშის დროს. ეს მაგალითი ნათლად მიუთითებს, რომ ქართულმა ქრისტიანულმა რელიგიამ გარკვეული წვლილი შეიტანა სპორტული მოძრაობის განვითარების საქმეში. შემთხვევითი არ არის, რომ სხვა სასწავლო დაწესებულებებთან ერთად შუა საუკუნეების საქართველოში ფიზიკური აღზრდა დანერგილი იყო ქალთა ზოგიერთ საეკლესიო სკოლაშიც. აღნიშნულ პერიოდში გარკვეული ადგილი ქალთა ფიზიკურ აღზრდასაც ეთმობოდა, თუმცა მათთვის ფიზიკური აღზრდის სპეციალური სისტემა არ არსებობდა. ცნობილია, რომ თამარ მეფე შესანიშნავი ცხენოსანი და მოისარი იყო.

XII—XIII საუკუნეში საქართველო საკმაოდ დიდი და ძლიერი სახელმწიფო იყო, რომლის საგარეო პოლიტიკური მნიშვნელობა და ავტორიტეტი საგრძნობლად გაიზარდა. ამ ხანას საქართველოს აყვავების ხანას უწოდებენ, რომლის დროსაც განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ფიზიკურმა აღზრდამ. სხვა წყაროებთან ერთად, ამაზე მიგვითითებს შოთა რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი". ბურთაობა, მშვილდოსნობა, ცხენოსნობა, მუშაითობა, ნადირობა - ეს ფიზიკური ვარჯიშების ის სახეობებია, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული ამ პერიოდისათვის და მათზე მოგვითხრობს რუსთაველი თავის პოემაში. „ვეფხისტყაოსანში" ფიზიკური აღზრდის მთელი სისტემაა წარმოდგენილი. შოთა რუსთაველს ადამიანთა ჯანმრთელობისათვის საჭიროდ მიაჩნია: ჯანი, სისალე, სიმძლავრე, გამძლეობა, სისწრაფე, სიმამაცე, სილაღე, რიხიანობა, ვეფხვის სიმარდე; სილამაზისათვის თვალად სიტურფე, პირმზეობა, მზისადარობა და სხვ. რაინდობისათვის მშვილდოსნობა, ცხენოსნობა, ასპარეზობა, ბაზიერობა, ნიშანში სროლა, მორჭმულობა, მუშაითობა, აკრობატიკა, ბურთაობა და სხვა. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს გააჩნია ფიზიკური აღზრდის ისეთი სისტემა, რომელსაც აშკარა უპირატესობა ჰქონდა ევროპული ქვეყნების საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის სარაინდო სისტემებთან შედარებით.

შუა საუკუნეების უფრო გვიანი პერიოდი (XVI—XVIII სს.) ფიზიკური აღზრდის შესახებ საკმაოდ ვრცლად საუბრობს თავის ნაწარმოებში მეფე არჩილ II. ამ პერიოდის საქართველო თავისებურ სამხედრო ბანაკს მოგვაგონებდა, რადგან ყველასათვის სავალდებულო იყო სამხედრო ხელოვნებაში და ფიზიკურ მომზადებაში დაოსტატება.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში საზოგადოებრივ-პედაგოგიურმა მოძრაობამ დიდი აღმავლობა განიცადა. მას თავიდანვე სათავეში ჩაუდგნენ გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები და პედაგოგები: დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ა. წერეთელი, ი. წინამძღვრიშვილი, ნ. ცხვედაძე და სხვ.

(გაგრძელება იქნება)

**გურამ ძაგანია,**
პროფესორი

## 71 წლის წინათ...

# თეატრის გუნდების გათამაშება ფრენბურთში

ამ დღეებში თბილისში იწყება თეატრის გუნდების გათამაშება ფრენბურთში ხელოვნების კავშირის პირველობაზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი გუნდები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერის და ბალეტის თეატრის, რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების, გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრის, მოზარდ მაყურებელთა თეატრის, კონსერვატორიისა და სამხატვრო აკადემიის გუნდები.

გათამაშება ტარდება ოლიმპიური სისტემის მიხედვით.

გათამაშებაში გამარჯვებული გუნდი მიიღებს საქართველოს ხელოვნების კავშირის გარდამავალ ჯილდოს.

*„ლელოს" წინამორბედი გაზეთი „ფიზკულტურელი", 1938 წ. 28 იანვარი*

ქრონიკა

# რას წერდა ივერია

„დ. ხიზაბავრელი ხელობით მეტივე იყო. ჯმუხი, მოკლე ხელმკლავიანი, ცოტათი მოხრილი და დათვურად ნაკვეთი. დადიოდა დღეობებზე და ვინც გამოითხოვდა, მზად იყო შებმოდა, თან ახლდა ხოლმე ერთი ან ორი ამხანაგი მეტივეთაგანი, ვინცობაა, მარცხი რამ მოსვლოდა ჭიდაობაში, იმათ ეპატრონათ, სხვა ქომაგი არავინ ჰყავდა და არც ეძებდა... ძლიერ სათნო კაცი იყო და სულგრძელი მოჭიდავე. ზეზე კისრული იცოდა. რალა კი წარმოიკიდებდა, იტყოდა ხოლმე, ახლა გინდათ ხარ-კამეჩიც მოუბათ, ველარ შეიმაგრებთ, გადავიტანო და მართლაც, ბევრჯერ დაბლაუჭებიან ზურგზე წამოკიდებულ მოჭიდავეს ქომაგები, რომ შეემაგრებინათ და ველარ გადაეტანა ხიზაბავრელს".

*გაზეთი „ივერია" №108, 1888 წ.*

**შეკითხვა:** გთხოვთ გვიპასუხოთ, მართლა არსებობს თუ არა სკოლების მსოფლიო ფედერაცია და რა მიზანს ისახავს იგი?

*ბექა სიდამონიძე, თბილისი*

პასუხი: დიახ, ასეთი ფედერაცია ნამდვილად არსებობს და მისი ამოცანაა მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარება სკოლებს შორის სპორტის შემდეგ სახეობებში: მძლეოსნობა, ჩოგბურთი, ფეხბურთი, ფუტზალი, ფრენბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, ბადმინტონი, პლაჟის ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ორიენტირება, ცურვა, ფიგურული ციგურაობა და დარბაზის ბურთის ჰოკეი.

# სტატისტიკის ერთგული

ქართული ფეხბურთის მემატიანეს რევაზ შენგელიას ახალგაზრდობისას გაზეთ „ლელოსთან" მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში იგი „ლელოში" კარგა ხანს აქვეყნებდა ჩვენი და საბჭოთა ფეხბურთის სტატისტიკურ მონაცემებს. საფეხბურთო სტატისტიკით გატაცება მას შემდგომში პროფესიად ექცა და ახლაც დიდი გულმოდგინებით გამოხატავს ფეხბურთისადმი სიყვარულს ციფრებით. მისი საგაზეთო „სტატისტიკური" სტატიები განივრცო და ახლა უკვე წიგნებად იბეჭდება ყოველწლიურად. „ლელო" კი დღესაც რევაზ შენგელიას სამაგიდო გაზეთია. აღსანიშნავია, რომ მის მდიდარ სპორტულ ბიბლიოთეკაში 1949 წლიდან მოყოლებული დღემდე „ლელოს" თითქმის ყველა ნომერი ინახება. ასეთი ერთგული მკითხველი და ქომაგი ჰყავს გაზეთ „ლელოს".

მოამზადა
**მიხეილ საბახტარიშვილმა**

## 2009 წლის მარტი ქართულ სპორტში



20. **მაგიდის ჩოგბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი.
21. **ბატუტი.** საერთაშორისო ტურნირი. ჰოლანდია.
22. **რაგბი.** ევროპის ერთა თასი. რუსეთი-საქართველო.
21. **სამთოთხილამურეები.** სუხია 2009. გუდაური
22-24. **ფიგურული ციგურაობა.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ლოს-ანჯელესი.
29.03-5.04. **წყალხტომა.** ევროპის თასი. დიდები.

# აკაკი წერეთელი გვმოძღვრავდა

აკაკი გათვითცნობიერებული იყო ქართული სპორტული თამაშების მნიშვნელობაში და სამართლიანადაც წერდა: „...ქართველების ოდენა სხვადასხვაგვარი სათამაშო თითქმის არცერთ ხალხს არა აქვს და ყოველგვარი სათამაშოც უთუოდ ისეთია, რომელიც ჭკუაგონებასა და სხეულს წვრთნის, ავარჯიშებს".

პოეტი სპორტულ თამაშთა შორის უპირატესობას ანიჭებდა ბურთის თამაშს და წერდა: „აბა რომელი გიმნასტიკა შეედრება მას? ბურთის დროს თვალი, ფეხი, ხელი, ტანი და ყველაფერი თანასწორად ეჩვევა სიმარდეს".

აკაკის მოსაზრებით, მოზარდებს მალე ბეზრდებათ ერთი და იგივე თამაშობანი, ამიტომ საჭიროა, ყურადღება მიექცეს თამაშთა მიმართ ბავშვთა შემოქმედებით დამოკიდებულებას, ახალ-ახალ გონივრულ თამაშთა გამოგონებას მოზარდების მიერ.

სულმნათი პოეტის მოსაზრებებს, მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის შესახებ, დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან გახდა **დავით ციმაკურიძე**, რომელმაც 1952 წელს ჰელსინკის თამაშებში ოქროს მედალი მოიპოვა თავისუფალ ჭიდაობაში.

**პირველმა** სამოყვარულო კრივში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული საქართველოდან მოიპოვა **გიორგი კანდელაკმა**, 1997 წელს 23 წლის ასაკში.

**პირველად** ოფიციალური საკალათბურთო მატჩი საქართველოში გაიმართა 1923 წლის მარტში, თბილისში, მუშფაკის ეზოში (ახლანდელი უ. ჩხეიძის ქუჩაზე). ერთმანეთს შეხვდა მუშფაკის ორი გუნდი. 1924 წელს კი თბილისელ რკინიგზელთა თაოსნობით მოეწყო ტურნირი 6 გუნდის მონაწილეობით.

**ვიქტორინა**

**1. თბილისის „დინამომ" 1987 წელს უეფას თასის მერვედფინალში გასასვლელი მატჩი ორი შეხვედრის ჯამში მოუგო**
ა - „ვერდერს" (ბრემენი)
ბ - „ლოკომოტივს" (სოფია)
გ - „ვიქტორიას" (ბუქარესტი)

**2. რომელ წელს და სად მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედალი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში რომან რურუამ?**
ა - 1964 წელს, ტოკიოში
ბ - 1968 წელს, მეხიკოში
გ - 1972 წელს, მიუნხენში

**3. რომელ წელს და სად ჩატარდა სსრკ ხალხთა V სპარტაკიადა?**
ა - 1963 წელს, თბილისში
ბ - 1967 წელს, კიევში
გ - 1971 წელს, მოსკოვში

**4. რომელი მოჭიდავე გახდა პირველად საერთაშორისო დიდოსტატი ვაჟთა შორის საქართველოდან?**
ა - ედუარდ გუფელდი
ბ - ბუხუტი გურგენიძე
გ - თამაზ გიორგაძე

**5. დაასახელეთ საქართველოდან პირველი მსოფლიო ჩემპიონი ფარიკაობაში**
ა - ვლადიმერ აფციაური
ბ - ნუგზარ ასათიანი
გ - გურამ კოსტავა

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-გ, 4-ა, 5-გ

ძველი გაზეთის ფურცლებზე...



1938 წელი. თბილისის ფეხბურთის ცენტრალურ სკოლასთან არსებული გუნდების პირველობის გამარჯვებული „სიხარული"

კალათბურთი · NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# შაკი ფინიქსზე ნაწყენია

ამერიკულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "ფინიქს სანზის" ცენტრმა **შაკილ ო'ნილმა**, შესაძლოა, არიზონული კლუბის რიგები დატოვოს. ლეგენდარული ცენტრის სავარაუდო წასვლის მიზეზად "ფინიქსის" ხელმძღვანელობის მიერ თებერვალში მიღებული გადაწყვეტილება სახელდება. მაშინ "სანზის" შეფობამ შაკი ტრანსფერზე დააყენა, თავად კალათბურთელმა კი კლუბის ამ გადაწყვეტილებას კომენტარი არ გაუკეთა.

ამ კონფლიქტში ო'ნილის მხარე დაიჭირა "ფინიქსის" ძირითადმა გამთამაშებელმა **სტივ ნეშმა**:

*"შაკი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა. წარმოდგენაც კი რთულია, თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს მას გუნდისთვის. იმედი მაქვს, ო'ნილი ჩვენთან დარჩება. ყველას გვსურს, ის აქ ისე გრძნობდეს თავს, როგორც საკუთარ სახლში და ბედნიერი იყოს".*

■ ■ ■

უსიამოვნო ინციდენტში გაეხვა "ჰიუსტონ როკეტსის" ფორვარდი **კარლ ლენდრი**. ეს კალათბურთელი ორი დღის წინ, საკუთარ სახლთან ახლოს ცეცხლსასროლი იარაღით ფეხში დაჭრეს. ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც ლენდრი "ნიუ ორლეანთან" გასვლითი მატჩის შემდეგ შინ ბრუნდებოდა.

პოლიციის ინფორმაციით, ლენდრის მანქანას უკნიდან სხვა ავტომობილი დაეჯახა და როცა კალათბურთელი დაზიანების სანახავად გადმოვიდა, მას უცნობებმა ცეცხლი გაუხსნეს.

ჭრილობები სახიფათო არ აღმოჩნდა და "ჰიუსტონის" თავდამსხმელი რამდენიმე საათში გამოწერეს კლინიკიდან.

■ ■ ■

"დალას მავერიქსის" ფორვარდ **ჯოშ ჰოვარდს**, რომელმაც მარცხენა ტერფის ტრავმის გამო ორი კვირა გააცდინა, შესაძლოა, ართროსკოპიული ოპერაცია დასჭირდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "დალასის" ერთ-ერთი ლიდერი სეზონის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს.

გუნდის ხელმძღვანელობის ინფორმაციით, ჰოვარდს ნებისმიერ შემთხვევაში მოუწევდა საოპერაციო მაგიდაზე დაწოლა, მაგრამ "დალასის" შეფობას სურს, რომ ჯოშმა გუნდს ამ სეზონში დახმარება გაუწიოს და შემდეგ გაიკეთოს ოპერაცია.

ამ სეზონში ჰოვარდმა 45 მატჩის ჩატარება მოასწრო და თავის გუნდს საშუალოდ 18.0 ქულა და 4.9 მოხსნა შესძინა.

**ატლანტა-საკრამენტო 119:97**

26:31, 42:28, 24:27, 27:11

ა: ჰორფორდი (23+12 მოხსნა+6 პასი), ჯ. სმიტი (21+10 მოხსნა), ჯო ჯონსონი (20), ბიბი (18+7 პასი), მ. ევანსი (12), მიური (12).

ს: მარტინი (31), ჰოვსი (14), ტომპსონი (13+8 მოხსნა), ნოჩიონი (11).

**კლივლენდი-ორლანდო 97:93**

28:23, 25:27, 19:25, 25:18

კ: ლ. ჯეიმსი (43+12 მოხსნა+8 პასი+4 ჩაჭრა), მ. უილიამსი (21), ვარეჟაო (12+7 მოხსნა), ილგაუსკასი (8+11 მოხსნა).

ო: ელსტონი (23+5 ჩაჭრა), კ. ლი (19), თურქოგლუ (16+7 პასი), დ. ჰოვარდი (13+15 მოხსნა+6 დაფარება), პიეტრუსი (11).

**ჩიკაგო-ბოსტონი 127:121**

34:26, 20:29, 35:35, 38:31

ჩ: სალმონსი (38), ბ. მილერი (21+14 მოხსნა), ტ. ტომასი (18), ბ. გორდონი (17), დ. როუზი (11+8 პასი).

ბ: პირსი (37+7 მოხსნა), რონდო (26+10 პასი), რ. ალენი (17), პერკინსი (14+10 მოხსნა+4 დაფარება), პაუსი (13), მური (6+10 მოხსნა).

**დალასი-დეტროიტი 103:101**

29:21, 25:24, 26:19, 23:37

დალ: ნოვიცკი (30), ტერი (18), დამპიე (16+13 მოხსნა), ბასი (12), სინგლტონი (11).

დეტ: პრინსი (28+7 მოხსნა), ბინუმი (19), სტაკი (17+7 პასი), აფლალო (16), მაკდაისი (10+9 მოხსნა).

**სან ანტონიო-მინესოტა 93:86**

22:21, 17:14, 29:25, 25:26

ს-ა: ტ. პაკერი (24+6 პასი), რ. მეისონი(15), ობერტო (12), კ. ტომასი (10+10 მოხსნა+6 პასი).

მ: ლავი (17+19 მოხსნა), ტელფეირი (17), მ. მილერი (15), ფოი (10).

**იუტა-ვაშინგტონი 103:88**

25:15, 21:21, 30:23, 27:29

ი: კორვერი (15), რ. ბრიუერი (13), ბუზერი (13+15 მოხსნა), ოკური (13+3 დაფარება), დ. უილიამსი (12+8 პასი+3 ჩაჭრა), კირილენკო (10), მილსეპი (10+8 მოხსნა).

ვ: ნ. იანგი (14+3 ჩაჭრა), დიქსონი (14), პეჩეროვი (13), ჯეიმისონი (13+10 მოხსნა), სონგაილა (10+7 მოხსნა), ბლეტჩი (9+13 მოხსნა).

**გ. სტეიტი-კლიპერსი 127:120**

25:27, 34:24, 33:30, 35:39

გ-ს: ელისი (29+6 პასი), მაგეტი (21+7 მოხსნა), მოროუ (20), აზუბუიკე (16+9 მოხსნა+7 პასი), ე. რენდოლფი (14).

კ: ბ. დევისი (29+7 პასი), ტორნტონი (25+9 მოხსნა), ზ. რენდოლფი (20+11 მოხსნა), კემბი (14+11 მოხსნა+3 დაფარება), ნოვაკი (12), ე. გორდონი (10).

**ლეიკერსი-ფილადელფია 93:94**

24:20, 26:30, 23:12, 20:32

ლ: პ. გასოლი (25+8 მოხსნა+6 პასი+3 დაფარება), არიზა (16+8 მოხსნა), ოდომი (14+11 მოხსნა), ბრაიანტი (11).

ფ: იგუოდალა (25), ლ. უილიამსი (18+6 პასი), ტ. იანგი (14+7 მოხსნა), დალემბერი (3+14 მოხსნა).

ჰოკეი · NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ბროდოს 552



არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ "ნიუ ჯერსი დევილზის" ლეგენდარული მეკარე **მარტინ ბროდო** ადრე თუ გვიან დაამხობდა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში **პატრიკ რუას** გამარჯვებების რეკორდს.

ბროდომ კარიერაში 552-ე გამარჯვებას "ჩიკაგოსთან" საშინაო შეხვედრაში მიაღწია. "პრუდენშიალ ცენტრში" შეკრებილი მაყურებელი ფეხზე ამდგარი ესალმებოდა მეკარეს. დარბაზში ისეთი ზეიმი გაიმართა, თითქოს "ნიუ ჯერსის" სტენლის თასი მოეგოს. თავად ბროდომ სამახსოვროდ კარის ბადის ნაწილი მოჭრა, შემდეგ კი დიდხანს არტყამდა წრეებს მოედანს. ამასობაში, მისმა პარტნიორებმა მთლიანად დაგლიჯეს ბადე, გულშემატკივრები კი გაჰყვიროდნენ: "მარტი! მარტი!"

*"ეს დაუვიწყარი ღამე იყო. ბედნიერი ვარ, რომ როგორც იქნა შევძელი ამის გაკეთება. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში, ჩემს თავში სრული ქაოსი იყო, მაგრამ დღევანდელი საღამო არაჩვეულებრივი გამოვიდა. მადლობა ამ ბრწყინვალე გულშემატკივრებს, რომლებმაც ასეთი ოვაცია მომიწყეს"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ გასული ტურის გმირმა.

"ჩიკაგოსთან" შეხვედრა მხოლოდ ბროდოსთვის არ ყოფილა ტრიუმფალური. არანაკლებ მნიშვნელოვან შედეგს მიაღწია გუნდის ჩეხმა ლეგიონერმა **პატრიკ ელიაშმა**. მან ერთი საგოლე პასით გამოიჩინა თავი და "დევილზის" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ფორვარდმა უკან ჩამოიტოვა კლუბის წინა რეკორდსმენი - ამჟამად "ნიუ ჯერსის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **დუგ მაკლინი**.

ელიაშს "დევილზის" მაისურით 814 შეხვედრა აქვს ჩატარებული და მის ანგარიშზე 292 გოლი და 410 შედეგიანი პასი მოდის.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

**ნიუ ჯერსი-ჩიკაგო 3:2**

2:0, 1:1, 0:1

გოლები: 1:0 ლანგენბრუნერი-24 (პარიზე-43), 2:0 ზაიაცი-20 (პარიზე-44, მარტინი-23), 3:0 ჯონტა-16 (ელიაში-46, მოტო-12), 3:1 ბარკერი-5 (ბ. კემპბელი-38, კეინი-39), 3:2 ბიფულინი-12 (მ. უოკერი-13).

**მონრეალი-რეინჯერსი 3:4 (ბ)**

0:0, 1:1, 2:2, 0:0

გოლები: 0:1 ანტროპოვი-25 (დრური-29, რედენი-21), 1:1 კოვალიოვი-17 (მარკოვი-44, შნაიდერი-18), 1:2 ჟერდიოვი-20 (გომესი-37, მ. სტაალი-11), 2:2 ლაპიერი-12 (მარკოვი-45), 2:3 კელეჰანი-17 (დუბინსკი-26), 3:3 მარკოვი-10 (ლატენდრესი-10).

ბულიტები გაიტანეს: ნესლუნდი (რეინჯერსი), კოვალიოვი (მონრეალი), ანტროპოვი (რეინჯერსი), მარკოვი (მონრეალი), დრური (რეინჯერსი).

**ოტავა-ბაფალო 4:2**

0:2, 2:0, 2:0

გოლები: 0:1 ლიდმანი-2 (ტალინდერი-8, პომინვილი-35), 0:2 პომინვილი-15 (ვანეკი-22), 1:2 ჰიტლი-33 (სპეცა-34, ნილი-6), 2:2 ბელი-5 (ალფრედსონი-44, კუბა-29), 3:2 ალფრედსონი-22 (სპეცა-35, კუბა-30), 4:2 ბელი-6 (კუბა-31, შენონი-7).

**პიტსბურგი-ატლანტა 6:2**

2:1, 3:1, 1:0

გოლები: 0:1 ლიტლი-30 (ტ. უაიტი-44, ვიაჩ. კოზლოვი-42), 1:1 გონჩარი-6 (გერინი-27, მალკინი-68), 2:1 კუნიტცი-22 (კროსბი-64, მალკინი-69), 3:1 ჯ. სტაალი-20 (კენედი-15, ლეტანგი-19), 4:1 მალკინი-31 (გონჩარი-6, ლეტანგი-20), 5:1 მალკინი-32 (გონჩარი-7, კროსბი-65), 5:2 ბულტონი-3 (ტორნბური-8, პერენი-12), 6:2 იტონი-3 (გონჩარი-8, მალკინი-70).

**ტამპა ბეი-ტორონტო 3:4 (ბ)**

1:0, 2:1, 0:2, 0:0

გოლები: 1:0 ლეკავალიე-29 (კ. მერფი-11, სენტ ლუისი-44), 2:0 სტემკოსი-15 (სენტ ლუისი-45, რამოი-1), 3:0 პეტინგერი-5 (კარსუმსი-3, კრაიჩეკი-13), 3:1 ჯ. მიტჩელი-9 (ჯ. ბლეიკი-32, სტრალმანი-11), 3:2 ჯ. ბლეიკი-24 (სტემპნიაკი-26), 3:3 ჰემილტონი-2 (დევერო-2, სტაიანი-35).

ბულიტები გაიტანეს: ჰემილტონი (ტორონტო), ლეკავალიე (ტამპა ბეი), ჯ. მიტჩელი (ტორონტო).

**ფლორიდა-ვაშინგტონი 0:3**

0:0, 0:1, 0:2

გოლები: 0:1 ლეიჩი-18 (ერსკინი-3), 0:2 ვიქ. კოზლოვი-12 (ნიულანდერი-22, ერსკინი-4), 0:3 მ. გრინი-25 (სიომინი-41, ოვეჩკინი-41).

**დეტროიტი-ფილადელფია 3:2**

0:1, 1:1, 2:0

გოლები: 0:1 პარტნელი-26 (კობურნი-17), 0:2 ლუპული-21 (ჯ. კარტერი-32, პარტნელი-27), 1:2 დაცუკი-28 (ფრანცენი-19), 2:2 ფრანცენი-29 (დაცუკი-59, ბ. სტიუარტი-12), 3:2 ზეტერბერგი-29 (სამუელსონი-21, ჯ. ერიქსონი-2).

**მინესოტა-კოლორადო 3:2 (ბ)**

0:0, 1:2, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 მაკლეოდი-13 (გიტი-6), 1:1 ვეილო-12 (სკოულა-10, ბელანჟე-19), 1:2 რ. სმიტი-26 (ვოლსკი-25), 2:2 შულტცი-2 (ფრიტშე-6, ბელანჟე-20).

ბულიტები გაიტანეს: ვოლსკი (კოლორადო), მ. კოივუ (მინესოტა), ჟიდლიცკი (მინესოტა).

**ედმონტონი-სენტ ლუისი 2:1 (ბ)**

1:0, 0:1, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 სურეი-20 (გრებეშკოვი-27, სემ განიე-19), 1:1 ბექსი-24 (ოში-20, ბოიესი-31).

ბულიტები გაიტანეს: კოტალიკი (ედმონტონი).

**ვანკუვერი-დალასი 4:2**

1:1, 2:0, 1:1

გოლები: 1:0 დ. სედინი-26 (ჰ. სედინი-50, ბიექსა-27), 1:1 რობიდასი-3 (მოდანო-29, ოტი-21), 2:1 კესლერი-21 (დემიტრა-28, სუნდინი-11), 3:1 სუნდინი-9 (უელვუდი-8, კესლერი-29), 4:2 ოტი-16 (კონერი-9, რიბეირო-58), 4:2 ბერნიე-15 (რეიმონდი-12, ბიექსა-28).

**ფინიქსი-სან ხოსე 4:3**

3:0, 0:1, 1:2

გოლები: 1:0 ტარისი-7 (დოუნი-33, მიულერი-22), 2:0 ტარისი-8 (დოუნი-34, კალინინი-14), 3:0 კალინინი-2 (ტარისი-11, დოუნი-35), 3:1 ჯ. ტორნტონი-21 (ჩიჩუ-14, რ. ბლეიკი-31), 3:2 ჯ. ტორნტონი-22 (რ. ბლეიკი-32, ჩიჩუ-15), 3:3 მარლო-36 (ჯ. ტორნტონი-55, რ. ბლეიკი-33), 4:3 დოუნი-26 (აშოლი-15, ტარისი-12).

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**უეფა თასი**

**1/8 ფინალი. II მატჩები**

**სტ. ეტიენი-ვერდერი 2:2 (0:1)**

**სტ. ეტიენი:** ჟანო - ტავლარიდისი, ბეიალ სალი, ბენალუანი - ვარო, ოტკოერი (72. მონსორო), დერნისი - მაცუი (80. პეიე), სოგე - მირალა (63. გრაქსი), გომისი.

**ვერდერი:** ვიზე - პრიოდლი, მერტეზაკერი, ნალდო, ბიონიში - ფრინგსი - ნიმაიერი (72. ციოლისი), მესუთ ოზილი - დიეგო (75. ჰუნტი) - პისარო (87. უგო ალმეიდა), როზენბერგი.

**გოლი:** 0:1 პრიოდლი (6), 0:2 პისარო (28), 1:2 ბენალუანი (64), 2:2 გრაქსი (90+2)

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 9(4)-10(7); **კუთხური:** 4-5; **თამაშგარე:** 1-1; **ჯარიმა:** 8-15; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 33 500

**აიაქსი-მარსელი 2:2 დ.დ. (1:2)**

**აიაქსი:** ვერმეერი - ოლეგერი, ალდერვეირელდი - სილვა, შილდერი - ანიტა, ენო (112. დე იონგი), აისატი (97. ლეონარდო) - სულეიმანი (104. ცვიტანიჩი), სუარესი, ემანუელსონი.

**მარსელი:** მანდანდა - მეარსი, როდრიგესი, ჰილტონი, ტაივო - მ'ბამი, ბენ. შეირუ - ბ. კონე (77. ბენ არფა), ვალბუენა (52. ზიანი), ზენდენი - ნიანგი (59. სამასა).

**გოლები:** 1:0 ენო (33), 1:1 ნიანგი (35), 2:1 სულეიმანი (74), 2:2 მეარსი (110)

**გაძევება:** სილვა (120. აიაქსი)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 10(7)-7(2); **კუთხური:** 5-4; **თამაშგარე:** 0-3; **ჯარიმა:** 11-19; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 50 000

**ინგლისი**

**ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| კარდიფი-უოტფორდი | 2:1 |

**გერმანია**

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ბურგჰაუზენი-უნიონი | 0:0 |
| რეგენსბურგი-პადერბორნი | 0:4 |
| ერფურტი-აალენი | 0:0 |

**საფრანგეთის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| გრენობლი-მონაკო | 2:0 |
| რენი-როდე | 2:0 |

**შოტლანდია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ისტ ფაიფი-აირი | 0:1 |

**შოტლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| აბერდინი-დანფერმლ. | 0:0 პენ. 2:4 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ავსტრია (კ)-შტურმი | 4:2 |

**შვეიცარიის თასი**

| | |
|---|---|
| კონკორდია-ლუცერნი | 0:2 |
| ციურიხი-ბაზელი | 0:1 |

**საბერძნეთის თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| აეკ-პანსერაიკოსი | 3:1 |
| ასტერასი-ოლიმპიაკოსი | 2:2 |

**კვიპროსის თასი**

| | |
|---|---|
| [illegible] | 3:0 |
| ენოსისი-აპოლონი | 3:2 |

**[illegible]**

| | |
|---|---|
| არტმედია-დუბნიცა | 2:0 |

**სლოვაკეთის თასი**

| | |
|---|---|
| სლოვანი-ჟილინა | 0:0 |

**პოლონეთის თასი**

| | |
|---|---|
| პოლონია (ვ)-კრაკოვია | 1:0 |

**ხორვატიის თასი**

| | |
|---|---|
| სიბალია-ჰაიდუკი | 0:0 |
| დინამო (ზ)-ზაგრები | 4:1 |

**სერბეთი**

| | |
|---|---|
| ჩუკარიჩკი-ნაპრედაკი | 0:1 |
| ჰაიდუკი-ბანატი | 1:1 |
| იავორი-ოფკ | 1:0 |
| ვოივოდინა-რად | 0:1 |
| იაგოდინა-პარტიზანი | 0:1 |
| ცრ. ზვეზდა-ბორაცი | 2:0 |

**უნგრეთის თასი**

| | |
|---|---|
| დიორი-კბსც | 7:0 |
| კეჩკემეტი-პონველი | 1:4 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი (პ)-ცსკა | 1:3 |
| ჩერნო მორე-ბოტევი | 1:0 |
| ლევსკი-ჩერნომორეცი | 3:1 |
| ლოკომოტივი (ს)-ვიჰრენი | 2:0 |
| სლივენი-სპარტაკი | 0:1 |

**კალათბურთი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბამბერგი-დიუსელდორფი | 96:74 |

**ჰოკეი**

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ვოლერენგა-სტიორნენი | 4:1 |
| სპარტა-სტორჰამარი | 3:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| კოშიცე-ზვოლენი | 1:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სპარტა-კარლოვი ვარი | 5:2 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ინდიან უელსი**

| | |
|---|---|
| ვერდასკო-კოლშრაიბერი | 6:4, 3:6, 6:1 |
| მიურეი-რობრედო | 6:2, 6:0 |
| ფედერერი-გონსალესი | 6:3, 5:7, 6:2 |

**WTA. ინდიან უელსი**

| | |
|---|---|
| ზვონარევა-ვოზნიაჩკი | 6:4, 6:2 |

TV პროგრამა

**19 მარტი. ხუთშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

08:40 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
09:40 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
10:10 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:10 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-სევილია.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. გუარანი (პარაგვაი)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).
15:10 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-რივერ პლეიტი.
16:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:10 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-ბარსელონა.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
20:25 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
21:25 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ზენიტი-უდინეზე (LIVE).
23:25 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. გუარანი (პარაგვაი)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).
01:10 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
01:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:55 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:00 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
04:00 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-რეალი.
05:50 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-რეკრეატივო.

**EUROSPORT**

11:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
12:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ქალები/კაცები. სტოკჰოლმი. შვედეთი.
13:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ესტაფეტა. კაცები. ვანკუვერი. კანადა.
14:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. კაცები. ტრონდჰეიმი. ნორვეგია (LIVE).
16:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS215. კვალიფიკაცია. პლანიცა. სლოვენია.
17:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ქალები. ტრონდჰეიმი. ნორვეგია (LIVE).
18:45 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. კაცები. ტრონდჰეიმი. ნორვეგია.
16:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS215. კვალიფიკაცია. პლანიცა. სლოვენია.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ.
22:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
23:45 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 ფეხბურთი. უეფა თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები.
03:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ.
16:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS215. კვალიფიკაცია. პლანიცა. სლოვენია.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
14:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS215. კვალიფიკაცია. პლანიცა. სლოვენია (LIVE).
15:00 კერლინგი. მსოფლიოს ტური. საფრანგეთი.
15:30 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:30 ახალი ამბები.
17:00 ხელბურთი. ამხანაგური მატჩი. სლოვენია-დანია (LIVE).
18:30 კერლინგი. მსოფლიოს ტური. საფრანგეთი.
19:00 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. საფრანგეთი (LIVE).
20:00 ექსტრემალური სპორტი.
21:00 ახალი ამბები.
21:15 ხელბურთი. ამხანაგური მატჩი. ჩეხეთი-უკრაინა (LIVE).
21:45 ახალი ამბები.
23:00 კერლინგი. მსოფლიოს ტური. საფრანგეთი.
00:00 ხელბურთი. ამხანაგური მატჩი. სლოვენია-დანია.
01:00 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. საფრანგეთი.
02:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# რევოლუციის ფორმულა

## ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ჩემპიონის გამოვლენის წესი შეცვალა

ავტოსპორტის მსოფლიოს საბჭომ პარიზში რევოლუციური გადაწყვეტილებები მიიღო, რომელიც უკვე წლევანდელი სეზონიდან შევა ძალაში.

მთავარი ცვლილება ჩემპიონის გამოვლენის წესს შეეხო. ამიერიდან, ტიტულის მფლობელი გახდება ის პილოტი, რომელიც სეზონის განმავლობაში ყველაზე მეტ გრანპრის მოიგებს. ამ ახალ წესს შარშან რომ ემოქმედა, ახლა მოქმედი ჩემპიონი "ფერარის" პილოტი **ფელიპე მასა** იქნებოდა. მან, მართალია, "მაკლარენის" წევრ **ლუის ჰემილტონზე** ნაკლები ქულა დააგროვა, მაგრამ უფრო მეტი გრანპრი (ექვსი ხუთის წინააღმდეგ) ჰქონდა მოგებული. სულ კი წინა 59 სეზონში ჩემპიონი 13-ჯერ შეიცვლებოდა. მაგალითად, 1989 წელს, როცა **ალენ პროსტის** ნაცვლად, ტრიუმფატორად **აირტონ სენა** გამოცხადდებოდა.

ქულათა დარიცხვის სისტემა იგივე დარჩა (10-8-6-5-4-3-2-1). ქულების მნიშვნელობამ, რა თქმა უნდა, იკლო, მაგრამ ის გახდება გადამწყვეტი ფაქტორი მაშინ, როცა პილოტებს ერთნაირი რაოდენობის ეტაპები ექნებათ მოგებული. ასეთ შემთხვევაში, ჩემპიონი მეტი ქულის მფლობელი ავტომრბოლი გახდება.

ამასთან, მეორე და სხვა ადგილების მფლობელთა გარკვევისას, ეტაპებზე გამარჯვებების რაოდენობას მნიშვნელობა არ მიენიჭება და აქ ქულებს დაითვლიან. კონსტრუქტორთა თასის მფლობელიც ქულების მიხედვით გაირკვევა.

საბჭომ უარყო გუნდების ასოციაციის მიერ შეთავაზებული ქულათა დარიცხვის ახალი სისტემა (12-9-7-5-4-3-2-1), აგრეთვე **ბერნი ექლსტოუნის** წინადადება პოდიუმზე მედლების გადაცემის შესახებ.

გარდა ამისა, პარიზში სხვა გადაწყვეტილებებიც მიიღეს. ჩემპიონატის დამთავრებიდან 31 დეკემბრამდე გუნდებს სამი სატესტო სესიის ჩატარების უფლება ექნებათ. ოფიციალურ ვარჯიშებში მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა პილოტები, რომლებსაც ფორმულა 1-ში გამოსვლის გამოცდილება არ გააჩნიათ. გარდა ამისა, საჯინიბოებს 1 იანვრიდან ჩემპიონატის ბოლომდე რვა ერთჯერადი აეროდინამიკური ტესტის ჩატარების ნება დართეს.

განიხილეს "ჰონდა რეისინგის" სახელის შეცვლა, რომელსაც ამიერიდან "ბრაუნ გრანპრი" ერქმევა. ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ "ბრაუნი" ჩემპიონატის ახალ მონაწილედ უნდა ჩაითვალოს. "ჰონდასთან" კონტრაქტი აღარ გააგრძელეს, მაგრამ "ბრაუნიც" გაანთავისუფლეს საწყისი თანხის შეტანისგან.

გაირკვა ბიუჯეტის რეგლამენტირების საკითხი. აქ ძალიან საინტერესო გადაწყვეტილება მიიღეს. გუნდებს არჩევანის საშუალება მიეცათ. ისინი ან 30 მილიონ ფუნტს იმყოფინებენ და სანაცვლოდ ტექნიკური თავისუფლება მიენიჭებათ, ან შეუზღუდავ ბიუჯეტს აირჩევენ, მაგრამ ტექნიკურად იქნებიან შეზღუდულები.

ტექნიკური თავისუფლება გულისხმობს აეროდინამიკის ეფექტური, მაგრამ სტანდარტული ელემენტების გამოყენებას, შეუზღუდავი - სიმძლავრის ძრავების გამოყენებას და ა. შ.

მაგრამ ამასთან, ფედერაცია უფლებას იტოვებს გააკონტროლოს ეს თავისუფლება, რათა არ მიიღონ ერთი გუნდის სხვებზე დიდი უპირატესობა.




ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ნადალმა ნავსი უნდა გატეხოს

**რაფაელ ნადალი** და **ნოვაკ ჯოკოვიჩი როჯერ ფედერერსა** და **ენდი მიურეის** შეუერთდნენ და მათაც მოიპოვეს მერვედფინალური ეტაპის საგზურები.

ყველაზე რთული მეტოქე ჯოკოვიჩს ჰყავდა, თუმცა გერმანელი **ტომი ჰაასი** უკვე დიდი ხანია აღარ შედის მამაკაცთა საჩოგბურთო ელიტაში და მას უკვე სათვალავში აღარავინ აგდებს. ჰაასმა მხოლოდ მეორე სეტში გაუწია წინააღმდეგობა სერბს. აქ საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც გერმანელმა პირველი ბურთი ჩააგდო, მაგრამ ზედიზედ 7 ქულა დათმო და ბრძოლას გამოეთიშა.

საერთო ჯამში, ჯოკოვიჩმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და თავისი თამაში შთამბეჭდავი სტატისტიკითაც გაამყარა: რვა ეისი, ერთადერთი ორმაგი შეცდომა და მხოლოდ 10 უნებლიე შეცდომა.

*"ჯერაც ოპტიმალური ფორმის ძიებაში ვარ. ვფიქრობ, კარგი თამაში ვაჩვენე და რაც მთავარია, ენერგია დავზოგე, რაც შემდეგ მატჩებში აუცილებლად გამომადგება"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ ჯოკოვიჩმა.

იოლად გაალწია შემდეგ წრეში ნადალმა. მან თითო სეტში სამ-სამი გეიმი დაუთმო რუს **დმიტრი ტურსუნოვს**, შეხვედრის შემდეგ კი განაცხადა, რომ ამჯერად ვერ მოახერხა თავისი საუკეთესო თამაშის ჩვენება.

თუ ესპანელმა სიმართლე თქვა, მას მერვედფინალში აუცილებლად მართებს თამაშის გამოსწორება. ამ ეტაპზე რაფას მეტოქედ **დავიდ ნალბანდიანი** ეყოლება. შეიძლება ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ არგენტინელს არასოდეს წაუგია ნადალთან. ეს ჩოგბურთელები ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და რაფას არათუ მატჩი, სეტიც არ აუღია ნალბანდიანის წინააღმდეგ. ორივე შეხვედრა 2007 წელს გაიმართა - პარიზისა და მადრიდის მასტერსებზე. კორტის საფარი ორივე შემთხვევაში ჰარდი იყო და არგენტინელმა ორივეჯერ გაანადგურა ესპანელი - 6:4, 6:0 და 6:1, 6:2. ასე რომ, ნადალმა უნდა დაამტკიცოს, რომ მამაკაცთა ტურში მისთვის უხერხული მეტოქე არ არსებობს. თუმცა ეს არც ისე იოლი საქმე იქნება.

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია ამერიკელი **ჯონ ისნერის** გამარჯვება **მარატ საფინზე**. ეისების ოსტატად ცნობილმა ისნერმა ერთხელ უკვე გააკვირვა პუბლიკა, როცა წინა წრეში ტურნირის მეცხრე ნომერი **გაელ მონფილსი** გაამგზავრა შინ. ამჯერად კი პენსიაზე გასასვლელად გამზადებული რუსი ფრანგის გზას გაუყენა.

■ ■ ■

ქალები ერთი ნაბიჯით უსწრებენ კაცებს და აქ უკვე ყველა მეოთხედფინალისტი გაირკვა. ამ ეტაპზე, ერთის გარდა, სულ განთესილი ჩოგბურთელები არიან გასულები. ერთადერთი გამონაკლისი კი რუსი **ანასტასია პავლიუჩენკოვაა**, თუმცა პირველ წრეში **ელენა იანკოვიჩის** დამარცხების შემდეგ, ამ ჩოგბურთელის წარმატებები არავის უკვირს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



**ATP**

**BNP Paribas Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი: 4 500 000 დოლარი**

**II წრე**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 26) 6:3, 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-ტომი ჰაასი (გერ) 6:2, 7:6 (1); **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 6)**-იურგენ მელცერი (ავსტრია, 30) 6:2, 2:6, 7:6 (2); **ენდი როდიკი (აშშ, 7)**-ნიკოლას კიფერი (გერ, 31) 6:4, 7:6 (4); **დავიდ ფერერი (ესპ, 12)**-ჟერემი შარდი (საფ) 3:6, 6:4, 6:4; **დავიდ ნალბანდიანი (არგ, 14)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ) 6:4, 6:2; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 16)**-სემ კუერი (აშშ) 2:6, 7:5, 7:6 (8); **ჯონ ისნერი (აშშ)**-მარატ საფინი (რუს, 24) 6:4, 6:4.

**1/8 ფინალი**

ნადალი (1)-ნალბადიანი (14); დელ პოტრო (6)-ისნერი; ჯოკოვიჩი (3)-ვავრინკა (16); როდიკი (7)-ფერერი (12); ანდრეევი (22)-ლუბიჩიჩი; მიურეი (4)-რობრედო (15); ვერდასკო (10)-კოლშრაიბერი; ფედერერი (2)-გონსალესი.

**WTA**

**BNP Paribas Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი: 4 500 000 დოლარი**

**1/8 ფინალი**

**დინარა საფინა (რუს, 1)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 7:5, 6:4; **ვერა ზვონარევა (რუს, 4)**-ნა ლი (ჩინ) 6:4, 6:4; **ანა ივანოვიჩი (სერ, 5)**-ფლავია პენეტა (იტა, 12) 6:4, 4:6, 6:4; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 7)**-აგნეს შავაი (უნგ, 22) 6:0, 5:7, 6:3; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 8)**-შაარ პეერი (ისრ) 7:5, 6:4; **კაროლინ ვოზნიაჩკი (დან, 9)**-ურსულა რადვანსკა (პოლ) 7:5, 6:3; **სიბილ ბამერი (ავსტრია, 23)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 30) 6:3, 6:2; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს)**-ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ) 6:3, 3:0 ლაგოსტერას უარი.

**1/4 ფინალი**

საფინა (1)-აზარანკა (8); ზვონარევა (4)-ვოზნიაჩკი (9); ივანოვიჩი (5)-ბამერი (23); ა. რადვანსკა (7)-პავლიუჩენკოვა.

# ფილიპუსისი სკოლას ხსნის

ცნობილი ავსტრალიელი ჩოგბურთელი **მარკ ფილიპუსისი** თავის მშობლიურ ქალაქ უილიამსტაუნში (მელბურნის გარეუბანი) საჩოგბურთო სკოლის გახსნას აპირებს.

2003 წლის უიმბლდონის ფინალისტი და რეიტინგის ტოპ-ათეულის ყოფილი წევრი სამშობლოში ამერიკის ქალაქ ლას-ვეგასიდან დაბრუნდა, სადაც ბოლო რამდენიმე წელი ცხოვრობდა. *"უილიამსტაუნში დარჩენა მინდა, რადგან ეს ქალაქი ყველაზე ძალიან მიყვარს*, - ამბობს ფილიპუსისი. - *ადრე ამერიკაში ვცხოვრობდი, რადგან ხშირად მიწევდა ტურნირებზე გამოსვლა და ასე უფრო მოხერხებული იყო. ახლა, როცა კარიერა დავასრულე, სახლში დაბრუნება მაქვს გადაწყვეტილი"*.

ფილიპუსისი დიდი სპორტიდან 2006 წლის ნოემბერში წავიდა. როგორც ამბობს, მას დიდ სიამოვნებას ანიჭებს მოზარდი თაობის თამაშის ცქერა. ამით ფილიპუსისი საკუთარ ბავშვობას უბრუნდება. თანაც, ავსტრალიელს სურს, გამოცდილება გაუზიაროს ახალგაზრდა ჩოგბურთელებს.

*"მახსოვს, როგორ ვიწყებდი აქ თამაშს*, - ამბობს მარკი. - *მაშინ არანაირი პრივილეგია არ მქონია, ჩვეულებრივი, რიგითი ოჯახი გვყავდა"*.

როგორც ავსტრალიური პრესა წერს, მარკს საჩოგბურთო სკოლის ორგანიზებაში დახმარებას მამამისი - **ნიკ ფილიპუსისი** გაუწევს. სხვათა შორის, ნიკი მარკის ყოფილი მწვრთნელი გახლავთ. *"ჩვენ გვინდა ისეთი სკოლის შექმნა, რომელიც თავიდან ადგილობრივ ბავშვებს მოემსახურება, თუმცა შემდეგ გაფართოებასაც ვაპირებთ"*, - განაცხადა უმცროსმა ფილიპუსისმა.

